ვ. ფურცელაძე

უძველესი, ვიდარცა უხორცო

ნარკვევები ანტიკური ხანის საქართველოს
ფიზიკური კულტურის ისტორიიდან

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
ქუთაისის ფილიალი
1986

75.3(2Г)
ა 923

ვალერიან აფრიდონიძის წიგნი „უშიში, ვითარცა უხორცო“ წარმოადგენს ანტიკურ საქართველოში (VI ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე — V საუკუნე ახალი წელთაღრიცხვით) ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორიის ნარკვევს.

ავტორი ლიტერატურულ წყაროებსა და ფაქტებზე დაყრდნობით შეძლებისამებრ ახასიათებს იმდროინდელი საქართველოს ფიზიკური კულტურის სახეებს, სამხედრო ფიზიკური მომზადების სისტემას და ორგანიზაციას.

ვ. აფრიდონიძე რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა და „უშიში, ვითარცა უხორცო“-ს სახით საინტერესო წიგნი დაგვიტოვა.

წიგნი განკუთვნილია მასობრივი მკითხველისათვის.

პირველი გამოცემა

რეცენზენტი: პროფ: ა. ციბაძე.

A $\frac{70301 - 110}{М\ 601\ (08)\ 86}$ 286 — 86

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
ქუთაისის ფილიალი, 1986

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ფიზიკური კულტურის განვითარების დონე რამდენადმე ასახავს ამა თუ იმ ხალხის, ერის კულტურის განვითარების დონეს მოცემულ ეპოქაში. ფიზიკური კულტურის ისტორია ნაწილობრივ ერის კულტურის ისტორია. ამიტომ ანტიკური პერიოდის საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართველი ერის კულტურული წარსულის შესწავლას.

ფიზიკურ კულტურასა და სამხედრო-ფიზიკურ აღზრდას ისევე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც აღზრდასა და საერთოდ კულტურას.

შემთხვევითი არ არის, რომ სხვადასხვა ეკონომიურ პოლიტიკური საზოგადოებრივი წყობილების დროს წარმოიშვებიან სხვადასხვა ხასიათის ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეები, ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციული ფორმები და თეორიები. ეს გარემოება აიხსნება არა თვით იდეათა, თეორიათა, შეხედულებათა, პოლიტიკურ დაწესებულებათა „ბუნებით", არა მათი „თვისებებით", არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების სხვადასხვა პირობებით, საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა პირობებში.

ცალკეული ახალი საწარმო ან საომარი იარაღი იწვევდა ფიზიკურ ვარჯიშობათა ახალი საშუალებების წარმოშობას. მშვილდ-ისრისა და შუბის გამოგონებამ და მისმა, როგორც საომარი და სანადირო იარაღის გამოყენებამ, დღის წესრიგში დააყენა აღნიშნული იარაღების ხმარებაში დახელოვნება და გაწვრთნის საჭიროება; საფუძველი ჩაეყარა შუბისა და მშვილდ-ისრის ტყორცნების ვარჯიშობათა სახეებს. ამა თუ იმ საწარმო თუ საომარი იარაღის დახელოვნებით გამოყენება ხელს უწყობს ადამიანთა მატერიალური პირო-

ბების გაუმჯობესებას და მის საფუძველზე მცხოვრებთა ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებას.

წინამდებარე წიგნი მიზნად ისახავს თავი მოუყაროს ანტიკური პერიოდის საქართველოში არსებული ჩვენს მიერ ხელმისაწვდომ ისტორიულ, ლიტერატურულ, ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალებს; შეძლებისამებრ დაახასიათოს იმდროინდელი საქართველოს ფიზიკური კულტურის სახეები, სამხედრო ფიზიკური მომზადების სისტემა და ორგანიზაცია. რა თქმა უნდა, ყველა წამოჭრილი საკითხი ერთნაირი, სასურველი სისრულით ვერ გაშუქდება, მაგრამ ასეთი ცდა მაინც ზედმეტად არ მიგვაჩნია.

საკითხი: „ფიზიკური კულტურა ანტიკური პერიოდის საქართველოში" დღემდე შეუსწავლელია და მის შესახებ ძალზე მცირე წყაროები მოგვეპოვება.

განსაკუთრებით მეტ-ნაკლებ ცნობებს გვაწვდიან ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი ავტორები: ჰეროდოტე, ქსენოფონტე, ტაციტი, აპიანე, აპ. როდოსელი, სტრაბონი, არიანე, სკუდა, პრ. კესარიელი და სხვ. ბერძენ-რომაელ-ბიზანტიელთა ცნობების გამოყენებისას მხედველობაში გვქონდა მათი ცნობების ტენდენციური ხასიათი საქართველოსა და მისი მონათესავე ტომების შესახებ, მათ კარგად არ ესმოდათ მათთვის უცხო ერის — ქართველების ზნე-ჩვეულებანი და წესები. ისინი ქართველებს და მათ მონათესავე ტომებს უყურებდნენ, როგორც ბარბაროსთა წარმომადგენელთ, რომელთაც შეუძლიათ ასე თუ ისე აითვისონ ელინურ-რომაულ-ბიზანტიური კულტურის მიღწევები, მაგრამ არ შეუძლიათ შექმნან კულტურის დარგში რაიმე ღირებულებანი.

რაც შეეხება ქართულ ორიგინალურ ლიტერატურულ პირველწყაროებს, ისინი ფიზიკური კულტურისა და სამხედრო-ფიზიკური აღზრდის ცალკეული სახეების მიმართ კეთილგანწყობილებას როდი ამჟღავნებენ, რადგან იმხანად საქართველოში უკვე განმტკიცებული რელიგია ასკეტიზმის, სხეულის დაუძლურების მქადაგებლად გვევლინება. ქრისტიანობა, მისი ოფიციალურად სახელმწიფო რელიგიად აღიარების დღიდან, ცეცხლითა და მახვილით შეუდგა ყოველგვარი წარმართული ჩვევებისა და წესების განადგურე-

ბას და მათ შორის საერთო ხასიათის გართობა-სანახაობებისა და ფიზიკურ ვარჯიშობა-თამაშობებისგან ქრისტიან მორწმუნეთაგან განთავისუფლებას. ამდენად ის არა თუ ხელს უწყობდა ფიზიკური კულტურისა და სამხედრო აღზრდის სისტემის განვითარებას, არამედ მათი მდევნელის როლში გვევლინება. ადრეული პერიოდის ქართულ ლიტერატურულ პირველწყაროებში მაინც თუ ვპოულობთ მათ შესახებ მცირე მასალებს, ეს არის კანონიკური სასულიერო მწერლობა, რომელშიაც აისახა ბრძოლა ყოველგვარი საერო გართობა-სანახაობათა წინააღმდეგ და მათ შორის ფიზიკური კულტურისა და სამხედრო ფიზიკური აღზრდის ცალკეული სახეების მიმართ. სწორედ ამ მიზეზებით აიხსნება ძველ ქართულ ლიტერატურულ პირველწყაროებში ფიზიკური კულტურისა და სამხედრო-ფიზიკური აღზრდის ცალკეული სახეებისა და საშუალებების შესახებ უმეტეს სასულიერო ხასიათის ლიტერატურულ წყაროთა დუმილი. სამაგიეროდ, მათ შესახებ მდიდარ მასალას იძლევა შემდგომი პერიოდის საერო მწერლობის ისეთი შედევრები, როგორიცაა: „ვეფხისტყაოსანი", „თამარიანი" და „ამირან-დარეჯანიანი", რომლებშიც ასახულია რა იმდროინდელი საქართველოს ყოფა, აღწერილია მაღალი სპორტული კულტურა; ბუნებრივია, ასეთ მაღალ სპორტულ კულტურას განვითარების გრძელი გზა უნდა გაევლო, რომ ის იზრდებოდა, ფართოვდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ქართველი ხალხის მატერიალურ და კულტურულ შესაძლებლობათა ზრდა-განვითარებასა და სრულყოფასთან ერთად.

წიგნში გამოყენებულია ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც შეჯერებულია ძველ ქართველ მემატიანეთა სათანადო ცნობებთან. ქართველი მემატიანეებიდან ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეული სახეებისა და სამხედრო-ფიზიკური მომზადების არსებობის შესახებ

არა ნაკლებ ცნობებს გვაწვდიან ლეონტი მროველი, ჯუანშერი, თამარის ისტორიკოსი, ყამთა აღმწერელი, ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ბაგრატიონი, ვახტანგ VI, თეიმურაზ ბატონიშვილი, პაპუნა წერეთელი, სეხნია ჩხეიძე და სხვ.

ნაშრომის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენს არქეოლოგიის მიერ მოპოვებული მასალები წარმოადგენს, რომელმაც განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ამ უკანასკნელ 20-25 წლის განმავლობაში. ბოლო წლებში ჩატარებულმა გათხრებმა ჩვენი სამშობლოს ისტორიის შესწავლის საქმე ახალ საფეხურზე აიყვანეს. არქეოლოგების შრომებიდან გამოყენებულია ბ. კუფტინის, გ. ლომთათიძის, შ. გობეჯიშვილის, ა. აფაქიძის, ო. ლორთქიფანიძის, ო. ჯაფარიძის, ნ. ხოშტარიასა და სხვათა შრომები.

ეპოქის მოკლე დახასიათება

ამ ბოლო წლებში საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევარებმა ისტორიული და არქეოლოგიური მასალების სათანადო ანალიზის საფუძველზე ნათელი მოჰფინეს საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს.

ჩვენს ხელთ არსებული, უმთავრესად არქეოლოგიური მასალები, საშუალებას იძლევა საკმაოდ მკაფიოდ წარმოვიდგინოთ ძვ. წ. ა. მე-6 — მე-4 საუკუნეში დასავლეთ საქართველოს ვითარება. ამ დროს აქ, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში, ჩვენ ვხედავთ საწარმოო ძალთა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს. სახეზეა მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და ხელოსნობის მაღალი განვითარება, ადგილი აქვს სასაქონლო მეურნეობისა და აღებ-მიცემობის ინტენსიურ განვითარებას შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავებისა და პროფესიონალური ხელოსნობის ჩამოყალიბების საფუძველზე და ქალაქის ტიპის ადგილობრივი სავაჭრო სახელოსნო ცენტრების შექმნას; იწყება ადგილობრივი მოჭრილი ფულის ინტენსიური ტრიალი და არსებობს ვაჭართა საკმაო მრავალრიცხოვანი ფენა, რომელიც ადგილობრივ საზოგადოებას ემსახურება. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი წარმოქმნის ეკონომიურ-პოლიტიკური სიცოცხლის უნარიანობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამავე პერიოდში არსებულმა ძლიერმა აქემანიდების იმპერიამ ვერ შეძლო მათი დამორჩილება და დახარჯვა, ისინი მხოლოდ საჩუქარს უძღვნიან მათ, ყოველ ხუთ წელში 100 ვაჟისა და 100 ქალის სახით*.

* თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1960 წ., გვ. 76.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ შავიზღვისპირეთის ძლიერი მონათმფლობელური ბერძნული ახალშენები ადგილობრივი გაერთიანების პოლიტიკური გავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი და ამ პოლიტიკური ერთეულების მსხვილ სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენენ. „ეგების ამ მხრივ ნიშანდობლივია, — წერს გ. მელიქიშვილი, — რომ სტრაბონი ფაზისს იხსენებს როგორც კოლხების სავაჭრო ნავსადგურს“.

ალმოსავლეთ საქართველოში (იბერიაში), მე-4 საუკუნიდან. (ჩვ. წ. ა.-მდე) იწყება სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელსაც უკვე მე-3 საუკუნისათვის მაღალი განვითარებისათვის მიუღწევია; როგორც არქეოლოგიური, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებს, ამ პერიოდის იბერია საწარმო ძალთა საკმაოდ მაღალი განვითარებით ხასიათდება; რომელიც შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასა და ვაჭრობის განვითარებას ემყარება. არსებობს პროფესიონალური ხელოსნობა, სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები, საზოგადოება დაყოფილია ექსპლოატატორებად და ექსპლუატირებულებად, „დაბოლოს არსებობს გარკვევით გამოხატული სახელმწიფოს ყველა ძირითადი ნიშანი, ხალხისაგან გამოყოფილი საჭირო ხელისუფლება, იძულების აპარატით (სამეფო რაზმები) და მოსახლეობის დანაწილება ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით. სტრაბონი ამ პერიოდის იბერიელების შესახებ აღნიშნავს, რომ მათ აქვთ მდიდარი ქვეყანა და განსაკუთრებით დასახლებული ვარგისი მიწები. იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითაც და დაბებითაც, ისე, რომ იქ არის კომფორტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებანი“*.

მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე, იბერიის სატახტო ქალაქი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ქალაქის ქუჩები დამშვენებულია არქიტექტურული წესით ნაგები შენობებით. ამ შენობებს შორის ვხვდებით: მეფეთა და წარჩინებულთა სასახლეებს, საზოგადოებრივ შენობებს, თეატრს... ქალაქს

* თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია. თბ., 1957 წ., გვ. 127.

იცავს გრანდიოზული ციხე-კოშკები... ქალაქში არის წყალსადენი, კარგად გამართული თბილი, ცხელი და ცივი წყლით ბანაობისათვის განკუთვნილი აბანო, მრავალი სახელოსნო, სავაჭრო დუქნები და შესაძლოა ცხენთსარბიელი და გიშნაზია.

საინტერესოა გ. ლომთათიძის შემდეგი ცნობა: „ბაგინეთ არმაზისციხეში გათხრილი იქნა ერთი ნამდვილად გრანდიოზული და საზეიმო ნაგებობა — „სვეტებიანი დარბაზი", დიდრონი, ზუსტად თლილი ბლოკებით ნაგები, რომელიც ძვ. წ. ა. მე-4 — მე-2 საუკუნეებით თარიღდება..." იქვე აღნიშნავს: „მისი ფუნქციის საკითხიც ბუნდოვანია ჩვენთვის"*.

დედაქალაქს სპეციალური „მხატვარი უხუცესი" და არქიტექტორიც („ხუროთმოძღვარი") კი ჰყოლია, რაზედაც მიუთითებს ადრექრისტიანული ხანის „სტელა", რომლის წარწერაშიაც ნათქვამია, რომ თავის დროზე ეს სტელა აღმართული ყოფილა იქ, სადაც საუკუნო განსვენება უპოვნია ვინმე აქოლისს, მცხეთის მხატვართუხუცესსა და ხუროთმოძღვარს. ასეთივე თანამდებობა არსებობდა ამავე პერიოდის ბოსფორის სამეფოში**.

არსებობდა მეფის პირადი მცველი რაზმის ხელმძღვანელის თანამდებობა, რომელიც „ეზოსმოძღვრის" სახელწოდებითაა ცნობილი. სათანადო წერილობითი პირველწყაროებით ირკვევა, რომ იბერია ან. წ. ა. I-III ს. ს. წინა აზიის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა და მასზე მსოფლიოში იმ დროისათვის უძლიერეს სახელმწიფოს რომს ხელი ასე ადვილად არ მიუწვდებოდა. რომის იმპერატორები სულ იბერიასთან მეგობრობაზე ლაპარაკობდნენ. იბერიის მეფეებსა და დიდებულებს რომში მეგობრული ვიზიტით იწვევდნენ და მათ ძვირფას საჩუქრებს უძღვნიდნენ. 1867 წ. მცხეთის მახლობლად აღმოჩენილ ახ. წ. 75 წლის ბერძნულ წარწერაში ვკითხუ-

---

* გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1955 წ., გვ. 335-336.

** ა. აფაქიძე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე, 1956 წ., გვ. 36.

ლობთ: „თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა და. დომიციანე კეისარმა, სებასტოსის ძემ იბერთა მეფეს მიჰრდატს ფარსმანის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელების მოსიყვარულე ერს ეს ზღუდე გავუმაგრე“*.

ვესპასიანე ამ წარწერაში იბერთა მეფეს იხსენიებს, როგორც თანასწორს.

დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში) მე-6 საუკუნიდან, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში (იბერიაში) მე-4 საუკუნიდან წარმოიქმნება რა ახალი წარმოებითი ურთიერთობანი, მან ხელი შეუწყო ქვეყნის შემდგომ კულტურულ-ეკონომიურ გაძლიერებას, მიწათმოქმედებისა და ვაჭრობა-ღლებ-მიცემობის წარმოშობას და შემდგომ განვითარებას, ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდას და მის საფუძველზე ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების აღმავლობას. ამასთან ერთად ყალიბდება და მტკიცდება ფეოდალური აღზრდის ახალი მონათმფლობელური სისტემა, რომელმაც იმთავითვე სამხედრო გამოყენებითი ხასიათი მიიღო. მუდმივმა შეტევითმა და თავდაცვითმა ომებმა, რომლის წარმოებაც უხდებოდათ ქართველებს და კლასობრივი ბატონობის განმტკიცებაზე ზრუნვამ განსაზღვრა ქართველი არისტოკრატების (მონათმფლობელების) ფეოდალური აღზრდის სამხედრო ხასიათი და მიმართულება. სამხედრო გამოყენებითი ვარჯიშთა საჯეები შეესატყვისებოდა მათ სამხედრო პროფესიას და შეიარაღების ხასიათს.

---

* ბ. აფაქიძე, დას. ნაშრომი, გვ. 32.

შეიარაღებული ძალები, შეიარაღება და სამხედრო ფიზიკური მომზადების სისტემა

ფიზიკური მომზადება, ფიზიკური გაწვრთნა, არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა ძველთაგანვე. რაზდენადაც სამხედრო ტექნიკა დაბალი იყო, იმდენად არმიის ფიზიკურ მომზადებას, მასში ვაჟკაცობის, გამბედაობის, ფიზიკური ძალისა და მოშნილობის გამომუშავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა. ხოლო ფიზიკური მომზადების ძირითად საშუალებას სწავლასთან ერთად ხასიათის სამხედრო ფიზიკური ვარჯიშობანი წარმოადგენდა. ამასთან მათი ცალკეული სახეების არსებობა განპირობებული იყო ამა თუ იმ საომარ და საბრძოლო იარაღის არსებობით. ასეთი ახალი იარაღის შემოღება ხელს უწყობდა ფიზიკურ ვარჯიშობათა ახალი სახეების წარმოშობას, ხოლო თავის მხრივ ფიზიკური ვარჯიშობანი ხელს უწყობდა ამა თუ იმ საომარ და საბრძოლო იარაღის ომსა და ბრძოლაში დახელოვნებით გამოყენებას.

მონათმფლობელური საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო-ფიზიკური მომზადების სისტემის შესწავლის დროს აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის იმ დებულებით, რომ შეიარაღებისა და სამხედრო ხელოვნების განვითარების დონე უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება ეკონომიური პირობებით.

„არაფერი არაა ეკონომიურ პირობებზე ეგზომ დამოკიდებული, — წერდა ენგელსი, — როგორც სწორედ არმიის შემადგენლობა, ორგანიზაცია, შეიარაღება, სტრატეგია და ტაქტიკა; საფუძველი შეიარაღებაა, ხოლო ეს უკანასკნელი კვლავ უშუალოდ დამოკიდებულია წარმოების მიღწეული საფეხურებისაგან“*.

ადრემონათმფლობელურ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს სხვადასხვაგვარი სამხედრო ძალების ორგანიზაცია და შეიარაღება გააჩნდათ, რაც გამოწვეული იყო მათი ეკონომიური განვითარების სხვადასხვა დონით. იმ

---

* ფრ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, 1952 წ., გვ. 426, 427.

დროს, როდესაც აქ მოსახლე ხალხებს — სვანებს, ხევსურებს, თუშებს და ფშაველებს სამხედრო დემოკრატიული წყობა გააჩნდათ, იბერიაში და კოლხეთში გარკვეული საზოგადოებრივი კლასები არსებობდა და მაშასადამე გარკვეული კლასობრივი საზოგადოებრივი წყობაც. აღნიშნული მთელი სიცხადით და მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის მომარჯვებით ცხადჰყო ჯერ აკად. ს. ჯანაშიამ თავის ცნობილ ნაშრომში „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე" და შემდეგ პროფ. გ. მელიქიშვილმა შრომაში „საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის".

ორმა ურთიერთისაგან განსხვავებულმა ეკონომიური განვითარების დონემ, განაპირობა ორი, ურთიერთისაგან განსხვავებული სამხედრო ფიზიკური მომზადების სისტემის ჩამოყალიბება, ყველასათვის სავალდებულო და თანაბარი მთაში მოსახლე ხალხებისათვის, ინდივიდუალური — გაბატონებული კლასის წარმომადგენლებისა და მეომრებისათვის, სავალდებულო — ბარში მცხოვრებ ხალხებისათვის.

საქართველოს მთაში მცხოვრებ ხალხებს სამხედრო დემოკრატიული წყობა გააჩნდათ, რომელიც გარდამავალი საფეხურია პირველყოფილ თემურ წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაზე. ამ პერიოდში ტომები ხალხებად ერთიანდებიან, რომლის სათავეში მხედართმთავარი დგას და, რომელიც სახალხო კრებასთან და უხუცესთა საბჭოსთან ერთად მართავს და ხელმძღვანელობს ხალხს. ხალხში ჯერ კიდევ ცოცხლობს ტომობრივი წყობილების ნაშთები, მაგრამ ის არ წარმოადგენს წარმმართველ ძალას. ხალხს სამხედრო ორგანიზაციული წყობა გააჩნია, რაც აუცილებელია ომიანობისათვის, რომელიც ამ პერიოდის ხალხის ფუნქციადაა გადაქცეული. ომი, როგორც მუდმივი საქმიანობა, ხელს უწყობდა მხედართმთავრების უფლების გაძლიერებას და ბოლოს ის არჩევითობიდან — მემკვიდრეობითი ხდება. ამგვარად, საზოგადოებრივი თემური ორგანოები სახელმწიფოებრივ ორგანოებად იქცევიან.

ბუნებრივია, რომ ამ პერიოდში ყველა ხალხებში და მათ შორის საქართველოშიც, ჯარი, ლაშქარი და ხალხი თანაბარ-

მნიშვნელოვანია, „ერისკაცი“ „ჯარისკაცსაც“ ნიშნავს, ყველა „ერისკაცი“ ამავე დროს მეომარია, აქ არ არსებობს ჩამოყალიბებული ფეოდალური რაზმები და მით უფრო დაქირაკებული მეომრები. სამხედრო სამსახური არ წარმოადგენს ერთისთვის პრივილეგიას, მეორისათვის — დამამძიმებელ ტვირთს, ის, ყველასათვის, ვისაც კი შეეძლო, სავალდებულო იყო.

სამხედრო დემოკრატიული წყობა ყველა „ერისკაცს“ ავალდებულებს ომისათვის სათანადო მზადებას, სამხედრო გამოყენებითი ფიზიკური ვარჯიშობებით მომზადებას. ფიზიკური აღზრდის სისტემა სამხედრო დემოკრატიული წყობის შესატყვისად სამხედრო გამოყენებით ხასიათს ღებულობს, ომის წარმოების საქმისათვის მოამზადების ძირითად საშუალებას წარმოადგენს და, როგორც ომის წარმოება, ისიც საერთო სახალხო საქმედ იქცევა. „ისინი ჯერ კიდევ მთლად „გამუშაკგლეხებულნი“ ე. ი. მიწაზე მძიმედ დაკრულნი და ფეოდალური ტვირთისაგან წელში მძიმედ მოხრილნი არ იყვნენ, არამედ ძლიერს ვაჟკაცურსა და ამაყ სულს ატარებდნენ, აბჯრის სიყვარულსა და ხმარებას ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ და ჩინებული მეომრებიც გამოდიოდნენ“*.

არქეოლოგიური მასალებიც ადასტურებს, რომ „ცამეტი-თოთხმეტი წლის ბიჭებიც კი იარაღით აღჭურვილნი არიან ხოლმე დამარხული... ამ წინაპრებს მკაფიოდ გამოხატული, მეომრული სამამაცო ზნე და სულისკვეთება ჰქონიათ“**.

ფრ. ენგელსი თავის ცნობილ კლასიკურ ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ ახასიათებს რა გვაროვნულ საზოგადოებას, აღნიშნავს, რომ ასეთი საზოგადოება წარმოშობს გულწრფელ, ხასიათით მტკიცე და მამაც ადამიანებს. „ამ სიმამაცის ნიმუშები სულ ცოტა ხნის წინათ აფრიკაშიც დავინახეთ, — წერს ენგელსი, — ზულუს-კაფრებმა ამ რამდენიმე წლის წინათ, ისე როგორც ნუბიელებმა ამ ორიოდე თვის წინათ, ორივე ტომმა, რომლებშიც გვაროვნული წეს-წყობილება ჯერ კიდევ არ

* ს. ჯანაშია, შრომები, 11, 1952 წ., გვ. 457.

** გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევზე, 1952 წ., გვ. 424.

გამქრალა, — ისეთი რამ გააკეთეს, რის შესრულებაც ჯერ კიდევ ევროპულ ჯარს არ შეუძლია. ეს ტომები შეიარაღებული იყვნენ მხოლოდ შუბებითა და სატყორცნი სათხეველებით, არ ჰქონდათ ცეცხლმსროლელი იარაღი, მაგრამ ისინი, ინგლისის ქვეითი ჯარის, რომელიც მიჯრილი წყობილების მხრივ საყოველთაოდ აღიარებული იყო როგორც პირველი ჯარი მსოფლიოში, სწრაფად მსროლი თოფებიდან სეტყვასავით წამოსულ ტყვიის ცეცხლქვეშ ხელჩართულ ბრძოლაზე ვადადიოდნენ, ხშირად არღვევდნენ მოწინააღმდეგის რიგებს და უკუაქცევდნენ კიდეც მას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულიად არ იხდიან სამხედრო ბეგარას და არ იციან, რა არის სამწყობრო სამსახური. თუ რის ატანა და შესრულება შეუძლიათ მათ, ამას მოწმობს ინგლისელების ჩივილი, კაფრი დღე-ღამეში მეტ მანძილს და უფრო ჩქარა გაირბენს, ვიდრე ცხენიო, „კაფრის ყოველი უწვრილესი კუნთი, მაგარი და წრთობილი, როგორც ფოლადი, წნული თასმის მსგავსად გამოირჩევაო", — ამბობს ერთი ინგლისელი მხატვარი.

ასე გამოიყურებოდნენ ადამიანები და ადამიანთა საზოგადოება, ვიდრე სხვადასხვა კლასებად საზოგადოების გათიშვა მოხდებოდა"*.

განვითარების ამ საფეხურზე იმყოფებოდა ადრემონათმფლობელური საქართველოს მთიან რაიონებში მცხოვრები ხალხები — სვანები, ფშაველები, ხევსურები და მთიულები და ისევე როგორც ნუბიელები და კაფრ-ზულუსები, გამოირჩეოდნენ სხვა მეზობელ ხალხებისაგან თავიანთი მამაცობით, გამძლეობით და ბრძოლისუნარიანობით, რომელიც შეძენილი ჰქონდათ სათანადო სამხედრო-ფიზიკური მომზადებით. ამ დროის სვანების შესახებ სტრაბონი მოგვითხრობს: „სვანები თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ, ფლობენ ისინი ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები", ამიტომაც გასაკვირი არ არის, როდესაც იგივე სტრაბონი აღნიშნავს, რომ სვანებს, რომელთაც იმ დროს სამხედრო დემოკრატიული წყობა გააჩნდათ,

* თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია გვ. 126, 1957 წ.

შეეძლოთ 200000 მეომრის გამოყვანა, იმ დროს, როდესაც ტერიტორიულად და მოსახლეობით მასზე დიდ იბერიას მხოლოდ 82 ათასი მეომრის გამოყვანა შეეძლო, ე. ი. ორჯერ ნაკლებისა, ვინემ სვანებს, მაგრამ ამასთან ერთად სტრაბონი იმის შესახებაც მიუთითებს, რომ „მთიელი ხალხი მეომარია, მაგრამ არაორგანიზებული“.

მთიან რაიონებში მცხოვრებ ხალხებში სამხედრო დემოკრატიული წყობა ხელს უწყობდა მათ ფიზიკურ წრთობას, რომლისათვისაც გამოყენებული ჰქონდათ სამხედრო-გამოყენებითი ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეები — შუბისა და მშვილდისრის ტყორცნა, ფარიკაობა, ქვებისა და სიმძიმეების ტყორცნა, ჭიდაობა და სხვ. ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეებში ვარჯიშ-წვრთნა, რომელსაც საზოგადოებრივ, „ერის“, იგივე „ჯარის“, „ლაშქრის“ შესაკრებ ადგილებში ატარებდნენ. ისინი იმდენად დახელოვნებული ყოფილან აღნიშნულ სამხედრო ვარჯიშობათა სახეებში, რომ ხშირად რაოდენობრივად მათზე მეტ შემოსეულ მტერს, არა თუ უმკლავდებოდნენ, არამედ ხშირად თავიანთ განზრახვაზე ხელს აღებინებდნენ. პომპეუსი ჩვენს ერამდე 65 წელს შემოიჭრა საქართველოში, დაიპყრო იბერია, შემდეგ ლიხზე გადაელით იპყრობს კოლხეთს, ჩადის ფაზისში, — მან ფაზისიდან გაილაშქრა ჩრდილოეთისაკენ, თითქოს მხოლოდ „სურდა ენახა ტანჯვათა ის ადგილი, სადაც გადმოცემის თანახმად კავკასიის მთებში იტანჯებოდა პრომეთე“*.

პომპეუსს განსაკუთრებით აინტერესებდა კავკასიონის მთებიდან ჩამომდინარე ნაკადულების ოქროს ნაწილაკები და გრძელბეწვიანი ტყავებით ამ ოქროს შეგროვების წესი, მაგრამ რომაელებს, რაც უფრო ჩრდილოეთით მიიწევდნენ, მამაც მთიელ ტომებთან ბრძოლა თანდათან უძნელდებოდათ. პომპეუსი იძულებული შეიქნა შემდგომ წინსვლაზე ხელი აეღო. ასევე ვერ შეძლო მცირერიცხოვანი არაგველებისა და ფშაველების დამორჩილება, რომელთა ვაჟკაცობამ, ხმლისა და ფარის დახელოვნებით ხმარებამ გააოცა რომაელი.

მთიული ხალხები განირჩეოდნენ რა თავიანთი მაღალი

* აპიანე. მითრიდატეს ომები. გვ. 103.

სამხედრო ფიზიკური მომზადებით ბარად მცხოვრებ იბერიელებისა და კოლხებისაგან, ისინი მომდევნო პერიოდში ფეოდალური ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ, აღმოსავლეთ საქართველოსათვის — ხევსურები და ფშაველები, იმერეთისათვის — ლეჩხუმელები, რასაც ვახუშტის შემდეგი ცნობა ადასტურებს:

„მეფეს მსახურებს აძლევდნენ ხეობელნი, უმეტეს მოხვეე მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთაოდ“*. იგივე ვახუშტი ლეჩხუმელების დახასიათებისას წერს: „კაცნი ბუნებურნი მბრძოლნი და შემმართებელნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მხნენი და მორჩილნი უფალთა თვისთა... გარნა ესე ლეჩხუმი, შემდგომად განყოფასა სამეფოთა, იყო ტალანი (ე. ი. მცველნი. ვ. ა.) იბერთა მეფისა“**.

მაშასადამე, მთიელი ხალხები იმყოფებოდნენ რა ბარის ხალხებთან შედარებით ეკონომიური განვითარების დაბალ საფეხურზე, რომელთა ეკონომიური განვითარების დონეს შეესატყვისებოდა სამხედრო დემოკრატიული წყობა, რომლის დროსაც ყველა „ერის“ კაცი ამავე დროს „ჯარის“ კაცია. საჭირო იყო თანაბრად ეზრუნათ სამხედრო ფიზიკურ მომზადებაზე, რადგან მათ შორის ჯერ კიდევ არ არსებობდა მეომართა სპეციალური ჯგუფი ან წოდება, რომელიც მათ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას უზრუნველყოფდა. რამდენადაც ყველა „ერის“ კაცი ამავე დროს „ჯარისკაცსაც“ წარმოადგენდა, ამდენად ისინი ვალდებულნი იყვნენ საერთო ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად სამხედრო გამოყენებითი ფიზიკური ვარჯიშობებით განევითარებინათ სათანადო საბრძოლო თვისებები. ამიტომაც იყო მთებში მოსახლე ხალხები „მებრძოლნი და შემმართებელნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მხნენი“.

იმ გარემოებას, რომ ისინი მეფის სპეციალურ დამცველ ძალას წარმოადგენდა, ხელი უნდა შეეწყო მათი შემდგომი სამხედრო-ფიზიკური მომზადების სრულყოფისათვის, რომლისთვისაც საკმაო თავისუფალი დროც გააჩნდათ მეფის კარზე მყოფთ. ამიტომაცაა, რომ მთიელ ხალხებს გვიან

* ს. ჯანაშია, შრომები II, თბილისი 1952 წ., გვ. 457
** ს. ჯანაშია, შრომები II, თბილისი. 1952 წ., გვ. 458.

ფეოდალურ პერიოდამდე შემორჩათ იარაღებისადმი სიყვარული და სამხედრო-ფიზიკური მომზადების ხალხური სახეები, რომლის აღწერილობა მოცემული აქვთ მთელ რიგ მოგზაურებსა და ეთნოგრაფებს.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6, მე-4 საუკუნეებიდან დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ყალიბდება სახელმწიფო ფუნქციების მატარებელი ხალხთა ორი დიდი პოლიტიკური გაერთიანება, დასავლეთ საქართველოში — კოლხეთი, აღმოსავლეთ საქართველოში — იბერია. სახელმწიფო ერთეული გულისხმობს მისი დამცველი ჯარის არსებობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მეფის ხელისუფლება ჰაერში ჩაბოჯიდებული იქნებოდა.

ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი (XI ს.), რომელსაც საქართველოს უძველესი ისტორიის შედგენისას მაწინ არსებული პირველწყარო უნდა გამოეყენებინა, საქართველოს სამხედრო ძალების პირველ ორგანიზაციას იბერიის მეფეს ფარნაოზს მიაწერს. ისტორიკოსის ცნობით ფარნაოზ შეფემ გაანთავისუფლა რა საქართველო უცხო დამპყრობელ აზონისაგან, დაპყო საქართველო რვა საერისთაოდ, რომელსაც დაუნიშნა ერისმთავრები. ამის შემდეგ ერთი დაადგინა სპასპეტად (ჯარების მთავარსარდლად), რომელიც სახელმწიფოში უფლებრივად მეფის შემდეგ მეორე პირია, რომლის უშუალო გამგებლობაშია საერისთაოების სამოქალაქო და სამხედრო ზედამხედველობა. არმია დაყოფილია ტერიტორიული ნიშნით საერისთაოებად. თითოეულ საერისთაოს თავის მხრივ თავისი არმიის უფროსი სპასალარი ჰყავდა, რომელიც საქართველოს მთავარსარდალს სპასპეტს ექვემდებარებოდა. საერისთაოების არმია დაყოფილი იყო ათასეულებად. ისტორიკოსი არ იძლევა ცნობას არმიაში ათასეულზე უფრო დაბალი დანაყოფის არსებობის შესახებ, არ იძლევა არა იმიტომ, რომ ასეთი საქართველოში არ უნდა ყოფილიყო, არ იძლევა იმიტომ, რომ უფრო მცირე დანაყოფის მეთაურთა დანიშვნა არ შედიოდა მეფისა და სპასპეტის მოვალეობაში, ხოლო ლეონტი მროველი ამ შემთხვევაში იძლევა მხოლოდ და მხოლოდ მეფის ხელისუფლების დახასიათებას; არმიის უფრო დაბალი დანაყოფის. ასეულების

ან ათასეულების უფროსების დანიშვნა მინდობილი უნდა ჰქონოდა საერისთაოს, სპასპეტებსა და ათასისთავებს. ქართველთა სამხედრო ძალების ორგანიზაცია ამ პერიოდში უნდა ყოფილიყო ისეთი, როგორიც ირანში არსებობდა; ლეონტი მროველი პირდაპირ მიუთითებს, რომ ფარნაოზ მეფემ: „ესრეთ განაწესა ესე ყოველი შიმოგავსებულად სამეფოსა სპარსთასა".

ამ პერიოდის საქართველოში საკუთრივ საქართველოს ტერიტორიული არმიის გარდა უნდა ყოფილიყო დაქირავებული არმიაც, რომელსაც ძნელ ომიანობის პერიოდში იყენებდნენ. ლეონტი მროველს მითითებული აქვს ფარნაოზის მიერ ოსეთისა და ლეკების ჯარის დაქირავების შესახებ „ხვასტაგით".

ფარნაოზ მეფემ, ნადირობის დროს აღმოაჩინა რა შემთხვევით დიდებული განი („ხვასტაგი"), ამის შესახებ შეატყობინა დასავლეთ საქართველოს მეფეს ქუჯის და სთხოვა მისთვის ამ სიმდიდრით არმია დაექირავებინა. ქუჯიმ ფარნაოზს შეუთვალა: „ხვასტაგითა შენითა განგიმრავლე სპანი შენიო". ე. ი. ქუჯიმ ფარნაოზს ამ სიმდიდრით დაუქირავა ოსეთისა და ლეკების ლაშქარი. „მაშინ შეიერთნეს და ეზრახნეს ოსთა და ლეკთა" და ამ გაერთიანებული ძალებით დაიხსნეს დამპყრობი აზონისაგან საქართველო. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ბრძოლის დროს აზონს რაღაც მიზეზის გამო განდგომია ის 1000 რომაელი მხედარი, რომელიც მას საქართველოში ჰყავდა და შეუერთდა ქართველებს, რის შემდეგ ისინი მუდმივ მცხოვრებლებად საქართველოში დარჩენილან.

როგორც ქართული, ასევე უცხოური პირველწყაროები მიუთითებს ანტიკური ხანის საქართველოში გარკვეულ სამხედრო ძალის არმიის არსებობაზე ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე უფრო ადრე თუ არა, მე-5 საუკუნიდან მაინც. არმიის არსებობა და ხშირი ომები ისეთ ძლიერ სახელმწიფოებთან, როგორსაც ირანი, საბერძნეთი და რომი წარმოადგენდა, დღის წესრიგში აყენებდა არმიის სამხედრო-ფიზიკური მომზადების სისტემის შექმნას.

ჩვ. ერამდე მე-5 საუკუნის ბერძენი მხედართმთავრისა

და ისტორიკოსის ქსენოფონტეს ცნობით, რომელიც თვით კოლხეთში ნამყოფად ჩანს, კოლხები სამხედრო საქმეში იყენებდნენ რაზმებად და გუნდებად დაყოფას, რაც აადვილებდა როგორც მათ წვრთნას, ასევე ბრძოლის დროს ორგანიზებულ მოქმედებას, სამხედრო-ფიზიკური მომზადების უზრუნველსაყოფად იყენებდნენ სამწყობრო მომზადებას (ფეხაწყობით სვლას). ფეხაწყობით სვლა ხშირად სიმღერით ტარდებოდა, რაც აადვილებდა სიარულს და ჯარს სამხედრო იერს და გაბედულებას მატებდა. მოსინიკების წეს-ჩვეულებათა აღწერისას ქსენოფონტე გადმოგვცემს: „მას შემდეგ, რაც მოსინიკები დაირაზმნენ, ერთ-ერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო, ხოლო დანარჩენებმა სიმღერას ფეხი შეუწყვეს და ისე გაემართნენ მტრისაკენ. საბრძოლო წესით მოეწყვნენ შემდეგნაირად: ისინი დალაგდნენ ასეულებად, გუნდების მსგავსად, ერთმანეთის პირდაპირ“. ქსენოფონტე აქვე იძლევა კოლხების ამ ურჩი ტომის მოსინიკების სამხედრო შეიარაღების დახასიათებას და განაგრძობს: „ყველას ჰქონდა დაწნული ფარები, ხარის თეთრი ტყავით შემოჭიმული სუროს ფოთლის მოყვანილობისა, მარჯვენა ხელში მათ ექვსი არშინის სიგრძის ხელშუბები ეჭირათ, წინ შუბებს მახვილი ჰქონდათ, ხოლო უკან მომრგვალებული ბოლო. ისინი მუხლებამდე პერანგებს ატარებდნენ, ისეთი ძველი ქსოვილისაგან, როგორც ტილოს ტომრებია, ხოლო თავზე პაფლაგონიელთა მსგავსი მუზარადები ეხურათ. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ რკინის შუბნაჯახი. მაშინ ერთმა მათგანმა დაიწყო სიმღერა და დანარჩენებმაც სიმღერით დაიწყეს სიარული (ტაქტში), გაიარეს ელინთა ჰოპლიტების წინ და ერთბაშად დაესხნენ მტერს“.

სტრაბონის ცნობით, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა პასიდონიოსის ცნობას და, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 საუკუნის მდგომარეობას გადმოგვცემს, იბერიაში ოთხი კლასი თუ წოდება არსებულა, რომელთაგან მესამე მხედრებისა და მიწათმოქმედებისაგან შედგებოდა.

ბრძოლებში თავიანთი სიმამაცით, ვაჟკაცობით და გამბედაობით ადრეულ პერიოდიდანვე ცნობილნი ყოფილან „კოლხები — ეს ომიანობისათვის გიჟი ტომი“, როგორც მათ აპიანე

ისსენიებს.* აპიანე ეხება რა მითრიდატეს განსაკუთრებულ გაძლიერებას, მიუთითებს მის მიერ კოლხების შემოერთებაზე, რომელმაც ხელი შეუწყო ამ საქმეს. რომაელებთან პირველი ბრძოლა მითრიდატეს გამარჯვებით დამთავრდა. მითრიდატემ გამარჯვება მოიპოვა არა რაიმე ძლიერი პოზიციის გამო ან მოწინააღმდეგის შეცდომის წყალობით, არამედ სარდლებისა და ჯარის სიმამაცის წყალობით, — აღნიშნავდა აპიანე.

ქართველ ტომების და კერძოდ კოლხების სამხედრო ფიზიკურ მაღალ მოწზადებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მითრიდატემ შეკრიბა რა სომხეთში 70.000 ქვეითი და ამის ნახევარი ცხენოსანი, გაანაწილა ისინი რაზმებად და კოჰორტებად. თითქის ისევე, როგორც იტალიური ლაშქარი და გადასცა ისინი გასაწვრთნელად პონტოელ მასწავლებლებს. პონტოელ მასწავლებლებში ვგულისხმობთ პონტოს ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებს, სადაც „ძველთაგანვე ქართველი ტომები მოსახლეობდნენ და, სადაც ჩვ. წ. ა. მე-3 საუკუნის დასაწყისში პონტოს ძლიერი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა. მითრიდატეს ომების დროს თვით კოლხეთი პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.**

ასევე ქართველთა მეორე ტომის ხალიბების შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი მოწინააღმდეგის დანახვისას სიმღერასა და ცეკვას იწყებდნენ. აქ მოტანილი ცნობებიდან ნათლად სჩანს, რომ ორივე შემთხვევაში ლაშქრულ სიმღერებთან გვაქვს საქმე. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პირველი სიმღერა. მას იწყებდა ერთი, რომელსაც როგორც ჩანს, შემდეგ ყველანი უერთდებოდნენ. ეს იყო მხნე სიმღერა, ამავე დროს ტაქტიანი, მეომართა რიგებს ფეხის აწყობა რომ შეძლებოდათ. სალაშქრო სიმღერით ფეხაწყობით ტაქტში სვლა განსაკუთრებული წვრთნის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. აღნიშნულით ცნობილი ხდება, რომ ქართველ ტომებს ადრეულ პერიოდიდანვე გააჩნდათ სამხედრო სალაშქრო

---

* აპიანე — მითრიდატეს ომები. გ. გოზალიშვილი, ძველი ისტორიის ქრესტომათია, 1951 წ., გვ. 212.

** ლ. სანიკიძე. პონტოს სამეფო, 1956 წ., გვ. 10.

სიმღერა (ყოველ შემთხვევისათვის ჩვ. წ. ა. მე-5 საუკუნეში ეს უკვე ცნობილი ფაქტია), რომელიც წარმოადგენდა როგორც მეომართა გამხნევებისა და მოწინააღმდეგის დემორალიზირების, ასევე საბრძოლო რიგების ტაქტიან ფეხაწყობით მოძრაობის საშუალებას. მთელი რაზმეულის ასეთი ფეხაწყობით ტაქტში სვლა წარმოუდგენელია სპეციალური ვარჯიშ-წვრთნის გარეშე. ერთი ცხადია, რომ მოგვიანო პერიოდის რომაელი ავტორი ვეგაციუსი, რომელსაც საბუღრო საქმის მოკლე სახელმძღვანელო შეუდგენია, სხვადასხვა ხალხების საბრძოლო გამოცდილებისა და ავტორთა თხზულებებიდან (მე-3 საუკუნე ჩვ. ერით) საგანგებოდ მიუთითებს ახალ წვევამდელთათვის სალაშქრო ნაბიჯის სწავლებასა და რაზმეულებად მოძრაობისას სისწორისა და სისწრაფის გამოშუშავებაზე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც ბრძოლა შემჭიდროებული რიგებით წარმოებდა.

თუ გვაროვნული წყობილების დროს ხალხი და ჯარი ერთი იყო და იარაღიც ერთნაირი ჰქონდათ, კლასობრივ საზოგადოებაში ისახება იარაღის სხვადასხვაობა, განსაკუთრებით რკინის იარაღის შემოღებიდან, რამაც იარაღის გაძვირება გამოიწვია, რის გამოც შეუძლებელი იყო ყველას ჯარში გაყვანა, განსაკუთრებით „ერის“ მცირე შემძლე წევრებისა. კიდევ უფრო ძნელად ხელმისაწვდომი ხდება იარაღი მაშინ, როცა მძიმე აბჯარი შემოდის. როცა კაჟისწვერიან ისარსა და შუბს ხმარობდნენ, მაშინ ყველას ერთნაირი იარაღი ჰქონდა, ხოლო რკინის იარაღის შემოღებამ, რომლის შეძენა მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ, წარმოშვა განსაკუთრებული პრივილეგიური ჯგუფი მეომრებისა, რომლებიც ლითონის ახალი საბრძოლო იარაღით დახელოვნებაში ვარჯიშობდნენ, მდიდრებმა ასეთი იარაღი ხელში რომ ჩაიგდეს, კიდევ უფრო გაძლიერდნენ. ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ფიზიკური ვარჯიშების წარმოშობისათვის საჭირო არა მარტო საწარმოო და საომარი იარაღების მინიმუმის, არამედ იმაზე მეტი იარაღის არსებობა, რაც მათ ო

შუბის ან ისრის მეტი არ ექნებოდა, ის ვერ ივარჯიშებდა იარაღის გატეხვის ან დაზიანების შიშით. ყველაზე მეტი და ხარისხიანი იარაღი გაბატონებული კლასის — მდიდართა ხელში იყო, და ისინი იარაღის ნაწილს სავარჯიშოდ იყენებდნენ. ამიტომაც ვარჯიშობაც უფრო მეტი იარაღების მფლობელთა საკუთრებას წარმოადგენდა. ესენი კი საზოგადოების წარჩინებული წოდება იყო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ხალხი, დაბალი ფენა არ ეწეოდა ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეულ საბეობებში ვარჯიშ-წვრთნას. თუ მაღალი წოდების წარმომადგენლები ვარჯიშობდნენ ცხენოსნობასა და საბრძოლო ორთვალების მართვის საქმეში, ან შუბისა და ხმლის დახელოვნებით გამოყენებაში, „მდაბიონი" ვარჯიშობდნენ შურდულით ქვის ტყორცნაში, ხის ხმლებით ფარიკაობაში, ჭიდაობასა და რბენა-ხტომაში. ამდენად კლასობრივ საზოგადოებაში ფიზიკური ვარჯიშობანი და, მაშასადამე, სამხედრო ფიზიკური აღზრდის სისტემა ორ დიდ ჯგუფად გაიყო, წარჩინებულთა ფიზიკური აღზრდისა და ხალხურ (მდაბიოთა) ფიზიკური აღზრდის სისტემად. ასე გაჩნდა წარჩინებულნი და მასთან ერთად წარჩინებულთა სამხედრო ფიზიკური აღზრდის სისტემა. „წარჩინებულთაგან ნიშნავდა მეფე თავის სარდლებსაც. ეს იმიტომ, რომ ამ მდიდარ ხალხს, რომელსაც საუკეთესო იარაღი ჰქონდა და რომელიც მიწას თვითონ არ ამუშავებდა, შეეძლო თავისი დრო მთლიანად სამხედრო საქმისათვის მოენდომებინა, ესწავლა კარგი იარაღის ხმარება, კარგ ცხენზე ჯდომა"*. წარჩინებულთაგან შემდეგში წარმოიშვა ერისთავები და აზნაურები. „აზნაური ეწოდებოდა ისეთს თავისუფალ კაცს, რომელსაც თავისთვის დაჩემებული ადგილი ჰქონდა და, რომელიც ამ მიწას ყმების საშუალებით ამუშავებდა, თვითონ კი მეტწილად ომობდა, თარეშობდა, ნადირობდა"**.

ქვეყნის შემდგომმა განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ფეოდალური საზოგადოებრივი ფორმაციის ჩამოყალიბებას საქართველოში. უკვე საქართველო მე-4 საუკუნიდან (იბე-

---

* ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, 1946 წ., გვ. 88.

** იქვე, გვ. 89.

რია და კოლხეთი) დაადგა ფეოდალიზაციის გზას. მონის შრომა ყმის შრომით იცვლება, რომელიც მეტ შრომის ნაყოფიერებას იძლეოდა და რომელიც ხელს უწყობდა წარჩინებულთა გამდიდრებას. ამასთან ერთად ისახება ერთის მხრივ ფეოდალური რაზმები, ხოლო მეორეს მხრივ მეფის მიერ დაქირავებული პირადი დაცვა. აღნიშნულ პერიოდში სამხედრო ფიზიკური აღზრდა თანდათან მცირდებოდა თავისი მოცულობით და ის მაღალი, ფეოდალური წრის, გაბატონებული კლასის საკუთრებად იქცეოდა მეომართა ვიწრო კასტურ ჯგუფთან ერთად. ამასთან ერთად მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა შეწყვიტა სისტემატური და რეგულარული ფიზიკური წვრთნა მეომართა ვიწრო კასტური ჯგუფის წარმოშობის გამო, რომელთა საქმიანობას „გულოვნობა" წარმოადგენდა. მაშასადამე, საზოგადოების კლასებად დაყოფამ გამოიწვია ხალხის ძირითადი მასის ნაწილობრივ ფიზიკური დაკნინება. კლასობრივ საზოგადოებაში ფიზიკური აღზრდა და ფიზიკური მომზადება გაბატონებული კლასის საკუთრებად გადაიქცა. ფიზიკურ მომზადებას გადის არა მთელი „ხალხი", „ერი", „ლაშქარი", არამედ გაბატონებული წრე „მეომრებისა", ფეოდალური ლაშქარი, რომელიც ფეოდალური რაზმელებისაგან შედგება.

შეიარაღებული ძალების სამხედრო ორგანიზაციის შესახებ მე-5 საუკუნემდე თითქმის არ მოგვეპოვება მასალები, ხოლო მე-5 საუკუნეში ქართლის ჯარი შედგებოდა ცხენოსნებისა და ქვეითებისაგან. ბრძოლაში მოწინავე რაზმს „ცხენოსანი და ჯაქჩაბალახოსანი" წარმოადგენდა. „მათ უკანა ქუეითი და ქუეითთა უკანა სიმრავლე მხედართა"*. ქართველი ისტორიკოსის მიერ დახასიათებული ჯარის ორგანიზაციის ასეთი საბრძოლო წყობა დამოწმებული აქვს პროკოფი კესარიელსაც კოლხეთში. პროკოფი კესარიელი (მე-6 საუკ. ისტორიკოსი) აღწერს რა ლაზ-ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის იპსის ნაპირას 550 წელს წარმოებულ ბრძოლას, წერს, — „გუბაზმა, გამოიყვანა ლაზთა ჯარი და ისინიც შემდეგნაირად განეწყვნენ: პირველ რიგში ლაზთა ცხენოსნე-

* „ქართლის ცხოვრება", ს. ყაუხჩიშვილის რედ. 1957 წ., გვ. 155

ბი დაირაზმნენ მტრის პირისპირ, უკან, არა ახლოს, არამედ კარგა მოშორებით მისდევდა მათ რომაელთა ცხენოსანი ჯარი... ბოლოს მიყვებოდნენ ლაზთა მეფე გუბაზი და რომაელთა სარდალი დაგისთე თავთავისი ქვეითი ჯარით, იმ ანგარიშით, რომ თუ ვინიცობაა ცხენოსნები უკუიქცეოდნენ, ისინი ადვილად გადარჩენილიყვნენ მათი საშუალებით"*. აღნიშნულ ცნობაში ჯარის საბრძოლო წყობასთან ერთად ვგებულობთ, რომ მეფე გუბაზს და სარდალ დაგისთეს საკუთარი მცველი რაზმი უნდა ჰყოლოდა „თავთავისი ქვეითი ჯარის" სახით, რომელთა ამოცანას მეფისა და სარდლის დაცვა წარმოადგენდა, რომ მტრის შემოტევის შემთხვევაში „თუ ვინიცობაა ცხენოსნები უკუიქკეოდნენ, ისინი ადვილად გადარჩენილიყვნენ მათი საშუალებით". მეფის პირადი მცველი რაზმის არსებობას ადასტურებს ვახტანგ გორგასალის მემატიანე ჯუანშერიც ვახტანგის ოსეთის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის აღწერისას, რომლის გამო ს. ჯანაშია დაასკვნის, — „მამასადამე ქართლის ჯარი შედგებოდა ქვეითების, ჩვეულებრივი მხედრობის, სპეციალური სამხედრო ნაწილების, რომელსაც ჯავშნიანი ცხენები ჰყავს, და დასასრულ რჩეული მხედრებისაგან, ალბათ მცირე რაზმისაგან, რომელიც როგორც ჩანს, მეფის მცველია. მეფის პირადი დამცველი რაზმის არსებობაზე მიუთითებს ვახუშტი, როდესაც ეხება „როქითი" (ქირით) სპის ყოლას მირიან მეფისას. მეფის პირადი დაცვის არსებობაზე მიუთითებს მე-9 საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსიც.

როგორც ისტორიულ პირველწყაროებით დასტურდება, ქართლის მონათმფლობელური არმია შედგებოდა მხედრებისა და ქუეითებისაგან, კერძოდ, როდესაც მირიან მეფის (საქართველოს მესამე მეფე) დროს ძურძუკები თავს დაესხნენ საქართველოს, მეფემ „მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართველისათა და შემოკრიბნა ყოველნი მხედარი და ქუეითნი"**.

აქვე მოცემულია მთიან რაიონებში არმიის საბრძოლო წყობის დახასიათება, რომ ბრძოლის დროს წინ მიდის ფე-

---

* ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა ტ. 2, 1934 წ, გვ. 119.

** ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 28.

ხოსნები და ზურგს უმაგრებს ცხენოსნები („წარუძღვა წინ ქუეითთა, ზურგით შემოადგინა მხედარნი“).

თუ ჩვენ წელთაღრიცხვამდე არსებულ ზემოთ აღნიშნულ არმიის საბრძოლო წყობას შევადარებთ უფრო მოგვიანო პერიოდის საბრძოლო წყობას, მათ შორის დიდი განსხვავებაა. მეხუთე საუკუნეში არმიის საბრძოლო წყობის დროს ფეხოსნები კი არ იწყებენ ბრძოლას, არამედ „ცხენოსანნი და ჯაჭვჩაბალახოსანნი“. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ვახტანგ გორგასალის მიერ ოსეთთან წარმოებული ომის დროს ჯუანშერის მიერ მოცემული საბრძოლო წყობის აღწერილობა. ვახტანგ მეფემ განაწყო რა არმია საბრძოლველად, „სპანი იგი წარემართნეს... ცხენ-თოროსანნი და ჯაჭვჩაბალახოსანნი, წინა კერძო და მათ უკან ქუეითნი და ქუეითთა უკანა სიმრავლე მხედართა და ესრეთ მიმართეს ოვსეთს“*. ამ შემთხვევაში არმიის საბრძოლო წყობის რეორგანიზაციის მიზეზი უნდა ყოფილიყო არმიის შეიარაღებაში ჯავშანის შემოღება, რომელიც უზრუნველყოფდა მხედრებისა, „ცხენთოროსანთა“ და ჯაჭვჩაბალახოსანთა საიმედო დაცვას, ამიტომაც ბრძოლას პირველნი იწყებდნენ ჯავშოსნები, ხოლო მათ უკან მიყვებოდა ნაკლებ დაცული და მსუბუქად შეიარაღებული ფეხოსნები და მხედრები.

მას შემდეგ რაც I-II საუკუნეებში მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა რომსა და საქართველოს შორის, რასაკვირველია, რომაული არმიის ორგანიზაციას და საბრძოლო წყობასა და სამხედრო მომზადების სისტემას თავისი გავლენა უნდა მოეხდინა საქართველოს არმიის ორგანიზაციისა, საბრძოლო წყობისა და სამხედრო-ფიზიკური მომზადების სისტემაზე. მით უმეტეს საქართველოს რიგი სამხედრო დანაყოფები რომის არმიის შემადგენლობაში შედიოდა. როგორც ბიზანტიური პირველწყარო „ნუსხა ყველა თანამდებობებისა და მმართველობისა, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროსი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეებში“ იუწყება, ბიზანტიის ჯარის შემადგენლობაში იბრძოდნენ შემდეგი რაზმები: „პირველი ფრთა აბაზგებისა“, „პირველი ერთეული იბერთა“, „პირველი კოჰორტი ლუხიტელთა“ და „მეცხრე

* ქართლის ცხოვრება, I ტ., გვ. 155 — 156

კოპორტი ჭანებისა"*. ამასთან ერთად ბიზანტიის ჯარის ცალკეული დანაყოფები იდგა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, კერძოდ: ტრაპეზუნტში, რიზეში, სებასტოპოლისში, მოხორაში (მოხირისში) და პალემონის პონტოში, ტრაპიზონში იდგა ხუთი ერთეული და ექვსი კოპორტი.**

აღნიშნული ცნობებიდან უდაო ხდება ადრე თუ არა, მე-5-6 საუკუნეებში მეფის პირადი დაცვის, მეფის კარის რაზმების არსებობა.

ადრემონათმფლობელურ საქართველოს წარჩინებულთა სამხედრო-ფიზიკური აღზრდის სისტემას, მის მიზანსა და ამოცანებს განსაზღვრავდა სამხედრო საქმის განვითარების დონე, ომიანობის დროს გამოსაყენებელი საომარი საშუალებანი. ასეთ საშუალებებს წარმოადგენდა ნადირობა, ცხენოსნობა, ხელჩართული ბრძოლა, ფარიკაობა, მშვილდოსნობა, შუბის მიზანში და სიშორეზე ტყორცნა, ხმლის ხმარება, ასევე მნიშვნელობა ეძლეოდა გამძლეობის, ვაჟკაცობის, გამბედაობის, მოქნილობის, სისწრაფის გამომუშავებას. საქართველოს ადრეული პერიოდის ისტორიკოსები ლეონტი მროველი, ჯუანშერი და სხვები წარჩინებულთა დახასიათებისას განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ამა თუ იმ ამირსპასალარის, ერისთავის, მეფის ცალკეულ ფიზიკურ თვისებებს, მათ დახელოვნებას მშვილდ-ისრისა და შუბის ტყორცნაში, ცხენოსნობაში, ორთაბრძოლებში (ბუმბერაზობაში) და სხვ. ლეონტი მროველის მიხედვითი მირიან მეფე „ესე იყო მეფე ძლიერი, გმირი და გოლიათი". ფარნაჯომი — „იყო იგი გმირი და გამოცდილი ბრძოლათა და წყობათა შინა"... არშაკი — „იყო სახითა მშვენიერი, ჰხოვანი და ძლიერი, გოლიათი, გმირი, გამოცდილი ბრძოლასა შინა". ფარსმან ქველი — „ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემაერთებული ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხორცო"***. ვახტანგ გორგასალი — „იყო იგი უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა, და უმშვენიერეს

* გეორგიკა — I, 1961 წ., გვ. 170-171

** ივ. შაიშმელაშვილი, ძველი საქართველოს ფოლადის გული, 1969, წ., გვ. 11

*** ქართლის ცხოვრება, 1957 წ., გვ. 51.

სახითა და ძლიერი ძალითა, რომელი ჭურველი ქუეითი ირემსა მიეწიოს, უპყრის რქა და დაიჭიროს; ცხენი ჭურვილი აღიღის მხართა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა"*. და სხვ. ასე და ამგვარად ფიზიკურად განვითარებული ადამიანის იდეალად ადრემონათმფლობელური პერიოდის საქართველოს წარჩინებულთათვის იყო ფიზიკური ძალა, ახოვნება, ვაჟკაცობა, სისწრაფე. აღნიშნულ თვისებათა გამოსამუშავებლად საჭირო იყო სამხედრო-ფიზიკური აღზრდის განსაზღვრული სისტემა.

ადრემონათმფლობელურ სამხედრო-ფიზიკური აღზრდის ქართულ სისტემაზე აღზრდილნი ამ სისტემით შეძენილ საბრძოლო თვისებებს წარმატებით იყენებდნენ არა მარტო საკუთარი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, არამედ მთელ რიგ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მეზობელ ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმეში. ქართველებს არაერთხელ კეთილშობილური ხელი გაუწვდიათ ალბანელებისა და სომხებისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბიზანტიის იმპერიის განმტკიცების საქმეში; არაერთი საუკეთესო ქართველი სარდალი მონაწილეობდა ბიზანტიის არმიის გაწვრთნასა და მათ საბრძოლო ოპერაციებში. ასეთები იყვნენ: იბერიელი ბაკური — „კაცი ყოვლად ღირსეული, როგორც რწმენით და სათნოებით, ისე თავისი სულიერი და ხორციელი სილამაზით",** რუფინე და ლეონტი, ფარსმან კოლხის ძის ზავნას შვილები, იმ დროისათვის განთქმული სარდლები, რომლებმაც პროკოფი კესარიელის თქმით „ვაჟკაცობის ღირსი საქმეები გამოიჩინეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში"***.

„ფარსმანი, რომელმაც რამდენჯერმე გაიმარჯვა ბრძოლაში, შეიქნა სახელოვანი და სპარსელებს შიშის ზარი დასცა. მისი სახელი მათ აშინებდა, მისი საქმეები ანადგურებდა მათ."****

---

* ქართლის ცხოვრება, 1957 წ., გვ. 159.

** ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, I, 1940 წ., გვ. 13.

*** გეორგიკა, ტომი 2, 1934 წ., გვ. 16.

**** იქვე

„პერანი — გასაოცარი სიმამაცის მქონე სარდალი და ბიზანტიის ჯარის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, დაიღუპა ნადირობის დროს“ *.

„ფაზა იბერიელი, პერანის ძმისწული, რომელიც იუსტინიანეს დროს სომხებს სარდლობდა იტალიაში“**.

„თეოდორე ჭანი, რაზმის უფროსთა ერთი წარჩინებულთაგანი, რომელსაც რომაელ სამხედრო მეთაურებს შორის პირველი ადგილი ეკავა“***.

სუბარმახი — მეშუბეთა წინამძღოლი, სამეფო გვარის, ნამდვილი კოლხი, საუკეთესო შუბოსანი“****.

ვკითხულობთ რა ბიზანტიის არმიაში მყოფ ზემოთ ჩამოთვლილ ქართველი ერის წარმომადგენელთა სამხედრო-ფიზიკური თვისებების დახასიათებას, მათ საბრძოლო წარმატებებს, გაოცება გვიპყრობს არა იმიტომ, რომ დაუჯერებელ დახასიათებებთან გვაქვს საქმე, არამედ იმის გამო, რომ აღნიშნული თვით ბიზანტიელ მწერლებს ეკუთვნით, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში სხვა ერის წარმომადგენელთა ღირსებებს ტენდენციურად აქვეითებდნენ და ყოველგვარ კარგს, ყოველ ბრძოლაში გამარჯვებას ბიზანტიელ სარდლებს აკუთვნებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი სარდლების დახასიათებისას ისინი იძულებული ყოფილან ფაქტის განსაკუთრებული სიცხადის გამო, მათი საუკეთესო საბრძოლო ფიზიკური თვისებანი ეღიარებინათ. თავისთავად ცხადია, ბიზანტიელი მწერლები ქართველი სარდლების ბიზანტიის არმიაში წარმატების და მათი დამსახურების მინიმუმს აღნიშნავდნენ, რომ საკუთარი ბიზანტიელი სარდლების ღირსებისათვის ჩრდილი არ მიეყენებინათ.

უდავოა, ქართველი სარდლები სათანადო სამხედრო-ფიზიკური აღზრდის გარკვეული სისტემით ემზადებოდნენ სამხედრო მოღვაწეობისათვის, მის შეშვეობით იძენდნენ სამხედრო ფიზიკურ გაწვრთნილობას, იმუშავებდნენ გამბედაობას, ვაჟკაცობას, მოქნილობას, სისწრაფეს, გამძლეობას, ფი-

---

* გეორგიკა, ტომი 3, 1934 წ., გვ. 18

** გეორგიკა, ტომი 3, 1934 წ., გვ. 34

*** გეორგიკა, ტომი 3, 1934 წ., გვ. 82

**** „ „ 4, 1952 წ., გვ. 323.

ზიკურ ძალასა და ეს სამხედრო-ფიზიკური აღზრდის სისტემა თავისი ხასიათით განსხვავებული უხდა ყოფილიყო რომაულ-ბიზანტიური სამხედრო-ფიზიკური აღზრდის სისტემისაგან. ძ. ლევჩენკო, ეხება რა საერთოდ ამიერკავკასიის მნიშვნელობას ბიზანტიის არმიის დაკომპლექტების საქმეში, წერს: „მართლაც, ამ მომენტში (მე-6 საუკუნეში) სომხებმა, ქართველებმა და ლაზებმა უფრო მეტი ჯარისკაცი მისცეს მას (ბიზანტიის კეისარ ირაკლის), ვიდრე გამოფიტულმა მცირე აზიამ. შეიძლება ითქვას, რომ ირაკლის ჯარისა და მეთაურთა კადრის მთავარ დასაყრდენ ძალას ამიერკავკასიის კონტიგენტები შეადგენდნენ“*.

როგორც ისტორიული, ლიტერატურული, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების მონაცემები ადასტურებენ, ადრემონათმფლობელურ საქართველოში ფიზიკურ ვარჯიშობათა შემდეგი სახეები არსებობდა: შუბისა და მშვილდ-ისრის ტყორცნა, ცხენოსნობა, ჭიდაობა, მუშტი-კრივი, მთამსვლელობა, სამხედრო გამოყენებითი ცეკვები, რბენა, სამწყობრო მომზადება, სიმძიმეების აწევა და გადაგდება, ფარიკაობა, ბურთაობა და ხარებზე და ხარებით ვარჯიშ-თამაშობანი, შურდულით ქვის ტყორცნა. სამხედრო-ფიზიკური აღზრდა სპეციალური აღმზრდელის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. არსებობდა სპეციალური სავარჯიშო საშეჯიბრო ნაგებობანი. ეწყობოდა შეჯიბრებანი და მონაწილეობას ღებულობდნენ სხვა ქვეყნებში გამართულ შეჯიბრებებში და გარკვეულ წარმატებას აღწევდნენ. არსებობდა შეჯიბრების ჩატარების გარკვეული ორგანიზაციული ფორმა და წესები.

---

* ციტირებულია მ. კახაძის შრომის „ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში“ მიხედვით, 1954 წ. გვ. 33.

სამხედრო-ფიზიკური მომზადების საქმის ხელმძღვანელობა და მწვრთნელ-მასწავლებლები

ადრემონათმფლობელური საქართველო (იბერია და კოლხეთი) წარმოადგენდა რა კლასობრივ საზოგადოებას, სამხედრო-ფიზიკური მომზადებაც გარკვეული კლასობრივი მიმართულებით ხასიათდებოდა: გაბატონებული კლასი სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა, რადგან მას ძალიან ხშირად პირადი ფიზიკური ჩარევაც სჭირდებოდა საკუთარი ბატონობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად. ამიტომაც იყო, რომ მომავალი მეფის, დიდებულისა და წარჩინებულის სამხედრო-ფიზიკურ აღზრდაზე ადრეული ასაკობრივი პერიოდიდან იწყებდნენ ზრუნვას.

ძველთაგანვე მიღებული წესის თანახმად, რომელიც შემდეგში ტრადიციად გადაიქცა, მეფის, დიდებულისა და წარჩინებულის შვილებს სპეციალურ აღმზრდელებს უნიშნავდნენ, რომელთაც მამამძუძენი ეწოდებოდათ. ჯუანშერი აღწერს რა ვახტანგ გორგასალის ცხოვრება-მოღვაწეობას და, კერძოდ, ვახტანგის დაბადების გამო გამართულ პურობასა და განცხრომას, წერს: „მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ, დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ, რამე თუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახელსა შინა აღიზარდნიან“*.

მამამძუძეობა მრავლად არის დადასტურებული ისტორიულ-ლიტერატურულ პირველწყაროებში. ფარსმან მეფის შვილის ადამის მამამძუძეა სპასპეტი ფარნავაზი, ივერიის მეფის მირვანის მამამძუძეა ვინმე მირმანოზი — „კაცი სწავლული, მხნე და ძლიერი, დიდებული და მდიდარი“, ვახტანგ გორგასალის მამამძუძეა სპასპეტი საურმაგი. „მოკვდა საურმაგ სპასპეტი, მამამძუძე ვახტანგისა“ — გვამცნობს მემატიანე ჯუანშერი. აღნიშნულით დასტურდება სპეციალური აღმზრდელების „მამამძუძეთა“ არსებობა, რომელნიც სამხედრო-ფიზიკური მომზადების საქმეს ხელმძღვანელობდნენ.

---

* ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედ. 1955 წ., გვ. 143.

მათ მიერ სამხედრო-ფიზიკური მომზადების საქმის ხელმძღვანელობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მამამძუძენი უმეტეს შემთხვევაში სპასალარებია (ლაშქრის, ჯარის ხელმძღვანელები, მთავარსარდლები). ისინი თვითონვე სამხედრო-ფიზიკური მომზადების ცალკეულ ვარჯიშთა სახეებში დახელოვნებულნი არიან და გამოირჩეოდნენ თავიანთი ფიზიკური ძალით, ვაჟკაცობითა და სამხედრო-ფიზიკური ხასიათის ვარჯიშობებში დახელოვნებით. მამამძუძე ყველაზე განთქმული და გამოცდილი მეომარი, გმირი და მდიდარი უნდა ყოფილიყო. ამიტომაცაა, რომ მეფე მირიანის მამამძუძე მირმანოზი იყო: „კაცი სწავლული, მხნე და ძლიერი, დიდებული და მდიდარი". ასევე ფარსმან მეფის აღმზრდელი იყო: „ესოდენ ძლიერი, რომელ გმირობითა ვერავინ ესწორებდა მას სრულიად მის ჟამისა მებრძოლთა შორის". თანააღზრდილს „ძუძუმტე" ეწოდებოდა. ვახტანგ გორგასალი იბრძვის რა ოსების წინააღმდეგ, „თანა ჰყვებოდეს მას ორნი მხედარნი, არტავან ძუძუმტე, ძე საურმაგ სპასპეტისა და ბივრიტიონი სეფე წული". ფარსმან მეფის ძუძუმტეა შემდეგში მისივე სპასპეტი ფარნაოზი, რომელიცა „იყო სპასპეტი ფარსმან ქველისა, — წერს ლეონტი მროველი, — აგრეთვე ქუელი და გოლიათი, სახელით ფარნაოზ, ძუძუმტე ფარსმანისი, ერთგული, სარწმუნო და მისანდომელი", ამიტომაცაა, რომ ორთავენი ერთნაირ სამხედრო-ფიზიკური მომზადების სისტემაზე აღზრდილნი განსაკუთრებულ დახელოვნებას ავლენენ ორთაბრძოლებში („ბუმბერაზობაში"). ფარსმან მეფე აწარმოებს რა ომს სომხეთის მეფის მითრიდატეს წინააღმდეგ, ომის წინ იმართება „ბუმბერაზობა". „იწყეს ბრძოლად ბუმბერაზთა დღეთა მრავალთა და რომელი გამოჩნდის ბუმბერაზი სპარსთა შორის, რომელსა ვერ ებრძოლიან ბუმბერაზნი ქართლისანი, მას ზედა განვიდის თუით მეფე ფარსმან ანუ სპასპეტი მისი ფარნავაზი, აჯობიან და სძლიან მის ბრძოლასა შინა, მოკლა ფარსმან მეფემან ჩუიდმეტი ბუმბერაზი სპარსი, ხოლო სპასპეტმან მისმან მოკლა ოცდასამი". ისინი ერთად და ერთნაირ სამხედრო-ფიზიკურ მომზადების წესზე აღზრდილნი, თანაბარ დახელოვნებას იჩენენ ბუმბერაზობაში, რომელიც ბრძოლის წინ

პოწინაალმდეგეთა ძალების თავისებურ გამოცდას წარმოადგენდა.

მამამძუძეობის წარმოშობა აკად. ივ. ჯავახიშვილმა ქართველთა ქორწინების ძველ წესებს დაუკავშირა, როდესაც წესად იყო ქალის თხოვის შემდეგ ქალის რამდენიმე ხნით მისივე გვარში დატოვება: „ეს წესი თავდაპირველად ცხოვრების იმ უცილობელი მოვლენის ანარეკლს წარმოადგენდა, როდესაც ბავშვი თავისი ღვიძლი მამის სახლსა და საგვარეულოში არამც თუ არ იზრდებოდა, არამედ არც იბადებოდა. აქ მას ღვიძლი მამა გვერდით არ ჰყავდა, არამედ დედა, რომელიც მაშინ აგრეთვე ჯერ კიდევ თავისი ქმრის ოჯახში არ იმყოფებოდა, არამედ თავისავე საგვარეულოში რჩებოდა.

რაკი მაშინ ბავშვს ძუძუს მისივე დედა აწოვებდა, ამიტომ ეს რასაკვირველია „დედა-მძუძე“ არც ესაჭიროებოდა და ამგვარი ტერმინი არც შეიძლება ყოფილიყო. სამაგიეროდ, ასეთ პირობებში, როდესაც ბავშვი დედის საგვარეულოში იზრდებოდა, მისი აღმზრდელი და მფარველი მამაკაცი დედის მახლობელი მამრობითი სქესის ნათესავები, დედის ძმა და სხვები იყვნენ. ისინი ამ ბავშვს აღზრდა-მზრუნველობის მხრივ მამობას უწევდნენ და სწორედ ამიტომ ღვიძლი მშობელი მამისაგან გასარჩევად მას „მამა-მძუძე“ უწოდა.* მამამძუძეს აღმზრდელის მნიშვნელობით განმარტავს ს. ს. ორბელიანი — „მამამძუძე კაცი, გამზრდელი“.

ადრემონათმფლობელურ საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და მომზადების ასაკის განსაზღვრა ძნელდება, რადგან ამ პერიოდის ლიტერატურულ და ისტორიულ პირველწყაროებში მის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ უფრო მოგვიანო პერიოდის პირველწყაროებში დაცულ ცნობებს და თუ არ ჩავთვლით მოძრავ თამაშობებს, რომლებიც ბუნებრივად ყველა ერისა და განვითარების ყველა საფეხურზე მდგომ საზოგადოების ბავშვთათვის წარმოადგენს ფიზიკური აღზრდის დასაწყის ბუნებრივ ფორმას, ფიზიკურ აღზრდას ხუთი-ექვსი წლის ასაკიდან იწყებდნენ, იმ ხნიდან, როდესაც ბავშვს შეეძლო უკვე შეგნებულად ემოქმედნა და გაეგო, რატომ ასრულებს

* ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1928 წ.

იგი ამა თუ იმ ვარჯიშს, ან რისთვის მონაწილეობს თამაშში თუ რაიმე გართობაში. „ევეფხისტყაოსანში“ ტარიელი ხუთი წლის ასაკში ფიზიკურად გაწვრთნილ პიროვნებად გვეცლინება.

ხუთისა წლისა შეეიქენ მსგავსი ვარდისა შლილისა,
ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა, მართ ვითა სირისა.

ასევე „რუსუდანიანში“ გადმოცემულია რა ჯიმშერ ხელწიფის აღზრდის შესახებ, ვკითხულობთ: „ხუთი წლისა რომ გახდა, ძალზე ცხენს არბევდა და ყაბახს ესროდა, არა ზნეობა და მოწიფულობა არა აკლდა რა.* აღნიშნული ტრადიცია, — ბავშვთა ადრეულ პერიოდში სპეციალური ფიზიკური აღზრდა — მოგვიანო პერიოდშიაც ცნობილი ყოფილა საქართველოში. მეფე არჩილი ეხება რა თეიმურაზის შვილების აღზრდას, წერს:

მოეზარდნეს ორნივ შეილნი, ხუთის წლის და მეოთხისა...
ძლივსა ღირსვყავ გამეზარდნეს ტანათ ნაკეთნი საპოთხისა,
ცხენს სხდებოდეს ყინჩიკურით, ცრემლი ღაწვს არ დაეცთხისა.

იესე ბარათაშვილი „ცხოვრება-ანდერძში“ მოგვითხრობს რა საკუთარი აღზრდის შესახებ, აღნიშნავს, რომ ხუთი წლის შესრულებისას „წვერის ციხეში გამგზავნეს და მუნ ვიზრდებოდი გლეხებთან, და ერთი აზნაურიშვილი იდგა რევისშვილი, მიმიყვანდნენ, მათამაშებდნენ“. თამაშობაში ნაგულისხმევი უნდა იყოს სპეციალური ფიზიკური ვარჯიშობებით ფიზიკური წვრთნა. როგორც ისტორიული პირველწყაროები ადასტურებს, ერეკლე მეორე ხუთი წლის ასაკში ფარიკაობდა, ნადირობდა, ბურთს თამაშობდა, თევზს იჭერდა. მონაწილეობდა სახალხო დღესასწაულებში.

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე ეხება ჩერქეზეთში გავრცელებულ ფიზიკური აღზრდის წესს და წერს: „აზნაურთა შვილებს, როგორც კი მიაღწევენ 2-3 წლის ასაკს, აღსაზრდელად გადასცემენ მსახურებს, რომლებიც აღსაზრდელს ასწავლის ცხენოსნობას, მცირე ზომის მშვილდ-ისრიდან მიზანში სროლას და სხვ.“ იქვე მიუთითებს აღზრდის ასეთივე წე-

* იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, 1950 წ., გვ. 3.

სის არსებობის შესახებ აფხაზეთსა და საქართველოში. მურავიოვის ცნობით ჩერქეზი თავადიშვილი 3 წლის ასაკში ქამარში გარჭობილ დამბაჩით დადიოდა, რომელსაც თვითონ ტენიდა. ხუთი წლის ასაკიდან ფიზიკურ ვარჯიშობათა დაწყების წესი სპარსეთშიაც არსებულა, რომელსაც ჰეროდოტე, სტრაბონი და ქსენოფონტე ადასტურებენ.

ასაკობრივ ზრდასთან ერთად იზრდებოდა და რთულდებოდა სამხედრო ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეები. 15 წლის ასაკში ტარიელი დახელოვნებული მოისარი და მოასპარეზეა.

თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა,
დღისით ვიყვი მას წინაშე, გამიშვებდის არცა ძილსა.
ძალად ლომსა, თვალად მზესა, ტანად ვჰგვანდი ედემს ზრდილსა,
სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა.

„ამირანდარეჯანიანში“ 15 წლის ჭაბუკი მოწიფულად იხსენიება. ჯიმშერი „რა მოიწიფა და თხუთმეტისა წლისა შეიქნა“, საკუთარი თავის გამოცდის მიზნით იწყებს ბრძოლებში მონაწილეობას. ვახტანგ გორგასალი 16 წლის ასაკში ოსეთის წინააღმდეგ გამართულ ბუმბერაზთან ორთა ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებას აღწევს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებიც ადასტურებს, რომ 13-14 წლის ყმაწვილები უკვე საკმაოდ გაწვრთნილი მეომრები უნდა ყოფილიყვნენ, „ამ წინაპრებს მკაფიოდ გამოხატული მეომრული, სამამაცო ზნე და სულისკვეთება ჰქონიათ. 13-14 წლის ბიჭებიც კი მეტწილად აღჭურვილნი არიან დამარხული“*. სამთავროს ბავშვთა სამარხებში ნაპოვნია მოზრდილთათვის გამოსაყენებელი ყველა სახის საომარი საჭურველი. სწავლების ძირითადი მეთოდები იყო ჩვენება და წვრთნა. წვრთნის ძირითად ფორმებს თამაშობანი და სპორტი წარმოადგენდა. სამხედრო-ფიზიკურ აღზრდაში გამოყენებული იყო სწავლებისა და წვრთნის დემონსტრირებისა და ვარჯიშის მეთოდი. უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებულიყო სწავლებისა და წვრთნის პრაქტიკული ჩვენების მეთოდი; პრაქტიკულად უჩვენებდა მისივე მწვრთნელი-მასწავლებელი „მამამძუძე“, ამიტომაც იყო, რომ

* გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი, 1952 წ., გვ. 124.

ყველაზე საუკეთესო ფიზიკურად ძლიერ, გაწვრთნილ და ვარჯიშობათა ცალკეულ სახეების შესრულებაში განთქმულ და ცნობილ პირებს ირჩევდნენ მამამძუძეებად. გარდა მწვრთნელის მიერ ვარჯიშთა სახეობის პრაქტიკული ჩვენებისა, აღსაზრდელი პრაქტიკულ მაგალითს ღებულობდა სხვადასხვა ხასიათის ვარჯიშობებში ჩატარებულ შეჯიბრებებზე დასწრებით და პირადი მონაწილეობით.

მოსე ხონელი, რუსთაველი, ქართული კარაბადინის ავტორი — ფანასკერტელი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვები ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეულ სახეობებში დახელოვნებას სწავლა-წვრთნით მიღებულ საქმედ მიიჩნევენ. ვარჯიშსა და მასში წვრთნას ძველად „მღერას“ უწოდებდნენ, „ამირანდარეჯანიანით“ ამბრი არაბი „მინდორსა შიგან იმღერდა ოროლითა“. ე. ი. შუბით ვარჯიშობდა. როდესაც ამბრი არაბი 15 წლის შესრულდა, შეჯდა ცხენზე „და ითხოვნა კინენი, გავიდა და მოედანსა შიგან იმღერდა“. ვარჯიშ-წვრთნა ხშირად მაყურებელთა თანდასწრებით მიმდინარეობს: „ერთსა დღესა იმღერდა ოროლითა ამბრი არაბი და ხედვიდეს ყოველნივე მისისა სიმშვენიერისათვის და მღერისა მისისათუის“. „ვითარ შეიქმნა ამარ წლისა შუიდისა, ასწავლიდა აბუტარ ოროლითა მღერასა და მშვილდოსნობასა და რაცა საჭაბუკო საქმე იყო“.

ფრიდონი სამთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში მუშაითობაში მის სწავლა-წვრთნის შესახებ ამბობს:

> ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან, მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნებდიან, მწვრთიდიან.

„რუსუდანიანიდან“ ჩანს, რომ „ხელმწიფეთა შვილთა ანადირებდნენ, აბურთაებდნენ და ასწავლიდნენ სახელმწიფოთა ზნეთა.“

ერეკლე მეორის შვილი ლევან ბატონიშვილი დავით რექტორის ხოტბის მიხედვით, იყო რა „გრძელ ლახვართა თხემთა ზედა ბრუნებით“, ცხენოსნობით, ბურთაობით, მუშაითობით და სხვა ფიზიკურ ვარჯიშობებით განთქმული, აგრეთვე, ის ასრულებდა უშრომლად სიმხნის სეფურითა, ე. ი. ის აღნიშნულ ვარჯიშებს ადვილად, მცირე ენერგიის დახარჯვით

ასრულებდა, რადგან მათში სპეციალური წვრთნა-ვარჯიში ჰქონდა ჩატარებული. „სეფური ესე იგი არს მრავალჯერ ცნით საქმე გაიადვილოს რაი ენებოს საქნელად, გინა სწავლად (ითიკაში). ვარჯიში თურქთა ენაა, ქართულად სეფურნი ჰქვიან," — განმარტავს ს. ს. ორბელიანი.

მე-16 საუკუნის ქართული კარაბადინის ავტორისათვის ცნობილია, რომ რაც უნდა რთული ვარჯიშები იყოს, თუ მასში ადამიანი ივარჯიშებს, შეიძლება მისი ათვისება. „რაისაც კაცი დაეჩუევის, ყველა ადვილად იქნების," — შენიშნავს მუშაითობის ერთ-ერთი რთული სახის აღწერისას ქართული კარაბადინის ავტორი.

ქალთა სამხედრო-ფიზიკური მოამზადება

მთელი რიგი ისტორიული და არქეოლოგიური პირველწყაროები ადასტურებს ადრეულ პერიოდში სხვადასხვა ხალხებსა და ტომებში ქალთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების არსებობას. ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეულ სახეებში, სახელდობრ, ბურთაობასა, ცურვასა და მუშაითობაში. ეგვიპტელი ქალები ბურთაობაში საკმაოდ დახელოვნებული ყოფილან, და როგორც მობურთავე ქალების ბარელიეფურ გამოხატულებაშია მოცემული, ისინი ახერხებდნენ ერთდროულად სამი პატარა ბურთით თამაშს თანამედროვე ეკვილიბრისტების მსგავსად. ასევე მუშაითი ქალის გამოსახულება მოცემულია ფრანცევის და ლამერის წიგნებში მოთავსებულ ძველი ეგვიპტური ხელოვნების ბარელიეფთა გამოხატულებაში. განსაკუთრებულ გაოცებას იწვევს საბერძნეთის ისტორიის კრეტა-მიკენის პერიოდის (2000-1200 წ. ჩვ. ერამდე) ხარებზე ვარჯიშ-თამაშობანი, რომელთაც ქალებიც ასრულებდნენ. ქალთა სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ სპარტაში ჯერ კიდევ ჩვ. ერამდე მე-6-5 საუკუნეში. პლუტარქე, იძლევა რა კანონმდებელ ლიკურგეს დახასიათებას, აღნიშნავს: „ქალიშვილების სხეულს იგი ამაგრებდა სირბილით, ჭიდაობით, შუბისა და ბადროს ტყორცნით," „მან ისინი მიაჩვია, ზეიმზე

ჭაბუკებივით გაშიშვლებული გამოცხადებულიყვნენ და ზოგიერთ წმინდა დღესასწაულზეც დედიშობილა ეცეკვათ და ემღერათ ჯეელი ბიჭების თანდასწრებით, მათ თვალწინ... ...ქალიშვილების სიტიტვლეში სამარცხვინოს ვერაფერს ხედავდნენ. თავაწყვეტილობასა და შეუფერებელ საქციელს ადგილი აქ არ ჰქონდა. მორცხვობა და მოკრძალება სპარტელთა ქალიშვილებს ყოველთვის თან ახლდათ. სიტიტვლე ქალიშვილებს აჩვევდა უბრალოებას, უღვიძებდა მათ საკუთარი სხეულის გაკაუებისა და გამოქნის სურვილს. სწორედ ეს სიტიტვლე უნერგავდა ქალთა სქესს ვაჟკაცურ სულს და ამტკიცებდა, რომ ქალებს მამაკაცებზე ნაკლებ როდი შეეძლოთ სახელის მოხვეჭა და სიქველის გამოჩენა".

პლატონი (427-347 წ. ჩვ. ერამდე) ქალთა სამხედრო ფიზიკურ აღზრდას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ მიიჩნევდა, რის გამოც წერდა: „ეს საჭიროა იმისათვის და იმ შემთხვევისათვის, როდესაც მამაკაცნი მიდიან სახელმწიფოს გარეთ, შორეულ ლაშქრობებში და შიგნით კი არავინ რჩება, ამ შემთხვევაში ბიჭებმა და ქალებმა უნდა შესძლონ სახელმწიფოს სადარაჯოზე დგომა და თუ საჭირო იქნება, ძლიერი მტრის შემოსევისას თავდადებით სამშობლოს დაცვა. ასეთ შემთხვევაში დიდ სამარცხვინო აღზრდად ითვლება ქალების ისეთი აღზრდა, როდესაც მცირე საშიშარ მდგომარეობის დროს არ სურთ დაიხოცონ ან აიტანონ ყოველგვარი საშიშროება. შვილებისათვის. „მაშასადამე პლატონის აზრით ქალთა ფიზიკური მომზადება საჭიროა, როგორც სამშობლოს დაცვის, ასევე საკუთარი ოჯახისა და შვილების უშიშროების უზრუნველსაყოფად. ამასთან ერთად პლუტარქეს აზრით ქალთა ფიზიკური აღზრდა და მომზადება საჭიროა ჯანსაღი მომავალი თაობის შესაქმნელად, „რათა მათ ჯანსაღ სხეულში ჩასახული ნაყოფი იმთავითვე ძლიერი ყოფილიყო".

როგორც ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების მონაცემები ადასტურებს, ქართველი ქალები ადრეულ პერიოდიდანვე სხვადასხვა ხასიათის სამხედრო-ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეებით მაღალ სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას აღწევდნენ და სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ იმავე სისტე-

მით აღზრდილ ქართველ ვაჟკაცებს გვერდში საიმედოდ უდგნენ. ამასთან ერთად ზრდიდნენ ვაჟკაცებს და დედის ძუძუსთან ერთად აწოვებდნენ დედა-სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას.

ძველთაგანვე შეიქმნა თქმულება ამორძალთა შესახებ, რომელთა ლოკალიზაციას ავტორთა უმეტესობა მდინარე თერმოდონტის მიდამოებში ახდენს, სადაც ძველთაგანვე ქართველი ტომები მოსახლეობდნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 საუკუნის დასაწყისში აქვე ჩამოყალიბდა პონტოს ძლიერი ქართული სახელმწიფო. თქმულების ძირითადი შინაარსი შემდეგია: ამორძალებს ჰქონდათ საკუთარი სამეფო, უცხოელ მამაკაცებთან შეუღლების შედეგად ნაშობ ვაჟებს მამაკაცებს უბრუნებდნენ, ქალებს თვით იტოვებდნენ და მარჯვენა ძუძუს უდაღავდნენ, რათა არ წამოზრდილიყო და მშვილდ-ისრის ხმარებისათვის ხელი არ შეეშალა. მათ ბავშვობიდან ავარჯიშებდნენ ცხენოსნობაში, მშვილდ-ისრის სროლასა და შუბის ტყორცნაში. ამ სახეებში განსაკუთრებულ დახელოვნებას აღწევდნენ და მეზობელ ტომებს შიშის ზარსა სცემდნენ. ამორძალების შესახებ პირველ ცნობას ჰეროდოტე გვაწვდის, რომელსაც სხვადასხვა ვარიანტით გადმოგვცემენ შემდეგი დროის ბერძენი, რომაელი და ბიზანტიელი ავტორები: პლუტარქე, ამ. როდოსელი, დიოდორე სიცილიელი, კლავდიუს გალენი, სტეფანე ბიზანტიელი, პუბლიუს ვირგილიუს მირონი, პომპეუსი, ვალერი მაქსიმე, პომპონი მელა, არიანე, სტრაბონი და სხვები.

ივ. შოპენს საეჭვოდ არ მიაჩნია ამორძალების არსებობა, მისი აღიარებით „ამდენი ისტორიული წყაროები არ შეიძლება ყველა ტყუოდეს," ხოლო ქართველი მეცნიერი ალ. სვანიძე 1913 წლის 5 მარტს ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით ჩატარებულ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების" კრებაზე ამორძალებზე და არგონავტებზე არსებული თქმულების ისტორიული მნიშვნელობის გამო წაკითხულ მოხსენებაში დაასკვნიდა: „1. ამორძალები ისტორიულ სინამდვილეს წარმოადგენს, სახელდობრ, ისინი ეკუთვნოდნენ ძლიერ ერს, რომელშიაც დედაკაცები მამაკაცებთან ერთად გამოდიოდნენ ხოლმე საომრად ბრძო-

ლის ველზე. 2. ეს ერი ცხოვრობდა თერმოდონტის ხეობაში... და ჩამომავლობით ინდოევროპელთა ოჯახს არ ეკუთვნოდა. 3. გარეგნობით ეს ერი იყო ლამაზი, იცოდა ცხენოსნობა და ომში რკინის იარაღით შეჭურვილი გამოდიოდა. 4. საფიქრებელია, რომ ეს ერი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთ ქართველთა მონათესავე ტომი.*

ჰერიდოტეს, სტრაბონის და პლუტარქეს ცნობით ამორძალები მდინარე თერმოდონტის ხეობაში, ქალაქ თემისკირაში ცხოვრობდნენ.

სტრაბონი იბერიის შესახებ აღნიშნავდა: „მთიანი ნაწილი უკავია მეომარ უმრავლესობას, ცხოვრების წესით მსგავს სკვითებისა და სარმატებისა, რომელთაც ისინი კიდევაც ემეზობლებიან და კიდევაც ენათესავებიან“**, რამდენადაც იბერიის მთიანი ნაწილის მცხოვრებლებს ისეთივე ცხოვრების წესი გააჩნდათ, როგორც სარმატებს, უნდა ვიფიქროთ, რომ იბერიის მთიან რაიონებში მცხოვრებლები ქართველი ქალები ისეთივე სამხედრო ფიზიკური მომზადების სახეებში ვარჯიშობდნენ და დაველოვნებას იჩენდნენ, როგორც სარმატი ქალები, კერძოდ, ცხენოსნობაში, შუბისა და ისრის ტყორცნაში. მეომარ ქალთა არსებობაზე მიუთითებს ოსი ხალხის უძველესი ეპოსი „ნართები“, რომლის ძირითადი ნაწილი, ორი ათასი წლისაზე მეტი ხნისაა. „ნართებით“ ქალთა ლაშქარი დარღავასარის ქალის ხელმძღვანელობით დილიდან საღამომდე ვარჯიშობდნენ.

ჩეხდნენ, კაფაჟდნენ, ხმლით ვარჯიშობდნენ,
ნიშანში სროლით ისარს ისროდნენ.
არ აცდენდნენ, მარჯვედ ისროდნენ...
ისე გაიჭერთნენ, კაცებსაც სძლევდნენ,
ხმალით ჩეხვაში, ისრის სროლაში.
უკვე შეეძლოთ, რომ გასულიყვნენ
მტერთან საბრძოლად ცხარე ბრძოლაში.

ქართველი ქალების საომარ მოქმედებაში მონაწილეობაზე მიუთითებს აპიანე. მისი ცნობით ალბანელი და იბერიე-

---

* ძველი საქართველო, ტ. მე-4, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1914-1915 წ., მე-5 განყ. გვ. 7, წერილი ამორძალების შესახებ ქართულ ლიტერატურაში.

** თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957 წ. გვ. 128.

ლი ქალები მამაკაცების თანაბრად აწარმოებდნენ ბრძოლას შემოსეულ მტრების წინააღმდეგ. აპიანე აღწერს რა პომპეუსის მიერ ალბანელებისა და იბერიელების გაერთიანებული ლაშქრის დამარცხებას, რომლის დროსაც პომპეუსს ხელთ ჩაუგდია ალბანელი და იბერიელი ტყვეები და მძევლები, წერს: „ამ მძევლებსა და ტყვეებს შორის ბევრი ქალი იყო, რომელთაც არა ნაკლები ჭრილობები ჰქონდათ, ვიდრე მამაკაცებს“*.

იბერიელი ქალები საბრძოლო საქმეში დახელოვნებასთან ერთად შრომით საქმიანობაშიც წარმატებას აღწევდნენ. მათი ნაკეთობანი, მიხეილ აპოსტოლი ბიზანტიელის ცნობით, საჯაროდ გამოჰქონდათ, რომელთა შრომას სათანადო შეფასებას აძლევდნენ.

ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობებს კავკასიის ტერიტორიაზე და კერძოდ საქართველოში მეომარ ქალთა არსებობის შესახებ ადასტურებს მთელი რიგი არქეოლოგიური მასალები.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, საქართველოში აღმოჩენილი იქნა ქალთა სამაროვნები; ნაპოვნი ნივთებით დადასტურდა, რომ ეს მხედარ-მეომარ ქალთა სამაროვნებია. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს მთიანი რაიონების ტერიტორიაზე გერმანელი არქეოლოგი ბაიერნი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აწარმოებდა რა არქეოლოგიურ გათხრებს, იტყობინებოდა, რომ მან 1878 წელს, ხევსურეთში გათხრილ ქალის სამარხში სამკაულებთან ერთად იპოვა ისრის წვერები, შურდულით სასროლი ქვა და ლითონის დანა; მეორე ქალის სამარხში ასევე ნაპოვნი იქნა რკინის ისრის წვერი და დანა. ხევსურეთის სოფ. ართხმოში სამკაულებთან ერთად ნაპოვნია სპილენძის ჯაჭვის პერანგის ნაწილი. ასეთი ნივთებით განსაკუთრებულად მდიდარი ყოფილა სტეფანწმინდა (ყაზბეგი), რომლის შესახებაც ბაიერნი წერდა: „ყველაფერი ის, რაც მე აქ შევკრიბე, ეკუთვნოდა ქალებს, სახელდობრ, ცხენოსან მეომრებს. ცხენოსან ქალთა რამდენიმე სამარხი აღმოჩენილი იქნა ეხლან-

* გ. გოზალიშვილი, ძველი ისტორიის ქრესტომათია, 1951 წ., გვ. 269.

დელი ლენინგორის რაიონის სოფ. საძეგურთან. ნაპოვნ ნივთებს ჩვ. წელთაღრიცხვამდე მე-6-5 საუკუნით ათარიღებენ. ასეთივე სამარხი აღმოჩენილი იქნა მდ. ალგეთის ხეობაში, არმაზციხეში, ზემო ავჭალაში და სხვა. ზემო ავჭალის სამაროვანი გ. ნიორაძის აზრით ეკუთვნის ბრინჯაოს მახვილით შეიარაღებულ მხედარ (ცხენოსან) მეომარ ქალს. პროფ. გრეკოვი ეხება რა ნაზაროვის მიერ ჩრდილო კავკასიის გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებს, წერს: „ჩვენს წინაშეა შეიარაღებული ქალი, ქალი მსროლელი“.

ანტიკური ხანის საქართველოში ქალის განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს ქართულ ენაში ძველთაგანვე დანერგილი და დღემდე არსებული მთელი რიგი სიტყვებისა.

ანტიკური ხანის საქართველოში ქალი იყო ოჯახის ბურჯი და ხელმძღვანელი. სიტყვა „დედასახლისი“ — (დედა სახლისა) იმას გვეუბნება, რომ თავდაპირველად ქალი (დიაცი) ოჯახის, სახლის გამგებელი ყოფილა.

ქართველი ქალი რომ კარგი მეოჯახე იყო და მამაკაცთან ერთად ჭირსა და ლხინს იზიარებდა, ამას ამტკიცებს სიტყვა „მეუღლეც.“ დედაკაცი მამაკაცის თანატოლად (მენახევრედ) იყო წარმოდგენილი, მართლაც, რად იტყოდა მამაკაცი ის ჩემი „მეუღლეაო“ თუ იგი, ქმარს უღელს ვერ გაუწევდა? უღელს კი ორივე გამწევი ძალა თანაბრად უნდა ეწეოდეს, რაც ნიშნავს უღლის გაზიარებას და თანაბრად გაწევას.*

ილია ჭავჭავაძემ ქართული ენის დაკვირვების საფუძველზე დიდებულად ჩამოაყალიბა ქართველი ქალების როლი და დანიშნულება ოჯახსა და საზოგადოებაში, შრომასა და ბრძოლაში.

აი რას წერდა დიდი ილია ქართველი ქალის როლის შესახებ საოჯახო ყოფასა, შრომასა და ბრძოლაში:

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო“, — უთქვამს რუსთაველს. „ლეკვი ლომისა სწორია, — ძუ იყოს თუნდაც ხვადიაო“, — ამბობს დღესაც გლეხკაცი, მართალია სწორია, ერთია, ამასა მოწმობს ჩვენი ქართული ენაც და ენა ხომ ერთობ იმისთანა რამ არის, რომ მარტო იმას ამოიძა-

* დ. ქორიძე, სახელოვანი ქართველი ქალები, 1965 წ., გვ. 10-11.

ხებს ხოლმე, რასაც კაცი ჩასძახებს. ქართველ დედასაც კაცად ჰხდის და ამიტომ „დედა კაცს“ ეძახის, როგორც მამას — „მამაკაცს.“ განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთის სქესისანი ხართ და ჩვენ — მეორისანი, თქვენ დედობით ხართ კაცნი და ჩვენ — მამობით. არსება კი ერთია, ორივე კაცნი ვართ, ორნივე ღვთის სახისა და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვგონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს.

აშკარაა, კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ ადამიანისა. დედაც კაციაო, გვეუბნება ჩვენი ენა, და მამაცაო...

ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს „დედა-ქალაქს,“ მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს — „დედაბურჯს, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელს მამაკაცსაც კი — „გუთნის-დედას.“ რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენიმედ გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გალონიერებული და თავმოსაწონებელია სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი ღონიშნულია დედობით.“

ქალის განსაკუთრებულ პატივისცემაზე მეტყველებს შემდეგი სიტყვები: ქალ-ვაჟი, ცოლ-ქმარი, დედ-მამა, და-ძმა, სადაც პირველ რიგში ქალი იხსენიება, თუმცა გვაქვს მცირე გამონაკლისი სიძე-დედოფალი, ნეფე-დედოფალი.

მაგრამ აქ უკვე ეხება ქალის თხოვებას, სადაც ინიციატორი მამაკაცია.

ჩვენში დიდი რაოდენობა გვარებისა ქალის სახელთანაა დაკავშირებული: ანაშვილი, თამარაშვილი, ელისაბედაშვილი, სალომეშვილი, თინიკაშვილი, მარუაშვილი, დედაბრიშვილი, პატარძალაშვილი.*

---

* დ. ჭორიძე, სახელოვანი ქართველი ქალები, გვ. 15

საშეჯიბრო-სავარჯიშო ნაგებობანი

ძველად საქართველოში ერთიანი ჩამოყალიბებული სამხედრო-ფიზიკური აღზრდის გარკვეული სისტემა და მაღალი სპორტული კულტურა არსებობდა, რომელიც სხვადასხვა ხასიათის სამხედრო-ფიზიკურ ვარჯიშობათა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ხალხურ სახეებს შეიცავდა.

სამხედრო-ფიზიკური აღზრდის გარკვეული სისტემისა და მაღალი სპორტული კულტურის არსებობა, მათში შემავალი ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეებში ვარჯიშ-შეჯიბრებათა ჩატარება და წვრთნა სპეციალურ სავარჯიშო-საშეჯიბრო ნაგებობათა არსებობას გულისხმობს და, როგორც ქართული და უცხო ქვეყნების ისტორიული და ლიტერატურული პირველწყაროები ადასტურებენ, ასეთი კიდევაც არსებულა ადრეული პერიოდიდანვე საქართველოში. აღნიშნულ წყაროებში სავარჯიშო ნაგებობათა შემდეგი სახელწოდებანია დაცული: „იპოდრომი“ და „ცხენთსარბიელი,“ „ასპარეზი“ და „მოედანი,“ „მერე“, „ფორი,“ „მინდორი“ და „სამღერელი,“ „სათამაშო“ და „სამორინე სახლი.“

„იპოდროგი“ და „ცხენთსარბიელი“

„იპოდრომი“ რომაულ დაწესებულებად მიაჩნია იოანე ლიდიელს. პროფ. ა. პ. დიაკონოვს საეჭვოდ არ მიაჩნია, „იპოდრომის“ საბერძნეთში უფრო ადრე არსებობა ვინემ რომში, რის დასამტკიცებლად მოჰყავს უფრო ძველი გადმოცემა „იპოდრომის“ საბერძნეთში არსებობის შესახებ პინდარედან (მე-6-5 საუკ. ჩვ. ერამდე), რომელიც ოლიმპიური იპოდრომის წარმოშობას უკავშირებს ქ. პისის მეფეს, ე. ი. საბერძნეთის ისტორიის პელაზგურ და მის შემდგომ პერიოდს. ყოველ შემთხვევისათვის ოცდამეხუთე ოლიმპიადაზე (1680 წ. ჩვ. ერამდე) იმართებოდა საბრძოლო ორთვალეებით (ეტლებით) რბენა. დიაკონოვი აღნიშნავს: „აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის თუკი ამ მიმართებით მათ შორის არსებობდა ურთიერთკავშირი, უნდა ვიფიქროთ, რომ იპოდრომი რომაელების მიერ გადაღებული უნდა ყოფილიყო საბერძნეთიდან და არა პირუკუ.

თუ აღნიშნული საკითხის გასარკვევად არქეოლოგიურ მასალებს გამოვიყენებთ, საცხენოსნო შეჯიბრება და მათ შორის საბრძოლო ორთვალებით რბენები უფრო ადრეულ პერიოდშიაც არსებულა, რაც გვაფიქრებინებს, რომ "იპოდრომი" ადრეულ პერიოდშიაც უნდა არსებულიყო, სახელდობრ, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომელთაგანაც შეთვისებული უნდა ჰქონდეს მოგვიანო პერიოდში ბერძნებს, შემდეგ რომაელებსა და ბიზანტიელებს. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფ. ბოღასკეოში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი სახელმწიფო არქივი, რომელიც ჩვ. ერამდე მე-15-13 საუკუნეებით თარიღდება და იმ პერიოდს მიეკუთვნება, როცა ამ ადგილებში, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ქართველი ხალხის წინაპრები ცხოვრობდნენ. ბოღასკეოსის ლურსმულ საბუთებში აღმოკითხულია შეჯიბრებაში მონაწილე გამარჯვებული ცხენებისა და საბრძოლო ორთვალების მძღოლთა სახელები.*

როგორც საბუთებიდან ჩანს, შეჯიბრებაში გამარჯვებულნი დიდი პატივითა და სახელით სარგებლობდნენ. მათი და მათი ცხენების სახელები სპეციალურ წიგნებში შეჰქონდათ, ისევე, როგორც შემდგომში ოლიმპიურ თამაშობებში გამარჯვებულთა გვარები საბერძნეთში.

აღსანიშნავია კიკია ხურიტელის (მე-7 საუკ. ჩვ. ერამდე) ცნობილი ტრაქტატი ცხენის შესახებ, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ცხენის მოშენებისა და გაწვრთნის წესები. ასურელებს აოცებდა ხეთურ-სუბარული ცხენოსნების ოსტატობა. ასურეთის მეფე სარგონის ცნობით ქართველი ხალხის მონათესავე ტომი მანაელები საგანგებოდ სთესდნენ ცხენის საკვებ ბალახსაც კი.**

საბრძოლო ორთვალებით რბენებში შეჯიბრება და საცხენოსნო სპორტის სახელმძღვანელოს არსებობა საკმაო არგუმენტს წარმოადგენს იმისათვის, რომ ამავე პერიოდიდან ვიკარაუდოთ საცხენოსნო სპორტისათვის სპეციალური სავარ-

---

* ე. ჰერცფელდი, კულტურული ურთიერთობანი ძველს აღმოსავლეთში, თბილისი 1931 წ., გვ. 29.

* ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946 წ., გვ. 21.

ჯიშო ადგილის არსებობა ქართველ წინაპართა საცხოვრებელ ტერიტორიაზე.

ზემოთ მოყვანილი საბუთები ნათელყოფენ, რომ ქართველთა წინაპრების დამსახურებაცაა ცხენის მოშინაურება, საბრძოლო მსუბუქი ორთვალა ეტლის შემოღება და შემდეგში მათში შეჯიბრების მოწყობა...

ტერმინი hipos (ცხენი) ურარტულ ტექსტებშიდაც გვხვდება, სახელდობრ, ფართობის საზომი ერთეულის აღმნიშვნელი სიტყვა hipesar-ში* (ჰიპესარში), რომლის ფართობი დაახლოებით 3500 თუ 4000 კვ. მეტრს შეიცავდა. ჩვენთვის სრულ ალბათობით ცნობილია სიგრძის საზომი ერთეულის სახელწოდებიდან სავარჯიშო-საშეჯიბრო სპეციალური მოწყობილი ადგილის სახელწოდების წარმოშობა. მაგალითად, საბერძნეთში სტადიიდან (192,27 სმ) სტადიოდრომი და შემდეგ სტადიონი, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან — ასპარეზი, რომელიც ადრეულ პერიოდში სიგრძის საზომ ერთეულად იხმარებოდა, შემდეგ კი შეჯიბრების ჩასატარებელი ადგილის სახელწოდების მნიშვნელობა მიიღო. ამდენად, საფიქრებელია, ჰიპესარს, რომელიც საცხენოსნო საშეჯიბრო ადგილის ფართობის საზომ ერთეულს წარმოადგენდა, შემდეგში თვით საცხენოსნო სპორტის სპეციალურად მოწყობილი ადგილის სახელწოდების მნიშვნელობა მიიღო.

თვით საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა ცხენის ეტლის გამოსახულება ბრინჯაოს სარტყელზე, რომელსაც ლ. მუსხელიშვილი ჩვ. ერამდე მე-17 საუკუნით ათარიღებს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ შამპონიონის ექსპედიციის მიერ 1828 წ. ეგვიპტეში ნაპოვნი ძველი სამარეულო ეტლი მზა სახით მუსხელიშვილისა და შეფერის აღიარებით კავკასიიდან უნდა იყოს გატანილი. სამარეულო ეტლის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ძველთაგანვე უნდა ყოფილიყო გავრცელებული საცხენოსნო სპორტი და მასთან დაკავშირებული საცხენოსნო-სასპორტო ნაგებობა. თვით საქართველოს ტერიტორიაზე საცხენოსნო სპორტის გავრცელებასა და მასთან დაკავშირებულ საცხენოსნო სპორტისათვის საჭირო სპორტული ნაგებობის არსებობის დამადასტურებელ მა-

სალას გვაწვდის ისტორიულ-ლიტერატურული პირველწყაროებიც, პირველ რიგში აპოლონ როდისელის „არგონავტები.“

აპ. როდოსელით არგონავტები მოადგნენ რა კოლხეთს, არესის ველისაკენ გასცურეს, რომელიც „ქალაქის პირისპირ მდებარეობდა.“ აქ, არესის ველზე, ვრცელი იპოდრომი იყო გადაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა. კოლხები ბრწყინვალე ემირების მოსაგონებლად რბენას და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ“*. მაშასადამე, კოლხეთში არსებული იპოდრომი სპეციალურ საშეჯიბრო-სავარჯიშო ნაგებობას წარმოადგენდა, რომ მას: „გარს მოაჯირი ერტყა,“ რომელზედაც საცხენოსნო სპორტის საბეებთან ერთად (მხედრული შეჯიბრებანი) რბენებსაც ატარებდნენ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აპ. როდოსელი არგონავტების ლიტერატურული დამუშავებისას ეყრდნობოდა მასზე ბევრად უფრო ადრე არსებულ თქმულებას არგონავტების კოლხეთში მოგზაურობაზე, რომლის შექმნას პირველი ათასეულის მე-8 საუკ. აქეთ ვერ ვიგულისხმებთ, მაშინ კოლხების მოაჯირმოვლებული „იპოდრომი“ უფრო ადრე უნდა არსებულიყო, ვინემ საბერძნეთსა და მით უმეტეს რომსა და ბიზანტიაში.

ეთნოგრაფიული მასალებით საკმაო რაოდენობითაა დამოწმებული გარდაცვალებულის პატივსაცემად სხვადასხვა ხასიათის ვარჯიშ-შეჯიბრებათა ჩატარება საქართველოში. სამეგრელოს ეთნოგრაფიული ყოფით მამაკაცის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად მხედრულ შეჯიბრებას ატარებდნენ, რომლის პროგრამაში შეტანილი იყო: დოღი 10-15 კილომეტრ მანძილზე, ყაბახი, თარჩია და მიზანში სროლა. როგორც პროფ. ვ. ელაშვილის მიერ ხევსურეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, ცხენოსნური შეჯიბრება, როგორც ერთ-ერთი ელემენტი მიცვალებულთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებისა, ძველთაგან ყოფილა ცნობილი. პროფ. ა. რობაქიძის მიერ დადგენილი მასალებით მიცვალებულის კულტთან დაკავშირებით, თუშები ცხენოსნურ შეჯიბრებას აწყობდნენ, რომელსაც „სადგინში“ მონაწილეო-

* აპ. როდოსელი, არგონავტები, 1948 წ., თბილისი. გვ. 148-149.

ბა უნდა მიეღო თავისი ცხენებით მიცვალებულის გვარის წევრებს, მის თანასოფლელებს, დედის ძმას, ცოლის ძმას, სიძეს, ძმობილს და სხვას. „დგანა ორთა სამჯობინართა გამოცდა.“ ს. ს. ორბელიანის განმარტებით „ცხენთა დგანა“ მოხსენებულია „ვეფხისტყაოსანშიაც“. ფატმანი ავთანდილს აცნობს რა გულანშაროს ცხოვრების წესს, უამბობს:

> ჩვენ დიდ ეაჭართა ზედა გვაც დარბაზს მიღება ძღვენისა,
> მათ საბოძვრისა ბოძება ჰმართებს მსგავსისა ჩვენისა;
> ათ დღემდის ისმის ყოველგან ხმა წინწილისა, ებნისა,
> მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა.

„დგანა“ იხსენიება მე-15 საუკუნის „საამიანის“ ხელნაწერში.“ „დგანას“ იხსენიებს ფეშანგი „შაჰნავაზიანში:“ „თავადთა ცხენთა დგანა აქვს, მუშათა იწყეს თესანი.“ სადგენის ჩატარების შემდეგ თუშეთში ღაბახობა ტარდებოდა, რომლის აღწერილობა მოცემული აქვს ს. მაკალათიას. ღაბახობის დროს სწარმოებს მშვილდ-ისრიდან მიზანში სროლა; „ღაბახობას პირიქით ხეობის ზოგიერთ სოფელში მშვილდ-ისრის ნაცვლად ფეხით გაჭენება სცოდნიათ და ვინც ნიშანში ჩადგმულ ნივთს პირველად ხელს დააკლებდა, ის მას რჩებოდა.“*

სადგინი, ცხენოსნობა, მშვილდოსნობა, მიზანში სროლა, რბენა, ფეხით გაჭენება — ყველა ეს მოგვაგონებს აპ. როდოსელის მიერ კოლხების ასპარეზობის აღწერას, რომელსაც არესის ველზე არსებულ იპოდრომზე მართავდნენ გარდაცვალებულთა მოსახსენებლად.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ გურიაში და სამეგრელოში ძველთაგანვე გავრცელებული ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული რელიგიური წესი (ცხენებით რბენა, მამაკაცის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად) წარმართობის გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს, რადგან ქრისტიანული სარწმუნოების მიერ დაგმობილი იყო იპოდრომი და ცხენთსარბიელი და რადგან გარდაცვალების წლისთავის რელიგიური წესის შესრულებაში ქრისტიანული სარწმუნოების დანერგვის პერიოდიდან მთავარ როლს ქრისტიანული ეკლესიის

* ს. მაკალათია. თუშეთი, 1933 წ., გვ. 178.

წარმომადგენელი — მღვდელი ასრულებდა, ის, პირიქით, შეეცდებოდა ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგებანი დაეცვა. ებრძოლა საეკლესიო კრების მიერ დამტკიცებული კანონის განმტკიცებისათვის ცხენოსნობასა და ცხენთამპარობიელის წინააღმდეგ. მაგრამ წარმართობის დროინდელი ზეპოთ აღნიშნული გადმონაშთი, როგორც ჩანს, ისე მტკიცედაა ფეხმოკიდებული, რომ ქრისტიანული ეკლესია იძულებული ყოფილა ეს წარმართობის გადმონაშთი ხელუხლებლად დაეტოვებინა.

კოლხეთში სპეციალურ სავარჯიშო-საშეჯიბრო ნაგებობათა არსებობას უფრო მოგვიანო პერიოდის ბიზანტიელი მწერალი პროკოფი კესარიელიც (490-554) ადასტურებს. ის აღწერს რა კოლხეთის ქალაქ აფსარეს, წერს: „ეს ქალაქი ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით და მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია, ამჟამად აქედან სხვა არაფერი დარჩენილა, გარდა ნაშენობათა საძირკველებისა.“*

აღნიშნული ცნობიდან ორი რამ ირკვევა. ერთი ის, რომ ქალაქის სიდიდის ნიშნად ავტორი თეატრსა და იპოდრომს მიიჩნევს. ამით საფიქრებელია, რომ ასეთივე თეატრი და იპოდრომი კოლხეთის სხვა დიდ ქალაქებშიაც უნდა არსებულიყო. მეორეც ის, რომ პროკოფი კეისარიელის დროს ქალაქი და მასში ერთ დროს არსებული თეატრი და იპოდრომი ნანგრევებადაა ქცეული, რაც მიუთითებს იმის შესახებ, რომ იპოდრომი თეატრთან ერთად მე-6 საუკუნის პირველ ნახევარზე ბევრად უფრო ადრე უნდა არსებულიყო. იპოდრომი რომ სპეციალური ნაგებობა უნდა ყოფილიყო, ამაზე მიუთითებს პროკოფი კესარიელის აღნიშვნა, რომ ის მის დროს ნანგრევებადაა ქცეული.

აფსარეში იპოდრომის არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ პერიოდში ამ ტერიტორიაზე ლაზურ-ჭანური მოდგმის ხალხი ჰენიოხები მოსახლეობდნენ, რომლებიც ჩვ. ერამდე მე-9-8 საუკუნეებში

---

* გეორგიკა, 11, 1934 წ. თბილისი, გვ. 94-95.

ფართოდ ყოფილან გავრცელებულნი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში რიზეათინის- მხარეში. ისინი ცხენოსნობაში განსაკუთრებით დახელოვნებულნი ყოფილან; თვით ამ ტომის სახელწოდება დაკავშირებულია ცხენთან და ცხენოსნობასთან. „ძველი ქართულით ჰუნე და ცხენი სინონიმური სიტყვებია.“ ამასთან ერთად ისიც აღსანიშნავია, რომ ჰუნე საბას მიხედვით„ გვარიან და კეთილად წვრთნილ ცხენს ჰქვია, საბერძნეთში ჰენიოხი ორთვალა ეტლების მთავარ მძღოლს ეწოდებოდა. იპოდრომის საქმეს მთავარი მძღოლი, ჰენიოზი განაგებდა.

როგორც ისტორიულ-ლიტერატურულ პირველწყაროებზე მუშაობამ დაგვარწმუნა, ძველად საქართველოში ცხენოსნობის სავარჯიშო-საშეჯიბრო ჩასატარებელი ადგილის სახელწოდება არ უნდა ყოფილიყო „იპოდრომი“, ასეთი ადგილის სახელწოდებად ქართველებს ქართული ენის ლექსიკონიღან აღებული სახელწოდება უნდა ჰქონოდათ, რომელიც შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ტერმინმა „იპოდრომმა“ განდევნა. ყოველ შემთხვევისათვის მე-17-18 საუკუნემდე მას საქართველოში მოქალაქეობრივი უფლება მოპოვებული არ ჰქონდა. ქართლის ცხოვრებაში არც თუ იშვიათად გვხვდება ტერმინები ასპარეზი და მოედანი. მაგრამ არსად მოხსენებული არ არის „იპოდრომი.“ ეს სიტყვა არ გვხვდება არც „ამირანდარეჯანიანში“ და არც „ვეფხისტყაოსანში.“ იმ დროს როდესაც მათში მოხსენებულია „მოედანი“ და „ასპარეზი.“ ასევე მას არც „კიმენური“ და ქართულ ჰაგიოგრაფიული თხზულებანი იხსენიებს. მათში მოხსენებულია „ასპარეზი“ და „მოედანი“. „იპოდრომი“ მოხსენებულია რა აპ. როდოსელისა და პრ. კესარიელის თხზულებაში, ამით არ შეიძლება დავასკვნათ სავარჯიშო-საშეჯიბრო ადგილის სახელწოდებად „იპოდრომის“ არსებობა საქართველოში, რადგან ისინი საცხენოსნო სპორტის ჩასატარებელი ადგილის სახელწოდებად ბუნებრივია თავიანთ მშობლიურ ენაზე არსებულ სახელწოდებას იხმარდნენ. ასეთ სახელწოდებად კი ბერძნებს და მათ შორის რომაელებსა და ბიზანტიელებს იპოდრომი გააჩნდა, „იპოდრომი“ მოხსენებულია მსოფლიო მეექვსე საეკლესიო კრების (მე-7 საუკ.) აქტებში, რომელიც ქართულ მწერლო-

ბაში ექვთიმე ათონელმა შეგროიტანა; მასში ვკითხულობთ: „არავის ხელეწიფების მღუდლობისა ანუ მონახნებისა ჯესსა შინა მყოფს ცხენთსარბიელსა მისვლად, რომელსა ეწოდების „იპოდრომი.“* ასევე პატრიარქ ფოტის „დიდი სჯულის კანონში,“ რომელიც იმავე ექვთიმე ათონელის მიერაა თარგმნილი, ვკითხულობთ: „აღდგომის დღესასწაულებში „ნუმცა იქნებიან ყოვლადვე ცხენთა სარბიელნი, რომელ არს „იპოდრომი.“ უფრო მოგვიანო პერიოდის მოღვაწე არსენ იყალთოელი გიორგი მონაზონის ხრონოღრაფის თარგმნისას, ბერძნული ტექსტის იმ ადგილს, სადაც ნახსენებია „იპოდრომი“, „ცხენთსარბიელით“ თარგმნის. მკითხველთა გასაგებად იქვე განმარტავს, რომ ცხენთსარბიელი იპოდრომია. თარგმნის რა გიორგი მონაზონის ხრონოღრაფის იმ ადგილს, სადაც მოთხრობილია რომის პირველ დამაარსებელთა რემის და რომულის მოღვაწეობა, რომლებმაც საუკეთესო ნაგებობანით დაამშვენეს რომი და მათ შორის იპოდრომით, წერს: „აღაშენა ცხენთსარბიელი,“ „სრულყო მან ცხენთსარბიელი,“ რომელ არს „იპოდრომი“. როგორც მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, მთარგმნელნი იხსენიებენ რა „იპოდრომს“-ს, იქვე მის განმარტებას იძლევიან. საქართველოში რომ „იპოდრომი“ არსებულიყო, ცხადია, მთარგმნელთ აღარ დასჭირდებოდათ მისი დამატებითი განმარტება და თუ მას დამატებით განმარტავდნენ, ეს იმიტომ, რომ ქართულად საცხენოსნო სპორტის ჩასატარებელი ადგილის სახელწოდებად არა „იპოდრომი, არამედ სახელდობრ ცხენთსარბიელი უნდა ყოფილიყო. ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ „მარტვილობა გურანდუხტ სპარსისაში“, რომლის თარგმანიც, ‐ ჯ. კეკელიძის აზრით, შესრულებული უნდა იყოს არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნის პირველი ნახევრისა, მოხსენებულია ცხენთსარბიელი და არა იპოდრომი.** ს. ს. ორბელიანიც იპოდრომს ცხენთსარბიელით განმარტავს. ქართული ორიგინალური ლიტერატურის პირველწყაროებში მე-16-17 საუკუნეებამდე არსად იხსენიება

---

* სჯულის კანონი მეექვსისა კრებისა, ქუთაისის მუზეუმი, № 307, გვ. 33.

* ჯ. კეკელიძე, ეტიუდები, 3, 1955 წ., გვ. 206, 225.

„იპოდრომი,“ გარდა ერთი გამონაკლისისა — სახელდობრ, „აბდულმესიანში,“ სადაც ვკითხულობთ:

> თუ უქო სრანი, მე ამას რანი,
> გალავანისა შემკულობანი...
> ...იპოდრომისა განხმულობანი.

მაგრამ „აბდულმესიანში“ ის მწიგნობრობის გზით უნდა იყოს შემოსული და შეუძლებელიცაა ამ ერთი გამონაკლისით საკუნონსნო სავარჯიშო-საშეჯიბრო ადგილის სახელწოდებად „იპოდრომის“ არსებობის დამტკიცება საქართველოში.

შეჯიბრებათა ჩატარების ორგანიზაცია

როგორც ისტორიული პირველწყაროები ადასტურებენ, ანტიკური პერიოდის საქმეში ბრძოლის ერთ-ერთ სახეს ორთაბრძოლა ე. წ. „ბუმბერაზობა“ წარმოადგენდა. თრიალეთში ერთი შწვავე ბრძოლის დროს, ლეონტი მროველის ცნობით, ქართველთა მეფე არშაკმა ორთაბრძოლაში გამოიწვია ადერკი. „...აღიზახნეს ორთავე ხმითა სასტიკითა, და მიეტევნენ ურთიერთს და იწყეს ორთავე გურემად ოროლითა, და ვერა ჰკუეთდეს საჭურველსა ერთმანეთისა და ბრძოლისა სიგრძისა შინა განუტყდა ოროლები, აღმოიღეს ჩუგლუგები და იწყეს ბრძოლად ჩუგლუგებითა. ოდეს უხეთქნიან ჩუგლუგი იგი საჭურველისა ზედა მათსა, ჰგუადის ხმა იგი ხმასა ზახილისა მათისა მსგავს იყო ქუხილისა.

მაშინ ვერ სძლიეს ურთიერთს, დაშურეს და უკუდგეს იმიერ და ამიერ. შეღამდა დღე იგი და განისვენეს ორთავე და დილეულ კუალად გამოვიდეს და აღიღეს მშვილდები და იწყეს რბევად და სრვად ერთმანეთისა“*. ასევე „ბუმბერაზობა“ აღწერილი აქვს იმავე ლეონტი მროველს ოსების წარმომადგენლებთან ფარსმანის ძის ამსისპის, ფარსმან ქველისა და სპარს ჯუვანბერს შორის და სხვ. თუ დაკუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ „ბუმბერაზობის“ დროს საბრძოლო იარაღის ხმარების გარკვეული წესი უნდა არსებულიყო. სახელდობრ, მებრძოლნი ვალდებულნი ყოფილან ერთნაირი იარაღით ებრძოლათ. ზემოთ აღწერილ „ბუმბერაზობაში“ ორთავენი ჯერ ოროლებით, შემდეგ ჩუგლუგებით, ხოლო მეორე დღეს მშვილდ-ისრებით იბრძვიან.

„ბუმბერაზობა“ ჩვეულებრივად ორ მოწინააღმდეგე მტრულად განწყობილ პირთა შორის წარმოებს, ამასთან ერთად დასაშვებია კეთილ მეგობრებს შორისაც მისი ჩატარება, რათა გამოცადონ ურთიერთის ფიზიკური ძალა და საომარ საბრძოლო იარაღის ხმარებაში დახელოვნება. ბუმბერაზობა ტრადიციად ქცეული განსაზღვრული წესის დაცვით მიმდინარეობდა.

---

* ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. 1957 წ., გვ. 34.

„ბუმბერაზობა“ ტარდებოდა როგორც ორ მოწინააღმდეგე პირს შორის, ასევე ორ მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორისაც. ამ უკანასკნელის დროს დაცული იყო მოწინააღმდეგეთა თანაბარი რაოდენობა. „ამირანდარეჯანიანით“ შეიკრიბნენ რა ასფან მეფის კარზე ჭაბუკები, გაიმართა „ბუმბერაზობა,“ რათა ბრძოლით მოიპოვონ ასფან მეფის ქალიშვილები. ასფან მეფემ „ბუმბერაზობაში“ გაიწვია ჭაბუკები თავის ბუმბერაზებთან. „ვითა ზედა გათენდა, დაჯდა მეფე ასფან მუნვე და გავიდეს ექვსნი ბუმბერაზნი ქალაქთა და აქათაც გადიდის ჯაზდან ფარსადანის ძე, ქამარ ქერდი, ბოლოსორ ბახანელი, პარსანი რაბიშინის ძე, ამრად რაბაგის ძე და ჯაიპარ ქანიმანის ძე“*. ასევე ექვს-ექვსნი მონაწილეობენ ბალხათის აღების წინ გამართულ „ბუმბერაზობაში.“ „გავედით აქათ ექვსნი ჩუენ და გამოვიდეს ექუსნი მისნი, შევიბენით და ვიბრძოლეთ დილიდგან მწუხრამდის“.

„ბუმბერაზობის“ დროს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ბრძოლები განსაზღვრული იარაღით სწარმოებს. არზამანაკმა ათწყრთიანი რკინის ჯოხი გაუგზავნა ბადრი იამანის ძეს საჩვენებლად და თან შეუთვალა: „ასეთსავე მე ავიღებ და დღეს ამით შევიბნეთო.“ ასევე ამბრი არაბს ხანთა მეფის „ბუმბერაზმა“ გამოუგზავნა ლახტი მისი და ეგრე შემოუთვალა, ვითა დღესა ამით შევიბნეთო.“ ხანთა მეფის მეორე ბუმბერაზმა მეორე დღეს ამბრი არაბს შემოუთვალა: „დღეს ხრმლითა შევიბნეთო“ და ბრძოლაც ხმლებით მიმდინარეობდა.

გამძაფრების მიზნით, „ბუმბერაზობა“ წინასწარი მუქარით იწყება, რითაც ერთმანეთს აქეზებდნენ საბრძოლველად. შავ ჭაბუკსა და ბადრი იამანის ძის ორთაბრძოლა ერთმანეთის გარშემო ნავარდის შემოვლით იწყება. „შემოუვლის ნავარდი ერთმანეთისა და შეიბნეს“.

„ბუმბერაზობა“ ხშირ შემთხვევაში მაყურებელთა თანდასწრებით საზეიმოდ სპეციალურ მორთულ-მოკაზმულ მოედანზე წარმოებდა. აბაშისა და ბადრი იამანის ძის ორთაბრძოლის წინ გამოვიდა მეფე და დაჯდა, დაისუა გვერდით

* „ამირანდარეჯანიანი“, ძვ. ქარ. ლიტ. ქრესტომათია, 2, 1949 წ., გვ. 40:

ასული მისი და ცოლი და დასხნა დიდებულნი მისნი, წარმოდგა ყოველი კაცი ხედვად რომელიმე ზღუდეთა, რომელიმე უბანთა, რომელთამე კარნი გამოახუნეს და დადგეს ხედვად, გამოვიდა აბაში და წამოდგეს ზედა მებუკე-მედაბდაბენი. ვლიდეს, სცემდეს და იყო ზმა. შეკაზმა ბადრი იამანის ძე და გამოვიდა".

ანტიკური და მომდევნო პერიოდის საქართველოში „ბუმბერაზობა" ბრძოლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა და ხშირად ორ მიწინაალმდეგე მეომარ მხარეთა შორის დავის გადაწყვეტის საშუალებად ითვლებოდა. ამდენად უნდა არსებულიყო ბუმბერაზთა მომზადება, განსაზღვრულ სამხედრო-ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეებში მათი წვრთნა და შეჯიბრებანი და როგორც ისტორიულ-ლიტერატურული პირველწყაროები ადასტურებენ, ასეთიც არსებულა. კერძოდ, ლეონტი მროველი მოგვითხრობს რა მეფე ფარსმან ქველისა და მასთან ერთად აღზრდილის, მისივე სპასპეტის ფარნავაზის „ბუმბერაზობაში" დახელოვნებას, მიუთითებს, რომ „უკეთუ გამოჩნდის ბუმბერაზი სპარსთა შორის, რომელსა ვერ ებრძოდიან ბუმბერაზნი ქართლისა და სომხეთისანი, მას ზედა განვიდის თვით მეფე ფარსმანი, ანუ სპასპეტი მისი ფარნავაზ და ესრეთ აჯობიან და სძლიან"*. აქედან ჩანს, რომ ისინი ერთად, აღზრდის ერთნაირი სისტემით აღზრდილნი, თანაბარ დახელოვნებას იჩენენ ბუმბერაზობაში.

ხშირად აღმზრდელი თან ახლავს აღსაზრდელს ბუმბერაზობის დროს, რათა მიუთითოს და ასწავლოს ბრძოლის ის ხერხები და ილეთები, რომელნიც მშვიდობიან წვრთნა-სწავლების დროს გამორჩენია. „ამირანდარეჯანიანით" ამბრი არაბი მონაწილეობს რა „ბუმბერაზობაში," მასთან ერთად არენაზე მისი მწვრთნელი აბუტარიც გავიდა.

სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო საქმის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, შეიქმნა რა ბრძოლის განსაზღვრული ფორმა „ბუმბერაზობა," წარმოიშვა მისი შესატყვისი სამხედრო-ფიზიკური მომზადებისა და შეჯიბრებათა ჩატარების განსაკუთრებული ორგანიზაციული ფორმა. „ბუმბერა-

* ქართლის ცხოვრება, I, 1957 წ., გვ. 51.

ზობა“ „სამხედრო-ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეებში ჩატარებული წვრთნა-მომზადების შემოწმების საშუალებასთან ერთად, სამხედრო-ტაქტიკური მომზადებისა და ხალმარ მოქმედებისათვის მზადყოფნის შემოწმების საშუალებასაც წარმოადგენდა. „ბუმბერაზობაში“ მონაწილეობდნენ მხოლოდ და მხოლოდ მაღალი წრის წარმომადგენლები, დიდებულები. ყველა წარჩინებულს და დიდებულს უფლება ჰქონდა გამოეწვია მეორე წარჩინებული ან დიდებული. გამოწვევაზე უარის თქმა დიდებულის უდიდესი შეურაცხყოფა იყო.

„ბუმბერაზობა“ ორთა ბრძოლების სახით მოგვიანო პერიოდშიც განაგრძობს არსებობას. ორთა ბრძოლას სპეციალური მსაჯები (მოსამართლენი) ე. წ. „მემათრახენი“ განაგებდნენ (ხელმძღვანელობდნენ). ეს თანამდებობა ადრეულ პერიოდიდან ტრადიციით უნდა მომდინარეობდეს.

„ვახტანგის კანონების“ მე-7 მუხლში „ხმალში გატანების“ შესახებ ვტყობილობთ, რომ განაზადებდნენ რა ორთა ბრძოლისათვის: „ერთი თავს მოედნისასა და ერთი ბოლოს დადგნენ, თითო მემათრახე ჩაატარონ უიარაღონი, რომ თითო ფარისა და მათრახის მეტი იმათ არ იქონიონ რა“*.

„მემათრახენი“ ორთა ბრძოლის დროს ხელმძღვანელობდნენ და იცავდნენ ორთა ბრძოლის ძველთაგანვე ტრადიციით დადგენილ ჩატარების წესს. „მემათრახენი“ უპირველეს ყოვლისა სხვადასხვა იარაღის ბრძოლაში გამოყენების თანმიმდევრობას იცავდნენ. მხოლოდ მათი ნიშნის მიცემის შემდეგ შეეძლოთ მებრძოლებს ამა თუ იმ იარაღის ბრძოლაში გამოყენება. ამ გაგებით მიუთითებს ვახტანგ ირაკლის ძე თავის „ისტორიებრ აღწერაში“. „მემათრახენი იგი იტყოდნენ თვისსა ჟამსა საჭურვლისა ხმარებას,“ ე. ი. მიუთითებდნენ, რა დროს, რა იარაღი ეხმარათ.

ორთა ბრძოლის ტრადიციის გამომუშავებული წესის თანახმად, გამარჯვებულს დამარცხებულის იარაღი ეძლეოდა, ხოლო მსაჯს — „მემათრახეს“ — დამარცხებულის ცხენი. აღნიშნული წესი დაკანონებული იყო ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნით, რომელშიც ვკითხულობთ: „იარაღი გადა-

---

* ვახტანგ მე-6, სამართლის წიგნი, 1955 წ., გვ. 50.

ვარდნილისა გარდამგდებელისა არის და ცხენი მემათრახისა.“ ორთა ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებისათვის საჭირო იყო მოწინააღმდეგის ცხენიდან გადმოგდება ან გაქცევა. წესით დადგენილი იყო ისიც, რომ თუ „ვინ იცის, ორნივ გადავარდნენ, უნდა დაიცალონ ქვეითად ერთმანეთზე მიუშვან, და რომელიც წააქცევს, სამართალი იმას დარჩება“.

სამხედრო-ფიზიკურ ვარჯიშობათა სხვადასხვა სახეებში შეჯიბრების ჩატარების პერიოდში მსაჯების გამოყენების შესახებ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის „ვეფხისტყაოსანი.“ შეიქმნება რა ცილობა როსტევანსა და ავთანდილს შორის, თუ ვინ უკეთესი მოასპარეზეა, იმ გადაწყვეტილებამდე მიდიან, რომ საჭიროა, მსაჯების თანდასწრებით შეჯიბრების ჩატარება. როსტევან მეფემ შეჯიბრების ორგანიზებული ჩატარების უზრუნველსაყოფად გამოჰყო თორნიტი მონა, რომელთაც უბრძანა:

ბშეიღლა ფიცხელსა მოგცემდით, ისარსა მოგვართმიდითა,
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთვალეიდითა.

შეჯიბრების დაწყების წინ:

ნაღლეიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკვნიდეს,
ვინცა იყოს უარესი, თავშიშველი სამ დღეს ვლიდეს.

დაიწყო შეჯიბრება ნადირობაში, რომლის დროსაც:

ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს,
მიხოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლთა მოასხმიდეს,
რა ისარი დაელივის, მონანი-ყე მიართმიდეს.
მხეცნი, მათგან დაკოდილნი, წყლმა ბიჯსაც ვერ წასდგმიდეს.

ნადირობის დამთავრებისთანავე, მსაჯთა გადაწყვეტილების მოლოდინში ისინი:

ერთმანეთსა თუ: „მე გჯობო,“ სიცილით ეუბნებოდეს,
ამხანაგობდეს, ლაღობდეს, ქვით და აქეთ დგებოდეს.

მსაჯებმა ჩატარებული შეჯიბრების შედეგების შესახებ მეფეს მოახსენეს:

ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ათჯერ ოცია,
მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია.
არ დასცდომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცია.
თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი დაგვიხოცია.

ორთავეს ორასი მოუკლავს, „ათჯერ ოცია," აქედან ავთანდილის მიერ მოკლული 20-ით სჭარბობს როსტევანის მოკლულს, ამასთან ერთად ავთანდილის ნატყორცნი ყველა მიზანს მოხვედრია, იმ დროს, როდესაც როსტევანს მრავალი დაუცდენია, რის გამო მსაჯებს უხდებოდათ როსტევანის მიერ ნასროლი ისრების გაწმენდა მიწისაგან: „თქვენი მრავალი მიწითა დასვრილი დაგვიხოციაო," მოახსენებდნენ მსაჯები მეფე როსტევანს. ამასთან ერთად მსაჯები აწარმოებდნენ რა ისრის მხეცზე მორტყმის ხარისხიანობის დადგენას, ქმაც ავთანდილი იმარჯვებს. „ვისგან ნაკრავნი გვინახვან, მხეცნი ვერ წაღმა წარებით."

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შეჯიბრება მეგობრულ და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში ტარდება, შეჯიბრებაში დამარცხებული სრულიადაც არ გრძნობს თავს შეურაცხყოფილად და გამარჯვებულს და დამარცხებულს შორის კეთილმეგობრული დამოკიდებულება სუფევს, რითაც ერთხელ კიდევ ხაზგასმით შტაიცდება საქართველოში ძველთაგანვე მაღალი სპორტული კულტურის არსებობა. საკმარისია შევადაროთ შეჯიბრების შემდეგ შემჯიბრებელთა შორის კეთილმეგობრული ურთიერთდამოკიდებულება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რაინდულ ტურნირებზე წარმოშობილ სისხლისმღვრელ შეტაკებებს, რომ ნათელი გახდეს ქართულ ნიადაგზე წარმოშობილ შეჯიბრებათა ჰუმანურობა.

რომაელი ავტორები იბერიელთა წარმომადგენლების რომში გამართულ ასპარეზობებში მონაწილეობის შესახებ

სათანადო წერილობითი პირველწყაროებით იოკვევა, რომ იბერია ახ. წ. ა. I-III ს. ს. წინა აზიის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელზედაც იმ დროისათვის მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოს რომს ასე ადვილად ხელი არ მიუწვდებოდა და რომის იმპერატორები „სულ იბერიასთან მეგობრობაზე ლაპარაკობდნენ". იბერიის მეფეებსა და დიდებულებს რომში მეგობრული ვიზიტით იწვევდნენ, მათ საპატივცემულოდ სხვადასხვა ხასიათის გართობა-სანახაობებს აწყობდნენ და დიდი საჩუქრებით ისტუმრებდნენ. როგორც თვით რომაელი ავტორები გვატყობინებენ, იბერთა მეფისა და დიდებულთა საპატივცემულოდ გამართულ გართობა-სანახაობათა ერთ-ერთ სახეობას ასპარეზობა წარმოადგენდა, რომელშიაც ხშირად იბერიის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ და მათში ისეთ დახელოვნებას იჩენდნენ, რომ რომაელთა გაოცებასა და მოწონებას იმსახურებდნენ. ამ მხრივ მეტად საინტერესოა დიონ კასიუს კოკეირონის (მე-2 საუკ. ჩვ. წ.) ცნობა, იბერთა მეფე ფარსმანის, მისი შვილისა და იბერთა სხვა წარჩინებულთა მიერ რომში მარსის ველზე გამართულ ასპარეზობის შესახებ. დიონ კასიუს კოკეირონი წერს: „ადრიანემ* ფარსმანს ნება მისცა მსხვერპლი შეეწირა კაპიტოლიუმის ტაძარში, მისი (ფარსმანის) ცხენიანი ქანდაკება მარსის ველზე დაადგმევინა და უმზერდა, თუ როგორ ვარჯიშობდნენ თვით (ფარსმანი), მისი შვილი და სხვა პირველი (მთავარი, წარჩინებული) იბერები აბჯარში"**. ეს ვარჯიშობა ალბათ ცხენზე წარმოებდა და იქნებ სწორედ ამიტომ დაადგმევინა კეისარმა ფარსმანის ცხენოსანი ქანდაკება. „დაუჯერებელიცაა, — წერს ს. ჯანაშია, — რომ ასეთი პატივით მიღებულს იბერიის

---

* ამჟამად დაზუსტებულია, რომ ქართველების გამოსელა მარსის მოედანზე მოეწყო, არა ადრიანეს, არამედ მისი მომდევნო იმპერატორის ანტონინე პიუსის დროს (რეცენზენტის შენიშვნა).

** ს. ჯანაშია. შრომები, ტომი 2, 1952 წ., გვ. 199.

ბეუეს ქვეითად ეხტუნა იმპერატორის წინაშე. ცხენოსანი იბერიელები მძიმედ შეჯავშნული ვარჯიშობდნენ. წარჩინებული ერისკაცები მძიმედ შეჭურვილნი ასპარეზობენ და ცხენს ისე ხმარობენ, რომ იმპერატორის აზიზი ცარის ყურადღებასაც იქსახურებენ".

შესაძლებელია, დიონ კასიუსის ცნობაში ფარსმან მეფისა და იბერიელ წარჩინებულთა „ვარჯიშობანი აბჯარში" წარმოადგენდა ცხენოსნობის ცალკეულ სახეებთან ერთად ფარიკაობაში ვარჯიშობას; ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ პომპეუსი საქართველოში ყოფნისას გასცნობია ფშავ-ხევსურების მიერ მის წინაშე ჩატარებულ საბრძოლო ფარიკაობას, „თუ ვითარ ხმარობდნენ იგინი საჭურველთა საომართა და ჰყვეს მათ ვარჯიში ხმლითა და ვითარს სახითა ჯერ არს ბრძოლასა და შინა ხმარება ხმლისა და ფარისა"*. თეიმურაზ ბატონიშვილი ყამთა აღმწერის აღნიშნული ცნობის გამო იქვე შენიშნავს: „ხოლო ხმლის ვარჯიშსა იგინი უხმობენ კეჟნაობასა და აქვთ წესი ესე ხრმლის ვარჯიშისა ვიდრე აქომამდე".

პომპეუსმა ნახა რა ქართველების დახელოვნებით ვარჯიშობანი ფარიკაობაში, „დამოსნა იგინი პომპეემ რომაელთა შესამოსლებითა და ფრიად სცნო სიმხნე და მამაცობანი მათნი". აქასთან ერთად მემატიანე გვამცნობს, რომ ეს მოფარიკაკე ფშავ-ხევსურები იბერიის მეფის პირად დაცვას წარმოადგენდნენ, რომ „მარადის გვამის მცველად მეფისა საწოლთა შინა მასთა შინა და გარეთ ჩვენ ვართო დადგენილიო", — განუცხადებიათ მათ პომპეუსისათვის.

იბერიელების ფარიკაობაში განსაკუთრებული დახელოვნება, როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობით ჩანს, ფარსმანის რომში ჩასვლამდეც ცნობილი ყოფილა რომაელებისათვის და ბუნებრივია ფარსმანი საკუთარი ან იმპერატორ ადრიანეს თხოვნით უდაოდ ცხენოსნობის ცალკეულ სახეებში დახელოვნებასთან ერთად ფარიკაობასაც უჩვენებდნენ. მით უმეტეს ფშავ-ხევსურები, რომლებიც განთქმული ყოფილან ადრეულ პერიოდიდანვე ფარიკაობაში დახელოვნებით, თან

* თ. ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია, პეტერბურგი, 1849 წ., გვ. 128.

მეფის პირად დაცვაში შედიოდნენ და იბერიის მეფეს, როგორც პირადი დაცვა, თან უნდა ხლებოდა რომში.

ფარსმან მეფისა და იბერიელ წარჩინებულთა მიერ მარსის ველზე ასპარეზობის გამართვა ეპვს არ იწვევს, რადგან ადრიანეს და პიუსს „ჩინებული განწყობილება ჰქონია იბერიელებთან და მეფე ფარსმანთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფარსმანის ძმა მითრიდატეც დახელოვნებული ყოფილა ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეულ სახეებში და მემატიანეთა დამოწმებით არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალა გააჩნდა. მითრიდატე რომაელებს სომხეთის მეფედ დაუნიშნავთ: „მითრიდატე ივერი ძმა მეფისა ფარსმანისა ჰფლობდა სომხეთისა სამეფოსა.“ როგორც სომხეთის ჩვ. ერით მე-5 ს. ისტორიკოსი მ. ხორენაცი გადმოგვცემს, მითრიდატეს მონაწილეობა მიუღია რომში გაბართულ შეჯიბრებებში. ჭიდაობაში, ხარებთან შეჭიდებასა და საბრძოლო ორთვალებით ცირკის არენის გარშემო რბენაში, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა რომში.

ჭიდაობაში მითრიდატეს კლეოსტატე როდოსელი დაუმარცხებია, ხოლო გაცოფებულ ხარებთან შეჭიდებისას ორი ხარი დაუნარცხებია მიწაზე. საბრძოლო ორთვალებით ბრძოლაში შეჯიბრებისას, მოწინააღმდეგის ორთვალაზე შეჯახების გამო, ძირს გადმოვარდნილა; ბირს დანარცხებულ მითრიდატეს ორთვალის ბორბლისათვის ხელის წავლება მოუსწრია და ორთვალა გაუჩერებია, რითაც დაჩსწრეთა გაოცება და გაკვირვება გამოუწვევია*. აღნიშნულ ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმდენად, რამდენადაც დასტურდება იბერიელების შეჯიბრებებში მონაწილეობა რომაელებსა და ბერძნებთან ერთად; თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საბერძნეთში და რომში ფიზიკური მომზადების სპეციალური დაწესებულებანი არსებობდა, სადაც ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეულ სახეებში მწვრთნელების ხელმძღვანელობით სისტემატურ წვრთნას აწარმოებდნენ, მაშინ იბერიელთა წარმოადგენლების გამარჯვება ესოდენ ფიზიკურად

---

* Хоронаци Мовсес. История Армении, Тифл. 1913 г., кн. 2 глава 79

ძლიერ მოწინააღმდეგეებთან გვაფიქრებინებს, რომ ფიზიკური მომზადების სპეციალური დაწესებულებები ანტიკური პერიოდის საქართველოშიც უნდა არსებულიყო. ეს ძით უფრო ღასაჯერებელია თუ ძველველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ კოლხეთის წარმომადგენლებს ჯერ კიდევ მე-3 საუკ. ჩვ. ერამდე გორგიპიაში ჰერმესის სახელობის შეჯიბრებაში (საშუალო მანძილზე რბენა) პირველი ადგილები მოუპოვებიათ, რასაც გორგიპიის (ეხლანდელი ანაპა) აგონისტიკური კატალოგი ადასტურებს.

ქართველ დიდებულთა და წარჩინებულთა მონაწილეობა რიტონში გამართულ ასპარეზობაში გვაფიქრებინებს, რომ ანტიკური პერიოდის საქართველოში საკმაოდ მაღალი სპორტული კულტურა უნდა არსებულიყო, ამასთან ერთად, იბერიაში დანერგილი უნდა ყოფილიყო ასპარეზობის ისეთი სახეები, რომელნიც მათ ეროვნულ საკუთრებად ითვლებოდა. ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის რომაელი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტი: „იბერიაში ძველი წესის და მიხედვით მეფობდა ფარსმანი, ხოლო სომხეთში ჩვენი ბრძანებლის წყალობით მისი ძმა მითრიდატე. ფარსმანს ჰყავდა შვილი, რომელსაც როდამისტი ერქვა. იგი იყო მაღალი, ძლიერი, ჩინებული ფიზიკური ძალის მქონე, დახელოვნებული ეროვნულ ვარჯიშობათა სახეებში და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მეზობელ ხალხებში“*.

ცნობა საინტერესოა ორი მხრივ; ერთი იმით, რომ მასში დასახელებულია როდამისტის დახელოვნება ფიზიკურ ვარჯიშობათა ეროვნულ სახეებში. რამდენადაც როდამისტი იბერიელია და მითითებულია მისი დახელოვნება ფიზიკურ ვარჯიშობათა ეროვნულ სახეებში, ამდენად ჩანს, რომ იბერიაში არსებულა ფიზიკურ ვარჯიშობათა ისეთი სახეები, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ იბერიაში და მის მოსაზღვრე მეზობელ ხალხებში — კოლხეთში, ალბანიასა და სომხეთში უნდა ყოფილიყო გავრცელებული და უცნობი უნდა ყოფილიყო რომაელებისათვის. ფიზიკურ ვარჯიშობათა ქართული

---

* ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1951 წ., გვ. 170. იხ. აგრეთვე ეურნ. вдн, № 3, 1949 г., стр. 216.

ინერიული, ეროვნული სახეები რომ კოლხეთსა და სომხეთში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ამის შესახებ ისიც მეტყველებს, რომ ფიზიკურ ვარჯიშობათა ეროვნულ სახეებში დახელოვნებით როდამისტი განთქმული ყოფილა მეზობელ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა შორის. ამის მოპოვება კი შეუძლებელი იქნებოდა ისე, თუ ის თავის დახელოვნების დემონსტრირებას არ მოახდენდა მეზობელ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის წინაშე და მასთან ერთად არ მიიღებდა მონაწილეობას ამავე ეროვნულ სპორტულ სახეებში გამართულ ასპარეზობაში. ამდენად ტაციტის ცნობა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ დასტურდება ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეულ სახეებში შეჯიბრებების მოწყობა მეზობელ ხალხთა წარმომადგენლების მონაწილეობით. რადამისტის განსაკუთრებულ ფიზიკურ ძალას და მის სიმარდესა და მოქნილობაზე მიუთითებს ქართული ისტორიული პირველწყაროებიც, რომელთა მიხედვით ფარსმანის შვილი რადამისტი ყოფილა „ჰაბუკი ძლიერი, გულოვანი და ჰაეროვანი, ქებული იყო იგი განსხვავებულითა ძალითა, საკვირველითა სიმკვირცხლითა“*. ასევე იგივე წყაროები მიუთითებენ ფარსმან მეფის ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეულ სახეებში დახელოვნებაზე. „ფარსმან ქველი ფრიად კეთილი, გონიერი, სწავლული, მშვენიერი, ახოვანი, გოლიათი და მის უამს გმირი სახელგანთქმული და ესრეთ სახელგანთქმული იყო ყოველთა შორის ერთა მეზობელთა ივერიისა ქვეყნისათა, რომელ არავის წინაპართა მასთა უდრიდენ მას ამისათვის ფრიად იგი ყოველთა ივერიელთა“**. ფარსმან მეფის სამხედრო-ფიზიკურ ვარჯიშობებში დახელოვნებაზე მეტყველებს მემატიანეს ცნობა იმის შესახებ, რომ ფარსმან მეფემ ორთაბრძოლაში (ბუმბერაზობაში) დაამარცხა სპარსეთის ცნობილი გმირი და გოლიათი ჯოვანბერი“. (ალბათ ჯუმბერი)***.

---

* თეიმურაზი. საქართველოს ისტორია, 1849 წ., პეტერბურგი, გვ. 151.

** თეიმურაზი. საქართველოს ისტორია, 1849 წ., პეტერბურგი გვ. 5.

*** ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955 წ., გვ. 52.

ფარსმან მეფეს, როგორც ისტორიული პირველწყაროებიდან ჩანს, სპეციალური აღზრდა მიუღია. მისი აღმზრდელი შემდეგში მისივე მხედართმთავარი (სპასპეტი) ფარნავაზი ყოფილა, რომელიც: „ესოდენ ძლიერ იყო იგი, რომელ გმირობითა ვერავინ ესწორებოდა მას სრულიად მის ჟამსა მებრძოლთა შორის"*. ბუმბერაზობაშიც მას ტოლი არ ჰყავდა. ასეთი აღმზრდელის ხელში ფარსმანს საუკეთესო სამხედროფიზიკური აღზრდა უნდა მიეღო და გასაკვირიც არ არის ის ფაქტი, რომ მას და მის მხლებლებს რომაელთა ყურადღება მიეპყროთ.

* ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. 1955 წ., გვ. 51.

ანტიკური ხანის ქართული სახალხო დღესასწაულები და მათში ფიზიკურ ვარჯიშობათა ადგილი

სახალხო დღესასწაულებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. მათში მონაწილეობდნენ არა მარტო წარჩინებული წოდების წარმომადგენლნ, არამედ ხალხის ფართო მასები. მართალია, სახალხო დღესასწაულები რელიგიური ხასიათისა იყო, მაგრამ, ღვთის მსახურებისა და სხვადასხვა რელიგიურ-რიტუალური წესების შესრულებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა თამაშობებსა და ფიზიკურ ვარჯიშობათა სხვადასხვა სახეებს, რომლებშიაც ქართველი ხალხის წარმომადგენელნი თავიანთ დახელოვნებას, მამაცობას, გამძლეობას, მოქნილობასა და გამბედაობას ავლენდნენ. გამარჯვებულნი ხალხის მოწონებასა და ქებას იმსახურებდნენ.

ერთ-ერთი ასეთი სახალხო დღესასწაულის შესახებ ცნობას გვაწვდის აპ. როდოსელი. იგი „არგონავტიკაში" წერს „სპეციალურად აგებულ მოჯირმოვლებულ ასპარეზზე სადაც კოლხები „ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად რბენასა და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ".

სახალხო დღესასწაულის ჩატარების შესახებ უფრო მოგვიანო პერიოდის ცნობა დაცულია „ქართლის ცხოვრების" იმ ნაწილში, რომელსაც შემატიანე ლეონტი მროველს მიაწერენ. ლეონტი მროველის ცნობით აღმოსავლეთ საქართველოს (იბერიის) მაშინდელ სატახტო ქალაქ მცხეთაში, ადრეულ პერიოდიდანვე არმაზის კერპის საპატივცემულოდ დიდი გრანდიოზული სახალხო დღესასწაული იმართებოდა.

სახალხო დღესასწაულები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დღესასწაულები იმართებოდა წინაპრების ღვთაების ან გმირების პატივსაცემად.

როგორც კ. კეკელიძემ დაადასტურა, წარმართულ საქართველოში ახალი წელი, ვიდრე მე-9 საუკუნის დასაწყისამდე, აგვისტოთი იწყებოდა და მას „ახალწლისა" ეწოდებოდა. ახალ წელს იბერიის დედაქალაქ მცხეთაში ღვთაება არმაზის საპა-

ტიკცემულოდ დიდ სახალხო დღესასწაულს არმაზობას მართავდნენ, რომელშიც ქართველ დიდებულებთან ერთად მთელი ერი, ხალხი მონაწილეობდა და გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენდა.

ლ. მროველი გადმოგვცემს, რომ „ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა. ესე არს არმაზი... და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა". „ქართლის ცხოვრების" თანდართულ ლექსიკონში ს. ყაუხჩიშვილი სიტყვა „სატფურებას" განმარტავს წლისთავის დღესასწაულად.

როგორც ლეონტი მროველი გვაცნობს, არმაზის დღესასწაულზე აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან დიდძალი ხალხი მოედინებოდა. აღნიშნული დღესასწაულის დროს „...ვამოვიდა ერი ურიცხვ, ვითარცა ყუავილნი ველისანი, და ზარი გამოვიდა, აღივსნეს მთანი იგი დროშებითა და ერითა, ვითარცა ველნი ყუავილთა".

დღესასწაულის დროს ღვთისმსახურებასთან ერთად ვაჭრობა, ალებ-მიცემობაც წარმოებდა, რადგან იქ ნათლად სწერია, რომ მცხეთისაკენ ამ დღესასწაულზე მოედინებოდნენ არა მარტო „ზოვრად" (მსხვერპლშესაწირად, ვ. ა.) წინაშე არმაზ .ღმერთისა მათისა," არამედ ამასთან ერთად „მოვაჭრებად სახმართა რათამე", ე. ი. სახმარად გამოსაყენებელი ნივთების საყიდლად.

არმაზის დღესასწაულზე ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეებში ასპარეზობათა ჩატარების შესახებ რაიმე ხელშესახები ცნობა არ მოგვეპოვება, გარდა ვახტანგ ბატონიშვილის ერთი უმნიშვნელო ცნობისა, იმის შესახებ, რომ ამ დღესასწაულზე „შექმნიან ნადიმი დიდითა განცხრომითა და როკვითა".

ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეებში ასპარეზობანი არმაზის დღესასწაულის პროგრამის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ამას გვავარაუდებინებს ის ფაქტი, რომ საქართველოს მეზობელ ხალხებში, სომხეთსა და ირანში, ასეთსავე ხასიათის დღესასწაულზე ასპარეზობანი იმართებოდა.

სომხეთსა და ირანში ძველთაგანვე დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ ახალი წლის დასაწყისს, რომელიც აგვისტოში იწყებოდა (ამ პერიოდში ასევე იყო საქართველოშიაც). დღე-

სასწაული სომხეთში — ნაკასარდის, ირანში — ნავროზობის, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — არმაზობის სახელითაა ცნობილი და ახალი წლის დღე ყოფილა. იგი 6 აგვისტოს იწყებოდა და 6 დღეს გრძელდებოდა. არმაზობაც, საფიქრებელია, ასევე ექვს დღეს ტარდებოდა. ამიტომაც უნდა მიუთითებდეს ლეონტი მროველი იმის შესახებ, რომ წმინდა ნინომ დაასრულა რა ლოცვა და შემუსრა რა კერპები, არმაზობის დღესასწაულის პირველ დღეს თავი შეაფარა ბარტომ მეფის ბრინჯის ხეს, რომელიც მისი დასასვენებელი ადგილი იყო. იქ წმინდა ნინომ „გამონიშნა ნიში ქრისტეს ჯუარისა და ულოცვიდა მუნ ექუს დღეს", ე. ი. წმინდა ნინო არმაზის კერპების ადგილსამყოფელში დარჩენილა ექვს დღეს.

არმაზობა ლეონტი მროველის მიხედვით შემოღებულია ფარნაოზის მეფობის პერიოდში, ე. ი. ძვ. წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში და არსებობას განაგრძობდა საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებამდე — ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნემდე, ე. ი. გრძელდებოდა 600-700 წლის განმავლობაში.

საფიქრებელია, რომ არმაზობის პროგრამაშიაც უნდა ყოფილიყო თამაშობანი და ფიზიკურ ვარჯიშობათა სხვადასხვა სახეები, რომლის ჩასატარებლად იქვე უნდა არსებულიყო ასპარეზი.

საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში მით უფრო საფიქრებელია ასპარეზის (სტადიონის) და შეიძლება გიმნაზიის არსებობაც. თუ გავიხსენებთ იბერიის სტრაბონისეულ აღწერას, სტრაბონი ამ პერიოდის იბერიელების შესახებ აღნიშნავს, რომ მათ აქვთ მდიდარი ქვეყანა და განსაკუთრებით ვარგისი კარგად დასასახლებლად. იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითა და დაბებით. ასე რომ, იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები, არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებანი*. და მართლაც, მცხეთა-არმაზიის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე იბერიის სატახტო ქალაქი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ქალაქის ქუ-

* თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, თბ. 1957 წ., გვ. 127.

ჩები დამშვენებულია არქიტექტურული წესით ნაგები შენობებით. ამ შენობებს შორის ვხვდებით მეფეთა და წარჩინებულთა სასახლეებს, საზოგადოებრივ შენობებს, თეატრს...

ქალაქს იცავს გრანდიოზული ციხე-კოშკები. ქალაქში არის წყალსადენი, კარგად გამართული თბილი, ცხელი და ცივი წყლით ბანაობისათვის განკუთვნილი აბანო, ბრავალი სახელოსნო, სავაჭრო დუქნები* და შესაძლოა ასპარეზი და გიმნაზიაც. ასპარეზზე და გიმნაზიაზე გაგვამახვილებინებს ყურადღებას გ. ლომთათიძის შემდეგი ცნობა „ბაგინეთ-არმაზ-ციხეში გათხრილი იქნა ერთი ნამდვილად გრანდიოზული და საზეიმო ნაგებობა „სვეტებიანი დარბაზი," დიდრონი, ზუსტად თლილი ბლოკებით ნაგები, რომელიც ძვ. წ. ა. მე-4-2 საუკუნეებით თარიღდება.

ამასთან ერთად უნდა გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ როგორც რომაული, ასევე ქართული პირველწყაროები მიუთითებენ იბერიის მეფის ფარსმანის, მისი შვილის რადამისტის და სხვა ქართველი დიდებულების დახელოვნებას ფიზიკურ ვარჯიშობათა ეროვნულ სახეებში, რომელთაც რომში მარსის ველზე გამართულ ასპარეზობაშიაც კი მიუღიათ მონაწილეობა და თავიანთი დახელოვნებით რომაელთა აზიზი კარის ყურადღება და პატივისცემა დაუმსახურებიათ.

საფიქრებელია, რომ ფარსმანი და როდამისტი ქართველ სხვა დიდებულებთან ერთად სახელდობრ, აქ, მცხეთაში არსებულ ასპარეზზე, არმაზის სახელობის დღესასწაულის დროს გამართულ შეჯიბრებებში სათანადო წვრთნას ღებულობდნენ, ფიზიკურ ვარჯიშობათა სხვადასხვა სახეებში. ამავე პერიოდში არსებულა დასავლეთ საქართველოში აფსარის იპოდრომი**, ხოლო ქუთაისის მიდამოებში — ასპარეზი და გიმნაზიაც კი.

რას წარმოადგენდა ნავროზობა? აკად. კ. კეკელიძის აღიარებით ის ისეთივე ხასიათის დღესასწაული ყოფილა, როგორიც ქართული არმაზობა და სომხური ნავარსარდობა იყო.

---

* პროფ. ივ. სურგულაძე. სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში: თბილისი, 1951 წ. გვ. 45.

** ს. ყაუხჩიშვილი. პროკოფი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ.

ნავროზობის გასაცნობად მეტად საინტერესო ცნობაა დაცული შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

შ. რუსთაველი ქალაქ გულანშაროს და მასში მცხოვრებთა წეს-ჩვეულებების დახასიათებისას წერს:

> ამა ქალაქის წესია, დღესა მას ნავროზობასა,
> არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა,
> ყოველნი სწორად დაეწყებთ კაზმასა, ლამაზობასა,
> დიდსა შეიქმნენ მეფენი ჰურობა-დარბაზობასა.

ქ. გულანშაროს რუსთაველური აღწერა, საქართველოს უძველეს სამეფო ქალაქ მცხეთაზე მიგვაქცევინებს ყურადღებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გულანშარო ზღვის, ხოლო ქალაქი მცხეთა — მდინარე მტკვრის ნაპირას გაშენებული ქალაქია. თუ ქალაქი გულანშარო ცნობილი ყოფილა ბაღებში ზამთარ-ზაფხულ აყვავებული ფერად-ფერადი ყვავილებით, სადაც „მისელითა გაყმდების, კაციმცა იყო ბერები“, რომელიც გამოყენებული ყოფილა დასვენებისა და გართობის აგდილად და სადაც მდგარა „ტურფანი სახლნი, ნატიფად გებულნი, მაღალნი, ყოვლგნით მხედველნი, ზღვას ზედა წაკიდებულნი“. ასეთივე ბაღები ყოფილა ჩვ. წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნეში და უფრო ადრეც საქართველოს სატახტო ქალაქ მცხეთაშიაც.

ქალაქ მცხეთაში საქართველოს მეფეს ბაგრატს კარგად მოწყობილი ბაღი ჰქონია გამართული „საგრილად და განსასვენებლად“. ამ ბაღში მირიან მეფის დროს მარადმწვანე მაღალ ნაძვებთან ერთად გაშენებული ყოფილა შაყვლოვანი, ვაზნარი და სურნელოვანი ყვავილნარი. ბაღს სპეციალური მცველნი იცავდნენ და მებაღენი უვლიდნენ. მირიან მეფეს მიუღია რა ქრისტიანობა, ამ სარწმუნოების სადიდებლად და სალოცავად პირველი სამლოცველო ამ ბაღში აუგია. ბაღში ეკლესიის აგების გადაწყვეტისას მეფეს წმინდა ნინოსთვის განუცხადებია: „მიყვარან მე მაყვალნი ესე შენნი და მუნ ვნებავს გონებითა ჩემითა, გარნა არა ვყო ესრეთ, არამედ არა ვრიდო სამოთხესა მასა სამეუფოსა, და ნაძუთა ამათ სიმაღლესა ბაბილოთა ამათ ნაყოფიერებასა, და ყუავილთა სურნელებასა“*.

---

* ქართლის ცხოვრება, I, 1955 წ., გვ. 3.

როგორც მეფის განცხადებიდან ჩანს, ის არ ერიდება მაყვლოვანს, რომელიც სპეციალურად ჰქონია გაშენებული, მაღალ ნაძვნარს, მსხმოიარე ვაზნარს, და სურნელოვან ყვავილნარს, რათა ამ სამეფო ბაღში ააგოს ქრისტიანული სამლოცველო ეკლესია. აღნიშნულით დასტურდება, რომ ისევე როგორც რუსთაველურ ქ. გულანშაროში, მცხეთაშიაც ძველთაგანვე საუკეთესო სამეფო ბაღი ყოფილა გაშენებული.

იოანე შავთელს საქართველოს მეფის სასახლე და ბაღი ასე აქვს აღწერილი — „თუ უქო სრანი მე მასა, რანი, გალავანსა შემკულობანი, მტილსამოთხენი, თვალთ სამოთხენი, ზედ ავაზათა შექმნულობანი... კართა სტოვანი... იპოდრომისა განხმულობანი“. მოჰყავს რა მეფის სასახლისა და ბაღის ეს შავთელისეული აღნიშნული აღწერილობა, აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში წერს: „სამეფო სასახლეს გარშემო გალავანი ჰქონია შემოვლებული. მარტო თვით სასახლე კი არა, არამედ ეს გალავანიც ხუროთმოძღვრებითი ხელოვნების იმდენად საყურადღებო ძეგლი ყოფილა, რომ მგოსანს საჭიროდ დაუნახავს ამ „გალავნისა შემკულობანი“ საგანგებოდ აღენიშნა. ამ სასახლეს ამას გარდა „მტილ სამოთხენიც“ ეკრა... მაშასადამე ეს ბაღები იმდენად სამეურნეო დანიშნულებით კი არ ყოფილა გაშენებული, რამდენადაც ადამიანის დასასვენებლად და თვალთ-ყნოსვის საამებლად. უეჭველია, დროის სიამოვნებით გასატარებლად ამ მტილ სამოთხეებს დასასრულ აბაზანებიც, ე. ი. წყლის აუზებიც ჰქონდათ.

იოანე შავთელს საგულდაგულოდ აღუნიშნავს სასახლის გალავანთან ერთად კარებღია ფართო იპოდრომი, სადაც მეფე და დიდებულნი სხვადასხვა ხასიათის ვარჯიშ-შეჯიბრებებს ატარებდნენ.

არმაზის სადღესასწაულო ასპარეზობანი საფიქრებელია მცხეთაშივე ან მის მახლობლად მდებარე სპეციალურ საშეჯიბრო ადგილზე ეწყობოდა.

და მართლაც, როგორც ლევან ჭილაშვილი აღნიშნავს, ქალაქ სარკინეში, რომელსაც ადრევე ქალაქ მცხეთის უბნად მიიჩნევდნენ, დადასტურდა, რომ ის „სარკინე ქალაქი დამოუკიდებელი საქალაქო ერთეულია“ და მის ტერიტორიაზე

დადასტურდა ცალკეული უბნების არსებობა. ერთ-ერთი უბნის სახელწოდება ყოფილა ნასპარსევი (ნასპარესევი); ლ. ჭილაშვილი იქვე იძლევა რა სარკინე ძეგლთა განლაგების სქემას, წერს: „ნასპარსევი (ნასპარესევი) საასპარეზო". (ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, 1968 წ. გვ. 46).

საბერძნეთშიაც ოლიმპიური თამაშობები ოლიმპიის მწვერვალზე მყოფი ღვთაებების საპატივცემულოდ იმართებოდა, იქვე, ვაკეზე მოწყობილ სტადიონსა და იპოდრომზე.

ოლიმპიური თამაშობები ხუთ დღეს გრძელდებოდა, რომელთაგან პირველი და მეხუთე დღე ღვთისმსახურებას ეთმობოდა. პირველ დღეს მსხვერპლთშეწირვას ახდენდნენ და ფიცს ღებულობდნენ, ხოლო მეხუთე დღე ნადიმობას ეთმობოდა. ოლიმპიურ თამაშობათა მეორე დღეს, ე. ი. ასპარეზობათა პირველ დღეს, მაუწყებელთა და მესაყვირეთა შეჯიბრება იმართებოდა, რომელზედაც წყდებოდა თუ ვინ უნდა ყოფილიყო დღესასწაულის მიმდინარეობისას მოასპარეზე მონაწილეთა მაუწყებელი.

ასეთსავე მოვლენას ადგილი უნდა ჰქონოდა არმაზის დღესასწაულზეც. რაზედაც ყურადღებას გაგვამახვილებინებს ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ არმაზობის დღესასწაულზე ყოფილა „ხმა ოხრისა და საყვირისა". სხვა სანახაობათა შორის ძველთაგანვე საქართველოში გაზაფხულზე დიდი სახალხო საზეიმო სანახაობა „ყეენობა" იმართებოდა, რომელმაც მე-19 საუკუნის ბოლომდე მოაღწია. მას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. აკად. ი. ვ. ჯავახიშვილის აზრით „ყეენობა," როგორც სვანური „მურყვანობა" და „საქმისაის" ჩვეულება „განაყოფიერების", შვილიერებისა და საერთოდ მოსავლიანობის მფარველი ღვთაების კვირიას თაყვანისცემისა და დღესასწაულის ნაშთია. ამ თამაშის მონაწილეთაგანს ერთს „შაჰს" ან „ყეენს" უწოდებდნენ, მეორე გუნდის მეთაურს კი — „მეფეს" და ბრძოლაშიც ყოველთვის მეფეს უნდა გაემარჯვა. ამნაირად, ამ დღესასწაულის დედააზრი უცხო ხალხის მეთაურის ქართველთა მეთაურთაგან მძლეობის განსახიერება უნდა ყოფილიყო სქესობრივი ძალისა და ნაყოფიერების სფეროში.

ამ სანახაობის შინაარსი შემდეგში შეცელილია და, როგორც დ. ჯანელიძე სამართლიანად შენიშნავს, „საკულტო ცერემონიალებისა და წარმართული მისტერიის წიაღიდან გამოსული ყეენობა სანახაობადაა განვითარებული და ქართველი ხალხის დამპყრობლებთან გმირული ბრძოლის გამომხატველად ქცეული.

ა. ხახანაშვილის აზრით ეს საზეიმო სანახაობა გამოხატულება უნდა ყოფილიყო ძველი წარმართული საგაზაფხულო დღესასწაულისა, რომელშიაც იხატებოდა მზიანი გაზაფხულის გამარჯვება ზამთარზე. გაზეთ „ივერიის“ ცნობის მიხედვით, მოხეური ყეენობა თუ მეტი არა, ოთხ დღეს მაინც გასტანდა, ხოლო ს. მაკალათიას ცნობით, თითქმის ერთი კვირა გრძელდებოდა.

ყეენობის პროგრამაში სხვა სანახაობათა შორის შეტანილი იყო ჭიდაობა, მუშტი-კრივი, ხის ხმლებით ფარიკაობა, შურდულით ქვის ტყორცნა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ლითონის იარაღის ხმარება არ შეიძლებოდა. ამ წესის დარღვევა სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა. ეს წარმართული დღესასწაული ძველისძველი, თითქმის პირველყოფილი კულტურული დონისა და ცხოვრების გამოხატულება უნდა ყოფილიყო თავდაპირველად.

ყეენობის ყველაზე ადრინდელი აღწერილობა მოცემული აქვს ა. თუმანიშვილს, რომელიც 1816 წელს ეკუთვნის და ამ სანახაობას ოლიმპიურ თამაშობებს ადარებს. გორელებსო, წერდა თუმანიშვილი: „დღემდე გააჩნიათ ოლიმპიური თამაშობათა მსგავსი რამ, რომელიც მოიცავს რბენას, ცეკვებში შეჯიბრებას, მუშტებითა და ხის ხმლებით კრივს“.

ყეენობისათვის მზადების პერიოდში თბილისში „სეიდაბადის“ ხელოსნებს, ფეიქრებს, ხუროებს და მჭედლებს ბევრი სამუშაო ჰქონიათ აღებული. ისინი ამზადებდნენ ხის ხმლებს და ხანჯლებს, საცერ რგოლებსა და შურდულებს. ასევე ბ. ჩხეიძის ჩანაწერით, იმერეთში სოფლად ყოველი ოჯახი ყეენობისათვის ადრევე ემზადებოდა. ყოველ ოჯახში თლიდნენ ყავრის ხმლებს.

თბილისში 1846 წელს გამართულ ყეენობის დასასრულს კრივი გამართულა და მასში მრავალ მოკრივეს მიუღია მო-

ნაწილეობა. ქუთაისში 1852 წელს გამართულ ყეენობის დროს ბევრი დაშავებულა კრივში. ყეენობის ერთ-ერთი მოხაწილე წერს: „გაჩნდა კრივი, ჯერ ათი წლის ბიჭებმა დაიწყეს, მერე ჩემოტელა ბიჭები ჩავერივნეთ, და ვისაც გავკარი ჩემი საცერე, სულ პანტასავით დავალაგე".

„კახეთში ყეენი დაეჭიდებოდა მეორეს, რომელიც წააჭცევდა, ის მხარე გამარჯვებული იყო, თუ ვერც ერთი ვერ წააქცევდა, მერმე მეალმენი იქედავებდნენ, რომელი მეალმეც წააქცევდა, წაქცეულის ალამს ის წაიღებდა. მეალმეების შემდეგ ხალხი ჭიდაობდა"**.

კრივი მრავალი მაყურებლის თანდასწრებით მიმდინარეობდა. 1886 წლის გაზეთ „იეერიაში" გამოქვეყნებული კორესპონდენციაში ვკითხულობთ: — „მოკრივე ხალხს გარდა, მაყურებელი დიდი ძალი ხალხი იყო — მთელი ქუჩა თავიდან ბოლომდისინ, ბანები, სახლის ფანჯრები, მოაჯირები, სადაც კი რამ კედელზე ფეხის მოსაკიდი იყო და სხვა, ისე იყო ფერად-ფერადი ხალხით გამსილი, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა"***.

როგორც დ. ჯანელიძე წერს, 1857 წელს მეფის მთავრობამ მოინდომა ამ დიდი ხალხური სანახაობის შეზღუდვა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ დაყენება. ნიკოლოზ პირველმა ბრძანებაც გამოსცა — „კრივის ნება მიეცეს ქალაქგარეთ, მაგრამ ისე კი, რომ მუშტების გარდა სხვა რამ არავინ იხმაროს. კრივს თვალყური უნდა ადევნოს პოლიციამ, რომელსაც ეძლევა ნება შეაჩეროს კრივი იმ დროს, როდესაც მოპირდაპირენი გახურდებიან".

მსგავს სახალხო სანახაობას მართავდნენ სამეგრელოში, რომელსაც მალანურობას თუ ალანურობას უწოდებდნენ. გ. თოგოშვილის აზრით „ოსთა სახელწოდება" ალანი მეგრელებში დარჩა, როგორც „გმირის", „ყაჩაღის" აღმნიშვნელი ტერმინი. მეგრელებში არსებობდა სპორტული შეჯიბრება „ალანურობის" სახელით, როცა ორი ახალგაზრდული ჯგუფი იბრძოდა ორი მოხუცის გარშემო.

---

* ყეენობა. ჟურნალი „კვალი," 1894 წ., № 10.

** დ. ჯანელიძე. ქართული თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 292.

*** დ. გვრიტიშვილი. გორის ისტორია, 1954 წ., გვ. 162.

ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეულ სახეებში ასპარეზობათა ჩატარება ფართოდ ყოფილა გამოყენებული საეღდგომო დღესასწაულების დღეებში. ვახტანგ ბატონიშვილი იძლევა რა აღდგომის დღეებში გამართულ ასპარეზობათა საკმაო დაწვრილებით აღწერილობას, წერს: „შემდგომად წირვისა... გავიდიან ასპარეზსა მეფე და წარჩინებულნი და მრავალნი ერნი, დასვიან ყაბახსა ზედა ოქროსა ანუ ვერცხლისა ჭურჭელი რაიმე და უწყინ ჩინებულთა და უფროს ჭაბუკთა ისართა სროლა... „შემდგომად ამისა იქნების ბურთაობა... შემდგომად ამისა დასვონ ასპარეზსა მცირე საგანი და მსგავსად ყაბახისა მივიად ამაზე...“

ოუ ჩვენ გავითვალისწინებთ ქრისტიანულ საეკლესიო დადგენილებებს, რომლითაც იდევნებოდა ყოველგვარი ფიზიკური ვარჯიშობათა სახეები, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ასპარეზობანი ძველი წარმართული დროიდან უნდა მომდინარეობდეს. როგორც ჩანს, ქრისტიანული რელიგიის მესვეურებმა ხალხის ყოფაში საუკუნეების განმავლობაში მტკიცედ დანერგილი ჩვევის აღმოფხვრა, მიუხედავად საეკლესიო კანონებით აკრძალვისა, ვერ შესძლეს და შემდგომში იძულებული ყოფილან დათმობაზე წასულიყვნენ და ეს ასპარეზობანი საკუთარი ინტერესებისათვის, მრევლის მეტი რაოდენობით მიზიდვისათვის გამოეყენებინათ. ამასთან ერთად ცნობილი ფაქტია ისიც, რომ ქრისტიანული ეკლესიები ჩვეულებრივად განადგურებული წარმართული სალოცავების ადგილზე ეწყობოდა. ვახტანგ ბატონიშვილი წერს, — „გარდა ვინაიდან განათლდა ნათელთა ქრისტიანობისათა, სადაც იყო კერპთა სადღესასწაულონი, აღნიშნავს მუნ და ამისთა შედეგათა მეფეთა ეკლესიონი და დღესასწაულობიდან მუნ ეკლესიათა მათ დღესასწაულთა ქებითა და დიდებითა მღვდლისათა, სიმღერითა და განცხრობითა“. ძველ წარმართულ კერპთაყვანისცემლობის ადგილზე შეიქმნა რა ახალი ქრისტიანული საღვთისმოსამსახურე ნაგებობანი, ისევე როგორც წარმართობის პერიოდში ქრისტიანული სარწმუნოების დანერგვიდან, იქვე იმართებოდა წარმართულ დროს არსებული ასპარეზობანი, ფიზიკურ ვარჯიშობათა

ცალკეულ სახეობებში. ისევე როგორც წარჩინებულნი, ხალხიც აქვე ავლენდა თავიანთ დახელოვნებას ფიზიკურ ვარჯიშობაში. ასეთი სახალხო დღესასწაულები ხელს უწყობდა ხალხის წარმომადგენელთა ფიზიკურ მომზადებას.

სახალხო დღესასწაულებზე გამართულ ასპარეზობებში გამობრძმედილ ქართველებს საერთო წარმატება მოუპოვებიათ ძველთაგანვე საერთაშორისო ასპარეზობებში.

ყველა ისინი სახალხო დღესასწაულებზე გამართულ ასპარეზობებში იყვნენ გამოწრთობილნი.

სახალხო დღესასწაულებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხალხური სპორტის ცალკეული სახეების განვითარებაში. ხალხის წარმომადგენლები იწრთობოდნენ ფიზიკურად, იძენდნენ გამძლეობას, მოქნილობას, სიმამაცეს, სწრაფი მოქმედების ჩვევას სწრაფად ცვალებად პირობებში და ამ შეძენილ ჩვევებს ბრწყინვალედ იყენებდნენ სამშობლოს დაცვის საქმეში.

შუბის ტყორცნა

შუბი, როგორც საბრძოლო იარაღი მე-17 საუკუნის ბოლომდე და რიგ არმიებში მე-18 საუკუნის პირველ ნახევრამდე ერთ-ერთ ძირითად საომარ იარაღს წარმოადგენდა. ენგელსი სტატიაში „ქვეითი ჯარის ტაქტიკა და მისი მატერიალური საფუძვლები“ ეხება რა ცეცხლმსროლელი იარაღის შემოღებით სამხედრო საქმეში მომხდარ რევოლუციას, წერს: მე-16 და მე-17 საუკუნეებში ქვეითი ჯარი შედგებოდა ნაწილობრივ შუბებით შეიარაღებული ქვეითი ჯარისკაცებისაგან, ნაწილობრივ კი — მსროლელებისაგან“... მე-17 საუკუნის დამლევს, ბოლოს გამოჩნდა კაჟიანი თოფი ხიშტით, ეს თოფი მზა ვაზნებით იტენებოდა. ამით შუბი საბოლოოდ გაქრა ქვეითი ჯარის შეიარაღებიდან“.*

შუბის ტყორცნა ადრეულ პერიოდში სამხედრო-გამოყენებითი ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეს წარმოადგენდა და ის მომავალი მეომრის სამხედრო-ფიზიკური მომზადების აუცილებელ შემადგენელ სახედ იყო აღიარებული. როგორც პლუტარქე გადმოგვცემს, სომხეთის მეფე ტიგრანი ლუკულუსის წინააღმდეგ ბრძოლაში „იბერიელ შუბოსნებზე ამყარებდა თავის იმედებს, ვინემ რომელიმე სხვა ხალხების წარმომადგენლებზე, რადგან ისინი გამოირჩეოდნენ თავიანთი გაწვრთნილობით სხვებისაგან.“ ასევე შუბის ტყორცნაში დახელოვნებულნი ყოფილან კადუსონებიც. სვიდა თავის ლექსიკონში აღნიშნავს „ნამდვილი კოლხი ფაზისისა და თერმოდონტის გადაღმა მცხოვრებთაგანის“ მეშუბეთა წინამძღოლის სუბარმახის ფიზიკურ გაწვრთნილობასა და ძლიერებას, რომლისათვისაც „ჭაბუკური ვარჯიშობის წყალობით“ მიუღწევია. სვიდას აღიარებით, კოლხი სუბარმახი, გაწვრთნილია რა შუბის ტყორცნაში, ის მეშუბეთა წინამძღოლია და მაშასადამე მათი გამწვრთნელიც.

შუბის ტყორცნაში სპეციალურ ვარჯიშობათა არსებობაზე მიუთიებს არიანეც. არიანე სებასტოპოლში (ეხლანდელი სოხუმი) თვითონვე დასწრებია შუბის ტყორცნაში ვარჯიშ-

* ფრ. ენგელსი. ანტიდიურინგი, 1952 წ., გვ. 433-434.

წვრთნას. მოგვიანო პერიოდში მოსე ხონელი გვატყობინებს, რომ შუბის ტყორცნაში ბავშვობიდანვე იწყებდნენ სპეციალური მწვრთნელის ხელმძღვანელობით ვარჯიშობას: „ვითა შეიქმნა ამარ წლისა შვიდისა, — წერს მ. ხონელი, — ასწავლიდა აბუტარ ორულითა მღერასა“ (შუბით ტყორცნას, ვარჯიშს). ჭაბუკების ვარჯიშ-წვრთნა ხშირად მაყურებელთა თანდასწრებით მიმდინარეობდა: „ერთსა დღესა იმღერდა ორულითა“ ამბრი არაბი და დიდვიდეს ყოველნივე მისისა სიშუენიერისათვის და მღერასა მისისათუის“. წვრთნისათვის, როგორც ვეგაციუსი გადმოგვცემს, იმ დროისათვის იყენებდნენ ჩვეულებრივზე უფრო მძიმე შუბს, ტყორცნა წარმოდგა ფიტულებზე მიზანში. მასში შეჯიბრებები არა მარტო საბერძნეთში ეწყობოდა, არამედ ბერძნულ ახალშენებშიც და მათ შორის, შავი ზღვისპირეთის ჩრდილოეთ კოლონიებშიც: ოლვიაში, გორგიპიასა და პანტიკაპეაში. საქართველოს წარმომადგენლები მასში ღებულობდნენ თუ არა მონაწილეობას, ჩვენთვის უცნობია.

ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘ „ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲚᲓ-ᲘᲡᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲮᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲜᲐᲜᲐᲓᲘᲠᲔᲕᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲐ — ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲔᲠᲗᲘ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲠᲒᲘ. ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲘ, ᲚᲐᲛᲑᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲐᲠᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲠᲗᲣᲚ ᲘᲐᲠᲐᲦᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲐᲓ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲘᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲮᲕᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ, ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ ᲘᲛᲐᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ“*.

„ᲛᲨᲕᲘᲚᲓ-ᲘᲡᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲜᲐᲓᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲛ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘ ᲓᲐᲐᲣᲤᲜᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲔᲠᲗᲜᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲡᲘᲨᲝᲠᲔᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲝᲫᲠᲐᲕ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲖᲔ ᲢᲧᲝᲠᲪᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲪ. ᲛᲨᲕᲘᲚᲓ-ᲘᲡᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲗᲣ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲐᲓᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲣᲙᲔᲗ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ, ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲢᲝᲛᲔᲑᲨᲘ ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲥᲡᲔᲜᲝᲤᲝᲜᲢᲔ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ „...ᲘᲡᲘᲜᲘ (ᲙᲐᲠᲓᲣᲮᲔᲑᲘ) ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲕᲝ ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲜᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲛᲐᲗᲘ ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲔᲑᲘ ᲡᲘᲒᲠᲫᲘᲗ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲐᲛ ᲐᲠᲨᲘᲜᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲘᲡᲠᲔᲑᲘ ᲝᲠ ᲐᲠᲨᲘᲜᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲢᲧᲝᲠᲪᲜᲘᲓᲔᲜ, ᲡᲐᲑᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲭᲘᲛᲕᲘᲡᲐᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲤᲔᲮᲡ ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲘᲡ ᲥᲕᲔᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲐᲓᲒᲐᲛᲓᲜᲔ. ᲛᲐᲗᲘ ᲘᲡᲠᲔᲑᲘ ᲤᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲕᲨᲐᲜᲡ ᲮᲕᲠᲔᲢᲓᲐ“**, ᲙᲐᲠᲓᲣᲮᲔᲑᲘᲡᲐ�გᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲧᲝᲠᲪᲜᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ ᲰᲥᲝᲜᲘᲐᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔ ᲐᲠᲘᲛᲐᲡᲞᲔᲑᲡ. ᲔᲕᲡᲢᲐᲤᲘᲣᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ... ᲔᲡᲭᲘᲚᲔ ᲛᲐᲗ, „ᲪᲐᲚᲗᲕᲐᲚᲐ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲡ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲓᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲜᲘ. ᲘᲛᲘ-

---

* Კ. ᲛᲐᲠᲥᲡᲘ, ᲤᲠ. ᲔᲜ�გᲔᲚᲡᲘ. ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ, Ტ. 2, 1950 Წ.

** Თ. ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ. ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ, 1946 Წ.

სათვის რომ სწორად დაუმიზნონ, ხუჭავენ ცალ თვალს და შეიძლება ამ საქმეში სისტემატური გულმოდგინე ვარჯიშობით მათ დაუპატარავდათ ცალი თვალი. აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ მშვილდ-ისრის ტყორცნაში სკვითების განსაკუთრებულ დახელოვნებას, რადგან ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობით იბერიისა და კოლხეთის მთიან რაიონებში ისეთივე წესები და ჩვეულებანი ჰქონიათ, როგორც სკვითებს. ამის გამო სტრაბონი აღნიშნავდა: „მთიანი ნაწილი უკავია მეომარ უმრავლესობას, ცხოვრების წესით მსგავსს სკვითებისა და სარმატებისა, რომელთაც ისინი კიდევაც ემეზობლებიან და კიდევაც ენათესავებიან. ამასთან ერთად, როგორც გ. მელიქიშვილი და ა. ბალტუნოვი აღიარებენ, იბერიელთა ფორმირების საქმეში შეჯვარების გზით მე-7-6 საუკუნეებში ჩვ. ერამდე, მონაწილეობა მიუღიათ სკვითებს. ამდენად მათ მშვილდ-ისრიდან სროლაში დახელოვნებას გარკვეული როლი უნდა ეთამაშა კოლხებსა და იბერიელებს შორის იმავე სახეობის განვითარებაში.

სკვითები განსაკუთრებულად დახელოვნებული ყოფილან მშვილდოსნობაში. ამ საქმეში მათ ბადალი არ მოეპოვებოდათ და საყოველთაო აღიარება დაიმსახურეს, რაც უდაოდ სისტემატური ვარჯიშის ნიადაგზე უნდა ყოფილიყო მიღწეული. ამიტომაც წარმოიშვა ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდიდანვე თქმულება იმის შესახებ, რომ სკვითმა ტევტარომმა ჰერაკლეს მშვილდ-ისრიდან სროლა ასწავლა, რის შესახებაც ჰეროდიტე წერდა: „ჰერაკლე ხმარობდა სკვითურ მშვილდს, რომელიც ასწავლა რომელიღაც სკვითმა ტევტორომმა“.

როგორც ცნობილია მიდიელები სკვითებთან ერთად განთქმული მსროლელები იყვნენ, მაგრამ როგორც პირველწყაროებიდან ჩანს, მიდიელებს მაინც სკვითები სჯობდნენ და რიგ შემთხვევებში ისინი მიდიელ ყმაწვილთა მწვრთნელებადაც გვევლინებიან. ჰეროდოტე გადმოგვცემს რა ასირიის განადგურებას, იქვე გვატყობინებს მის მიერ მიდიელი ყმაწვილების სკვითურ ენასა და მშვილდ-ისრიდან სროლის სწავლებაზე სკვითელ მწვრთნელ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით.

მშვილდოსნობაში შეჯიბრებათა ჩატარება უცნობი იყო

ანტიკური საბერძნეთისათვის, მას ვერ ვხვდებით ოლიმპიურ თამაშობათა პროგრამაში. სამაგიეროდ მშვილდოსნობაში შეჯიბრებას ატარებდნენ შავი ზღვის ჩრდილოეთ ბერძნულ კოლონიებში: ოლვიაში, გორგიპიაში, პანტიკაპეიში და ფანაგორიაში. აღნიშნულ ბერძნულ კოლონიებში მშვილდოსნობაში შეჯიბრება შემოღებული უნდა ყოფილიყო სკვითური ტომების პირდაპირი გავლენის მეშვეობით. ოლვიაში მშვილდ-ისრიდან სროლაში შეჯიბრების ჩატარების დამადასტურებელია იქ ნაპოვნი დაფა, რომელიც 1900 წელს ოდესის მუზეუმისათვის ა. ფიგელს გადაუცია. წარწერა მიეკუთვნება მე-4 საუკ. ჩვ. წ. ა., რომელიც გვატყობინებს: „დიდება ანაქსაგორას, დიმაგორას შვილს, ისარი ტყორცნა 282 ორგიაზე.“ (521,7მ.). როგორც პროფ. ს. ზუსერი აღნიშნავს, დაფაზე წარწერის გაკეთება გამოწვეული იყო გამარჯვებულის განსაკუთრებული შედეგით. ეს ერთადერთი ძეგლია, რომლიდანაც ვტყობილობთ, მშვილდ-ისრიდან წარმოებული სროლის შედეგს.

როგორც ამ ბოლო დროს შეიქნა ცნობილი, ყველაზე ადრეული რეკორდი მშვილდ-ისრიდან სროლაში არგიშტის — რუსას შვილს დაუმყარებია ჩვ. ერამდე მე-7 თუ მე-8 საუკუნეში, რის შესახებ რუსულ წარწერებში ნათქვამია: „არგიშტი რუსას ძემ ამ ადგილიდან გილურონის ტყის პირას, ისარი სტყორცნა იშფილინი ბუთუს ძის ბალამდე, 950 წყრთის მანძილზე“*.

ამ იარაღზე ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ ძველად „მაშინდელ იარაღთა შორის მთავარი ადგილი მშვილდ-ისარს უნდა სჭეროდა. ძველი მწერლებიც, როდესაც სურდათ გადმოეცათ გაფთრებული ბრძოლის სურათი, ასე წერდნენ: „დასხეს ისარი, ვითარცა სეტყუა ხშირი“ და სხვა... „და მაშინ შეიქმნა სიმრავლე ისრისა, ვითარცა სეტყუა ხშირი და ფუცავდნენ ღმერთს, რომელ ქვემოთ ნასროლმან ისარმან ფარი და ჯაჭვიანი კაცი გაიაროს და მიწასა ნახევრად დაესვას“. ამ იარაღთანაა დაკავშირებული სიტყვა „სროლა“, ხოლო თუ უნდოდათ გადმოეცათ განადგურებული მტერი,

* გ. მელიქიშვილი. როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები, თბილისი, 1961 წ. გვ. 115.

„მოისრნაო“ იტყოდნენ. ზმნა „მოისრნა“ დაკავშირებულია ისართან, იგი ისრით განადგურებას ნიშნავდა*. სროლა (ისარი) თავდაპირველად ისრის გატყორცნას ნიშნავდა, რადგან მაშინ სხვა ასეთი სასროლი იარაღი არ არსებობდა. შემდეგ ასეთი იარაღები გაჩნდა (თოფი, ზარბაზანი), მაგრამ ენამ „სროლა“-ს ფუნქცია მაინც არ შეუცვალა, მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და ახლაც ვამბობთ: თოფი ესროლა, ზარბაზანი, ქვა ესროლა“. (ა. ღლონტი. ქართული ლექსიკოლოგია, 1964 წ., გვ. 341).

ლეონტი მროველი გვატყობინებს ქართველთა მეფის ამაზასპის დახელოვნებას მოისრობაში: „განვიდა ამაზასპი შვილდითა, და იწყო სროლად გულითა ფიცხელითა და მკლავითა ძლიერითა ეზომ შორით ისროდა, რომელ დამარცხებითა მდგომთა ოვსთაგან არა შეიტყუებოდა და არცა ინახეებოდა სიშორითა, თუ ყოვლად აქუს მშვილდი და მან ჰკრის ისარი, რომელსა ვერ დაუდგის სიმაგრემან საჭურველისამ“**.

მშვილდ-ისრიდან სროლაში ადრეული პერიოდიდანვე დიდ დახელოვნებას იჩენდნენ ქართველი ერის წარმომადგენელნი და ის სამხედრო-ფიზიკური მომზადების ერთ-ერთ ძირითად სახედ იყო მიჩნეული. კარგ მშვილდოსნებს საგანგებოდ იხსენიებენ ქართველი მემატიანენი. აფხაზეთის მეფე გიორგი ბაგრატის ძე ყოფილა „ცხენოსან-მშვილდოსანი რჩეული“. მეფე გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა, ისეთი დახელოვნებული მოისარი ყოფილა, რომ „ვერა რომელი სახელგანთქმული მოისარი, პირველ ანუ მის ჟამისა, ესწრებოდის“. ასეთივე „მხნე და ძლიერი, რაინდობათა და მშვილდისრობათა უსწორო შემმართებული“ ყოფილა დავით სოსლანი. მემატიანე განსაკუთრებულ ქებას უძღვნის მოისრობაში დავით აღმაშენებელსა და სარგის ჯაყელს. ჟამთა აღმწერი ჩამოსთვლის რა მსოფლიოში ცნობილ საუკეთესო მოისრეებს: ებრაელ მოისმახოს, ალექსანდრე მაკედონელს, ბერძენ აქილევსს, სპარს ბარამგურს, იქვე დასძენს: „ვერც ერთი ამათაგანი შეუსწო-

---

* გ. გასიტაშვილი. ხევსურული აბჯარი. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. I წ. 1957 წ. გვ. 86. იხ. აგრეთვე ნ. მარი, ტ. 3, 1934 წ., გვ. 321.

** ქართლის ცხოვრება. 1955 წ., გვ. 55-56.

რებდა ამას, ვითარცა გვიხილავს". ცნობის ავტორი როკორც ჩანს, დავით აღმაშენებლის მოისრობის თვითმხილველია. „ვითარცა გვიხილავსო", დასძენს ისტორიკოსი. რაც შეეხება სარვის ჯაყელის „მხნე მოისრობას", მემატიანეს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი ლაშქრობის დროს მის მიერ შველის, მელიისა და კურდღლის თითო გასროლით მოკვლის შესახებ, რის გამოც მას ულუ ყაენისაგან ქება დაუმსახურებია. ქართველთა დახელოვნება ისრის სროლაში სხვადასხვა ხასიათის შეჯიბრებებში ვლინდებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ისრის მიზანში სროლის სხვადასხვა სახეები, როგორიცაა ყაბახი და აშფაშაგი, რომელთა ჩატარების წესები აღწერილია მე-16-17 საუკუნის მწერლებისა და ისტორიკოსების თხზულებებში.

ძველთაგანვე ისრის მიზანში საუკეთესო მსროლელს სპეციალური სახელწოდება „ჩუბინი" რქმეია. ამ სიტყვის განმარტებისას საბა წერს: „ჩუბინი" ეს არის კაცი ისართა, თოფთა, ქვათა უცდენელად ისროდეს". აღნიშნული სიტყვა დღევანდელ ქართულში დაცული არ არის, ხოლო ამ სიტყვისაგან წარმოებული გვარები ჩუბინიძე და ჩუბინაშვილი დღესაც ცნობილია. მშვილდ-ისრიდან სროლაში სპეციალურ ვარჯიშ-წვრთნას აწარმოებდნენ, რისთვისაც განსაზღვრულ მანძილზე ან სიმაღლეზე რაიმე საგანს ან ნივთს ათავსებდნენ და მასზე სროლით ვარჯიშ-წვრთნას „სასაგნოს" უწოდებდნენ. ივივე საბა „სასაგნოს" განმარტებისას წერს: „სასაგნო ასაბადი, ესე არს მშვილდოსანი, სადა ნიშანსა დასდებენ ისარსა სასროლად, ხელის წაყრის სიმარჯვისათვის". ხოლო „წაყრას" განმარტავს „... ხელის წაყრა საქმის ქმნით გაადვილდება".

მიზანში ისრით სროლა დამოწმებულია ეთნოგრაფიული მასალებითაც. ნ. ხიზანიშვილის მიერ ჩაწერილ მიცვალებულთა სულების საპატივცემულოდ გამართულ წეს-ჩვეულებების შესრულებისას ხევსურეთში თითოეული ოჯახი აცხობს სხვადასხვა სახის პურებს „ჯვარედინას, ნალევი მთვარესავით მოკალულს, რქიანს, ვისაც როგორ ჰსურს. პურებს წაიღებენ და ერთ ადგილას ნიშნებად დასდებენ. თითო სანიშნო პურს გვერდით დაუწყობენ წყვილ წინდას და ჩარექ

მარილს, თამბაქოს, ფართალს (ფარჩის ნაჭერს). ბავშვებისათვის სანიშნო პური უფრო ჯვარედინი იციან და გვერდზე საფეხურებს მიაწყობენ ხოლმე. მერე ნიშანში სროლა დაიწყება ხოლმე, დიდები თოფს ესვრიან, ბალღები ისარს. ისრის სროლა ბავშვებმა მარჯვედ იციან, რადგან მათი სავარჯიშო იარაღი მშვილდ-ისარია"*. ს. მაკალათია თუშეთში სხვა თამაშობათა შორის მიუთითებს „მგელ-ჯიხვობას" თამაშზე, რომელიც შემდეგნაირად ტარდებოდა: „სდგამენ მგლის, ჯიხვისა და სხვა ნადირთა პურის ქანდაკებას, მიზანში იღებენ და ისრით თოფავენ, ვინც მოახვედრებს, ნამცხვარიც მისია".

სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია ეკლესიის კედლის მორთვა ფარებით, რომლებიც დღესასწაულებზე გარეთ გაჰქონდათ და ისარს ესროდნენ, ხოლო ხევსურეთში — ვაცის გამოსახულებიან პურებზე ბავშვთა მიერ ისრის მიზანში ტყორცნები და სხვ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქრისტიანული რელიგია სდეევნიდა ყოველგვარ საერთო ხასიათის გართობა-სანახაობას, რომლის წინააღმდეგ მიმართულია მთელი რიგი საეკლესიო მსოფლიო კრებების დადგენილებანი, ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცული მიცვალებულთა სულების საპატივცემულოდ გამართული მიზანში სროლა წარმართული პერიოდის ყოფის გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს, რაც ადასტურებს ადრეულ პერიოდიდანვე საქართველოში მშვილდოსნობაში ვარჯიშ-წვრთნის არსებობას და მასში სათანადო დახელოვნებას.

---

* ნ. ხიზანიშვილი. ეთნოგრაფიული წერილები, „იევერია" 1887 წ., გვ. 209.

შურდულით ტყორცნა

შურდული შეიარაღების კომპლექსში სატყორცნ იარაღად გვევლინება („შურდულნი ტყორცნად ქვისა“),* და წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს იარაღს. ჯერ კიდევ ჩვ. წ. ა. მე-6-5 საუკუნეებში იგი საშიშ და სერიოზულ იარაღად ჩანს. „...სხვა უფრო მცირე ქვებიც, შურდულით გასროლილი მიდიელთა მუზარადებსა და ფარებს სტეხდნენ“**. ასევე მომდევნო ხანშიც შურდული მშვილდ-ისართან ერთად იხმარება სატყორცნ-სასროლ იარაღად. ლაშქრობაში იყო სპეციალური ჯგუფი მეშურდულეთა, რომლებიც ბრძოლის დაწყებისას მოწინააღმდეგეს შორ მანძილზე (დაახლოებით 500 ნაბიჯზე) უშენდნენ ქვებს, ტყვიისა და რკინის ნაჭრებს. მეშურდულეთა რაზმში საზოგადოების დაბალი ფენების წარმომადგენელნი შედიოდნენ, რომელთაც რკინის იარაღის შემოღებასთან დაკავშირებით მისი სიძვირის გამო შეძენა არ შეეძლოთ.

შურდული უძველესი სასროლი იარაღია, მისი არსებობა დამოწმებულია ქვის ხანის პერიოდში და წინ უსწრებდა ისრის გაჩენას. საქართველოს სინამდვილეში შურდულით სასროლი ქვა ნაპოვნია ლაგოდეხის რაიონში 1958-1959 წლებში შემთხვევით აღმოჩენილ კოლექციაში. ა. კორმოზოვი და ა. სტოლიარი იზიარებენ გ. ჩულდის მოსაზრებას, რომ ქვის ხანაში ისრის პირების ადგილი უნდა დაეკავებინა შურდულს, რომელიც სასროლი იარაღის ფუნქციას ასრულებდა. იქვე გ. ჯავახიშვილი შენიშნავს: „შეიძლება შურდული წინ უსწრებდა ისრის პირს მის გაჩენამდე, მაგრამ მას მთლიანად ისრის პირის ფუნქციის შესრულება არ შეეძლო“.

შურდულს საბა ქვის გასატყორცნს უწოდებს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს სიტყვა ასეა ახსნილი: შურდული — ქვის სასროლი იარაღი, ორად მოკეცილი ბაწარი, რომელსაც შუაში ბრტყელი ნაწილი აქვს ქვის ჩასადებად და სასროლად.

შურდულის ტყორცნაში ქვისათვის დანიშნული მიმართულების მიცემისას და მოხვედრების ძალის უზრუნველსა-

---

* „დაბადება,“ წიგნი I, გვ. 934.

** გეორგიკა, ტ. 3, 1936 წ., გვ. 148.

ყოფად ადრეულ პერიოდიდანვე დაბალი ფენის წარმომადგენლები საკუთარ შვილებს ავარჯიშებდნენ. ვეგაციუს რენატი (მე-4 საუკ. ჩვ. წ. ა.) შურდულის გამოგონებას კუნძულ ბალიარიის მცხოვრებლებს მიაწერს და იქვე დასძენს: „დედები თავიანთ პატარებს ნებას არ აძლევდნენ შეხებოდნენ საკვებს მანამ, სანამ მას არ მოახვედრებდნენ მისთვის სპეციალურად დამზადებულ ქვას შურდულის გამოყენებით. იგი დაწვრილებით იძლევა რა სამხედრო-ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეული სახეების აღწერილობას, შურდულიდან ქვის ტყორცნაში მეომართა დახელოვნებისათვის მიზანშეწონილად მიაჩნია, შუბის ტყორცნასთან ერთად, ამოსამიზნის გამოყენება. ამოსამიზნს წარმოადგენდა ხის ტოტებისაგან შეკრული დასობილი ცოცხი 600 ნაბიჯის მანძილზე და მას მიზანში ახვედრებდნენ როგორც შუბს, ასევე ქვებს შურდულით. ამასთან ერთად მიუთითებს იმის შესახებაც, რომ შურდულიდან ქვის ტყორცნა უნდა ხდებოდეს ერთი გაქნევით. შურდულიდან ქვის ტყორცნის არსებობას საქართველოში ძველთაგანვე ადასტურებს არქეოლოგიური გათხრები. აღმოჩენილი იქნა შურდულით ტყორცნისათვის სპეციალურად დამზადებული სატყორცნი ქვები. ტყორცნებისა და, კერძოდ, შურდულით ქვის ტყორცნებში დახელოვნებისათვის საქართველოში უნდა არსებულიყო მეშურდულეთა სპეციალური სავარჯიშო ადგილი-მოედანი: „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერ აღაპებში მოხსენებულია ადგილმდებარეობის სახელწოდებად „ქვის სატყორც“.

შურდულის შესახებ აკაკი წერეთელს მოჰყავს ანაბაზისიდან შემდეგი ამონაწერი: „პონტის პირად, მოვაკონების ზემოთ, მაღლა ცხოვრობენ თობერენი“, ქვის სროლია ხალხი: „ქუდებით გასტყორცნიან ხოლმე ქვა-კაცებს და გზაში რომ დაგვიხვდნენ, ჩვენც მეტად შეგვაწუხესო“ იქვე კითხულობს: „ნეტავ რა უნდა ყოფილიყო ეს ქვის სასროლი ქუდი?“ და პასუხობს — „რა და იმერული ფაფანაკი...“. „წარსული საუკუნის შუამდინ, მე თვით მომსწრე ვარ, იმერეთში დიდსა და პატარას, ყველას ფაფანაკი ედვა თავზე. ის იყო ტყლაპივით რბილი, აბრეშუმის ან შალის ერთი ხელის დადება რაღაც ნაფლეთი, რომელიც თავსა ჰფარავდა, მხო-

ლოდ კეფას და გაჩეჩილ თმასაც უჭერდა, რომ არ გაბურ-დულიყო, მაგარის საყბაურით, და საყბაურიც ყბას ქვემოთ იყო ამოდებული და ყურებზედაც გადაგდებული“.

შურდული ერთ-ერთი უძველესი სანადირო და საბრძ-ოლო იარაღია, ის ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოება-ში ფართოდ იყო გავრცელებული. „ამ იარაღის ძირითადი ელემენტია უბრალო, ზოგჯერ პირდაპირ მიწიდან აღებული მრგვალი ქვა. ცნობილია შურდულის ორი ტიპი. ერთი, ალ-ბათ, უფრო არქაული, წარმოადგენს შუაზე გახლეჩილ ჯოხს, რომელშიც ქვა იყო მოთავსებული. მეორე შედგება თასმის თოკისაგან, რომელსაც სპეციალური ადგილი აქვს ქვის ძო-სათავსებლად. ბოლო ანუ სატყორცნი ბურთულები შედგე-ბა თასმისა ან თოკისაგან, რომლის ბოლოებზე ტყავში გა-მოკერილი მრგვალი ქვებია დამაგრებული. ეს იარაღი გვხვდე-ბა სამხრეთ ამერიკაში, პოლინეზიაში, ესკიმოსებთან“*.

შურდულს ვეგაციუს რენატის მიხედვით ამზადებდნენ სელისა და ცხენის ძუისაგან. უკანასკნელი ყველაზე საუკე-თესოდ ითვლებოდა და მისით ტყორცნა მარჯვენა ხელით თავს ზემოთ ბრუნვით სწარმოებდა.

ზ. გულისოვის აღიარებით საქართველოში შურდულს აბ-რეშუმის ან მატყლის ფერადი ძაფებისაგან ამზადებდნენ და ქვის ტყორცნაში ქართველი ყმაწვილები ისეთი დახელოვნე-ბულნი ყოფილან, რომ დიდი კაკლის ხის წვერზე დარჩენილ ერთადერთ კაკალს ახვედრებდნენ და ძირს აგდებდნენ. ტყორცნა სწარმოებდა ხელის მტევნის ბრუნებით.

შურდული ხევსურეთში მზადდებოდა ხის ქერქისა (ცაცხ-ვის) და ტყავისაგანაც. ცაცხვის ქერქისაგან დაწნავდნენ შურდულის ორ წვერს: „გამშვებს“ და „დამკავებელს“, წვე-რებს შუა ტყავის ანდა ნაქსოვი „საქვე“ იყო, სადაც „შურ-დულის ქვა“ თავსდებოდა. შურდული მარჯვენა ხელში ეკა-ვათ: „დამკავებელი“ წვერი სალოკ და ბერა თითებშუა იყო მოთავსებული. მარცხენა ხელით „შურდულის“ ქვას ჩასდებ-დნენ „საქვეში“, შემდეგ სამჯერ ოთხჯერ დაატრიალებდნენ

---

* მ. კოსვენი. პირველყოფილი კულტურის ისტორიის ნარკვევები, 1971 წ., გვ. 63.

შურდულს და „როს მოემარჯვება, მაშინ უნდა გასროლა“*.

ქართლის ცხოვრების ცნობით თარგამისიანთა და ნებროთიანთა ბრძოლის დროს გამოყენებული ყოფილა არა მარტო ისარი, არამედ ქვის ტყორცნაც, „ტყორცნა ქვისა მათისა ვითარცა სეტყუა ხშირი“. („ქართლის ცხოვრება.“ 1955 წ., გვ. 7).

„იყენეს შავდას კაცნი რჩეულნი ყისაგან ერისა ორითავე ხელითა მარჯუენი, ყოველ ესე მეშურდულენი, რომელნი ესროდეს ქვითა თმასა და არა შესცდებოდეს“**. ე. ი. ყოფილან ორივე ხელით (მარჯვენითა და მარცხენით) ისე ზუსტი მსროლელნი, რომ თმის ღერსაც კი არ ააცდენდნენ ქვას. ბუნებრივია მიზანში ასეთი ზუსტი სროლისათვის მათ თანმიმდევრული და სისტემატური ვარჯიში დასჭირდებოდათ.

---

* მ. გასიტაშვილი. ხევსურული აბჯარი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 9, 1957 წ., გვ. 82-83.

** ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართული ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. III-IV, 1962 წ. გვ. 243.

მძლეოსნობის ისტორიის საკითხისათვის საქართველოში

რბენა

მძლეოსნობა შეიცავს ვარჯიშთა ისეთ ბუნებრივ გამომოყენებითს სახეებს, როგორიცაა: სიარული, რბენა, ხტომა, ტყორცნა. მძლეოსნობა ფიზიკური აღზრდისა და მომზადების განსაკუთრებულ ეფექტიან საშუალებადაა აღიარებული. მის ფართო გავრცელებას ხელს უწყობდა და უწყობს ვარჯიშთა ბუნებრიობა. იგი არ საჭიროებს რთულ სპორტულ მოწყობილობასა და ინვენტარს.

ფიზიკურ ვარჯიშებსა და, მათ შორის რბენას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა პირველყოფილ საზოგადოებაში. განვითარების დაბალ საფეხურზე სამეურნეო საქმიანობის წარმატება დიდად იყო დამოკიდებული ადამიანის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა ძალა, სისწრაფე და გამძლეობა. მაგრამ განვითარების ამ საფეხურზე რბენა არ წარმოადგენდა ფიზიკური ვარჯიშისა და სპორტის სახეს. ფიზიკური ვარჯიში წარმოადგენს მიზანდასახულ, თანმიმდევრულ, სისტემატურ და სპეციალურად ორგანიზებულ მოქმედებას ფიზიკური აღზრდისა და მომზადების უზრუნველსაყოფად.

პირველყოფილ ადამიანს არ შეეძლო თანმიმდევრული, სისტემატური და მიზანდასახული, სპეციალური ორგანიზებული შრომა და ასეთივე მოქმედების განხორციელება. ამდენად, არც ფიზიკური ვარჯიშობა და სპორტი არსებობდა, მაგრამ ერთი უდავოა, რომ ეთნოგრაფიამ არ იცის არც ერთი ხალხი, განვითარების რაგინდ დაბალ საფეხურზე იდგეს იგი, რომლის ყოფაში დამოწმებული არ იყოს ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეული სახეები და, მათ შორის, რბენა. მაგალითად, ნორვეგიელი მკვლევარი კარლ ლუმგოლცი, რომელმაც შეისწავლა ტრაგუმორას ინდიელთა ტომის (ჩრდ. ამერიკა) წარმომადგენლები, მათ საუკეთესო მორბენალებს უწოდებს. მისი სიტყვით ინდიელ ტრაგუმორას შეუძლია შეუსვენებლივ 170 ინგლისური მილი, ე. ი. 273 კილომეტრი გაირბინოს. მას მოჰყავს შემთხვევა, როდესაც ამ გვარის

წარმომადგენელმა 5 დღეში 1920 კილომეტრი გაირბინა. მაკ-გრი მოგვითხრობს ერთ-ერთი ინდიელი ქალის შესახებ, რომელსაც ერთი ღამის განმავლობაში ავადმყოფი ბავშვით ხელში 45 ინგლისური მილი (72 კილომეტრი) გაურბენია, ამასთან ერთად „გზაზე" კურდღელიც დაუჭერია და მკურნალისათვის საჩუქრად მიურთმევია.

ფრ. ენგელსი ახასიათებს რა პირველყოფილ გვაროვნულ საზოგადოებას, წერს: „... თუ რის ატანა და შესრულება შეუძლია მათ, ამას მოწმობს ინგლისელების ჩივილი, კაცრი დღე-ღამეში მეტ მანძილს და უფრო ჩქარა გაირბენს, ვიდრე ცხენიო"*. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ რბენაში დახელოვნება, მასში წერთნა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ადრეული პერიოდიდანვე უნდა არსებულიყო.

რბენის შესახებ უძველეს ცნობას ჰომეროსის „ილიადა"-სა და „ოდისეა"-შიც ვხვდებით. აქ აქილევსი დახასიათებულია როგორც „ფეხმარდი" და რბენაში შეჯიბრების ჩატარებაც კი არის აღწერილი. მოგვიანო პერიოდის საბერძნეთში, ოლიმპიურ თამაშობათა პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რბენების სხვადასხვა სახეს.

რბენა ადრეულ პერიოდში ცნობილი ყოფილა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე არსებულ ბერძნულ კოლონიებში: ოლვიაში, პანტიკაპეაში, ხერსონესში, გორგიპიაში. რბენის არსებობის დამადასტურებელია ქ. ხერსონესში ნაპოვნი ეპიგრაფიული წარწერა, რომელშიც შეჯიბრების სახეებიდან მოხსენებულია რბენა, ორმაგი და გრძელ** მანძილებზე რბენა. წარწერა მიეკუთვნება ჩვ. ერამდე მე-2 საუკუნეს.

ასევე ოლვიაში ნაპოვნ მარმარილოს ფუძეზე, რომელიც ჩვ. ერამდე მე-3 საუკუნეს მიეკუთვნება და ოდესის მუზეუმში ინახება, ამოკვეთილია წარწერა, რომ ნიკოლრომმა, დიონისეს შვილმა, რომელიც გიმნაზიარხის თანამდებობას ასრულებდა, დადგა ეს წარწერა რბენაში შვილის გამარჯვების აღსანიშნავად.

---

* კ. მარქსი, ფრ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტომი II, 1950 წ., 298-299.

** მანძილი, რომელსაც ძველი ბერძნები „გრძლად" ნათლავენ, ახლა საშუალო მანძილზე რბენას განეკუთვნება.

გრძელ მანძილზე რბენაში შეჯიბრების არსებობის უტყუარ ცნობას გვაწვდის ე. წ. გორგიპიის აგონისტიკური კატალოგი.

1894 წლის ზაფხულში ძველი გორგიპიის (ახლანდელი ანაპის) ტერიტორიაზე იპოვეს თეთრი მარმარილოს ოთხკუთხა დიდი დაფა. მის ორივე გვერდზე ორ სვეტად მოთავსებულია სიები სახელისა და მამის სახელის აღნიშვნით ბერძნული დაწერილობით. კატალოგი სათანადო გამოკვლევით გამოქვეყნებულია ვ. ლატიშევის მიერ სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალის 1895 წლის მარტის ნომერში. ძეგლს ლატიშევი ათარიღებს ჩვ. ერამდე მესამე საუკუნის პირველი ნახევრით. დაფის პირველ გვერდზე მოთავსებულია გამარჯვებულთა სია: „ქვემოთ ჩამოთვლილმა პირებმა გამარჯვება მოიპოვეს ჰერმესის დღესასწაულზე გრძელ მანძილზე რბენაში". სია შეიცავს 51 სახელსა და მამის სახელს.

დაფის მეორე გვერდზე მოთავსებულია სახელობითი სიები. არც ერთი მათვანის დასაწყისი დაზიანების გამო არ იკითხება.

ვ. ლატიშევი აღნიშნავს, რომ სიებში დასახელებულთა დიდი უმრავლესობა ბერძნებია, მაგრამ კატალოგში ვხვდებით არაბერძნული წარმოშობის სახელებსაც. ასე მაგალითად, ექვსი გამარჯვებულის სახელი სკვითური და სინდური სახელებია, სხვა თოთხმეტს ეს სახელები მამის სახელებად აქვს. ამის გარდა, 4 შემთხვევაში ვხვდებით ისეთ პირებს, რომელთა მამის სახელები მეზობელი ტომებიდან გამოსულ სკვითებსა და სინდებს ეკუთვნით.

იმავე გორგიპიის აგონისტიკური კატალოგიდან ჩანს, რომ ჰერმესის დღესასწაულზე გამართულ აგონისტიკურ შეჯიბრებაში გრძელ მანძილზე რბენებში სკვითებისა და სინდების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ საქართველოს წარმომადგენლებსაც.

კატალოგის გრძელ მანძილზე რბენაში გამარჯვებულთა სიაში შეტანილია კრატინოს კუტატიონოსი და ზოსიმ მოსხიონოს.

ვ. ლატიშევს შეუდარებია რა კატალოგში შეტანილი სახელები ბერძნული სახელებისათვის, მიუთითებს რამდენიმე

არაბერძნული წარმოშობის სახელზე. მათ შორის „კუტატიონოსზე". ამ შემთხვევაში კუტატისი იგივე ქუთაისი უნდა იყოს. ამ სახელწოდებით იხსენებს აპოლონიოს როდოსელი „არგონავტებში" მას. ასევე ზოსიმ მოსხიონოს წარმოებული უნდა იყოს შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებთა ეთნიკური სახელწოდებისაგან „მოსხი". მოსხი აფხაზეთში მცხოვრებთა ძველი ქართული ტოშების საერთო ეთნიკური სახელწოდება ყოფილა.

საქართველოს წარმომადგენლების მიერ პირველობის რამდენჯერმე მოპოვება, რასაც ადასტურებს გორგიპიის აგონისტიკურ კატალოგში მათი რამდენჯერმე მოხსენიება, მითუმეტეს საქართველოში ამ პერიოდისათვის მაღალ სპორტულ კულტურაზე და კერძოდ, გრძელ მანძილზე რბენაში ქართველების განსაკუთრებულ დახელოვნებაზე მეტყველებს. ეს გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში ძველთაგანვე უნდა არსებულიყო ფიზიკურ ვარჯიშთა ცალკეულ სახეებში (კერძოდ რბენებში) სისტემატური, მიზანდასახული და თანმიმდევრული წვრთნა. ამ მხრივ მეტად ძვირფას მასალას გვაწვდის აპოლონიოს როდოსელი: „არესის ველზე ვრცელი ასპარეზი იყო გაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა. კოლხები აქ ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად რბენას და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ ხოლმე".

ირკვევა, რომ შეჯიბრება ტარდებოდა სპეციალურ საშეჯიბრო ასპარეზზე, რომ მას „გარს მოაჯირი ერტყა". შეჯიბრების სახეს წარმოადგენს რბენა და მხედრული ვარჯიშობანი. მხედრული შეჯიბრების პროგრამაში ცხენოსნობასთან ერთად უნდა ყოფილიყო შუბისა და მშვილდ-ისრის ტყორცნა. ასევე, საფიქრებელია, საბრძოლო საჭურველით რბენა, როგორც ეს საბერძნეთში არსებობდა. რბენებში შეჯიბრების ჩატარება გულისხმობს, რომ მის მონაწილეებს სათანადო საწვრთნელი მომზადება უნდა გაეკეთებინათ, რათა სათანადო წარმატება მოეპოვებინათ.

აპ. როდოსელის მიერ მოხსენებული კოლხების ჩვეულება ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად რბენისა და მხედრული შეჯიბრებათა მოწყობა დაცული უნდა იყოს გურულ

და შეგრულ დღემდე შემორჩენილ „თედორობასა“ და „თერ-
დობაში“.

ეთნოგრაფიულ მასალებში საკმაო რაოდენობითაა დამოწ-
მებული გარდაცვალებულის საპატივცემულოდ სხვადასხვა
ხასიათის შეჯიბრებათა ჩატარება საქართველოში. სამეგრე-
ლოში მამაკაცის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად
მხედრულ შეჯიბრებებს ატარებდნენ, რომლის პროგრამაში
შეტანილი იყო: დოღი 10-15 კილომეტრზე, ყაბახი, თარჩია
და ბიზანში სროლა.

ს. მაკალათიას დამოწმებით, თუშეთში გარდაცვალებუ-
ლის საპატივცემულოდ ტარდებოდა ე. წ. ღაბახობა“. იგი
წერს: „ღაბახობას პირიქითა ხეობის ზოგიერთ სოფელში
მშვილდ-ისრის ნაცვლად ფეხით გაჭენება სცოდნიათ და ვინც
ნიშანში ჩადგმულ ნივთს პირველად ხელს დაავლებდა, ის მას
რჩებოდა“. ცხენოსნობა, მშვილდოსნობა, რბენა ფეხით, გა-
ჭენება, — ყველა ეს მოგვაგონებს აპ. როდოსელის მიერ
კოლხების ასპარეზობის აღწერას, რომელსაც არესის ველზე
მართავდნენ კოლხები გარდაცვალებულ გმირთა მოსახსენებ-
ლად.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარდაცვალებულის წლისთავზე
ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეულ სახეებში შეჯიბრებათა
ჩატარება წარმართობის გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს,
რადგან ქრისტიანული ეკლესიის მიერ იდევნებოდა ფიზი-
კურ ვარჯიშობათა ცალკეული სახეები და მათ შესრულებას
გარდაცვალებულის წლისთავზე ეკლესია არ დაუშვებდა. თუ
მხედველობაში მივიღებთ, რომ აპ. როდოსელი არგონავტე-
ბის ლიტერატურული დამუშავებისას ეყრდნობოდა მასზე
ბევრად უფრო ადრინდელ თქმულებას არგონავტების კოლ-
ხეთში მოგზაურობაზე, რომლის შექმნას „პირველი ათას-
წლეულის მე-8 საუკუნის აქეთ ვერ ვიგულისხმებთ“, მაშინ
რბენა და მხედრული შეჯიბრებანი ჩვ. ერამდე მე-3 საუკუ-
ნეზე უფრო წინაც უნდა არსებულიყო.

საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცე-
ბის შემდეგ ძნელი ხდება ფიზიკურ ვარჯიშობათა ცალკეული
სახეების არსებობის დამადასტურებელი ცნობების მოპოვე-
ბა, არა იმიტომ, რომ ასეთს ადგილი არ ჰქონია, არამედ იმის

გამო, რომ ქრისტიანული სარწმუნოება ილაშქრებდა და სდევნიდა საერო ხასიათის ყოველდღიურ გართობა-სანახაობას და მით უფრო ფიზიკურ ვარჯიშობას. ამიტომაც სასულიერო მწერლობა, რომელიც ქრისტიან მორწმუნეთა მორალურ-აღმზრდელობით მიზნებს ემსახურება, ვერ მოიხსენიებდა ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეებს. მიუხედავად ამისა, შეგვიძლია თითო-ოროლა, ძუნწი ცნობით ნაწილობრივ მაინც შევავსოთ აღნიშნული ხარვეზი.

ძველი ქართული ენის ძეგლებში „რბენა“ სხვადასხვა სიტყვითაა აღნიშნული. ბასილ ზარზმელი მას „სრბას“ უწოდებს, თამარ მეფის ისტორიკოსი — „მკვირცხლსა“ და „ფეხით მალობას,“ არჩილი — „ფეხთმსუბუქობას“ და სხვ.

როგორც საისტორიო პირველწყაროები ადასტურებენ, რბენები არა მარტო მდაბიოთა სამხედრო ფიზიკური მომზადების საშუალებას წარმოადგენდა, არამედ მომავალ მეფეთა და წარჩინებულთა სამხედრო-ფიზიკური აღზრდის სისტემაშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

ჯუანშერის ცნობით ფახტანგ გორგასალი დახელოვნებული მორბენალიც ყოფილა, რომელსაც, მისი გადმოცემით, შეეურვილს ქვეითად ირმის დაწევა შეეძლო, „რომელ ეურვილი ქვეითი ირემს მიეწიის“.

თამარ მეფის ისტორიკოსი, რომლის ცნობები ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით მეტად სანდო წყაროს წარმოადგენს, საგანგებოდ ეხება დავით სოსლანის „მკვირცხლობას“. „მკვირცხლი“ ს. ს. ორბელიანის განმარტებით, „ეს არის ქუცთ, ფრკივ მავალი“. „მკვირცხლობით“ დავით სოსლანი, იმავე ისტორიკოსის ცნობით, ისევე როგორც მშვილდოსნობით, ცხენოსნობითა და ასპარეზობით სჯობნიდა არა მარტო მასთან ერთად მომეცადინე მოვარჯიშეებსა და მასწავლებელს, არამედ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულთაც. მოგვყავს მთლიანად ჩვენთვის ეს მეტად საინტერესო ცნობა ისტორიკოსისა დავითის შესახებ: „ესე დავით წელიწადისა მოქცევამდის ესრეთ წაემჯობინა ყველასა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა და მკვირცხლსა და მოასპარეზესა, მწიგნობარსა ყოველთა ნასწავლთა ხელთა სიკეთითა, ვითა დღეს ჩანს, რომელ შინათ ვინ ყოფილა ამისი მასწავლებელი და მოსწავლე და თე გა-

რეთა ქვეყანათა მოსრულა, ვერავინ გამოჩენილა მისებრი".

ცნობა საყურადღებოა იმითაც, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეებში და, მათ შორის „მკვირცხლობაში" არსებულა სპეციალური წვრთნა-სწავლება, რისთვისაც ჰყავთ სპეციალური მასწავლებელი.

ნათელი ხდება, რომ რბენა ადრეული პერიოდიდანვე მეფეთა და წარჩინებულთა ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა საქართველოში. რბენა უფრო ფართოდ გამოყენებული უნდა ყოფილიყო დაბალი წოდების წარმომადგენელთა ფიზიკური აღზრდის საქმეშიც.

მდაბიოთათვის, როგორც წყაროებიდან ჩანს, რბენებში დაპელოვნება დაკავშირებული ყოფილა მათს შრომითს საქმიანობასთან. დახელოვნებულ და გაწვრთნილ მორბენლებს გაბატონებული კლასის წარმომადგენლები სხვადასხვა საქმისათვის იყენებდნენ. ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის ბასილ ზარზმელი. აღწერს რა სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობას, მოჰყავს ცნობა სოფელ ძარღუას ერთი მცხოვრების შესახებ, რომელიც „დაეწაფა წმიდასა" სერაპიონ ზარზმელს. აღნიშნულ პირს ძლიერი სურვილი ჰქონია, რათა შეერთებოდა სერაპიონის „წმიდასა კრებულსა", მაგრამ სერაპიონი თავს იკავებს. სერაპიონ ზარზმელის გარდაცვალების შემდეგ სოფელ ძარღუას ზემოთ აღნიშნული მცხოვრები მივიდა გარდაცვლილის საფლავზე და მისგან ვერ მოაშორეს მანამ, სანამ მისი სურვილი არ დააკმაყოფილეს: შემოსეს სათანადო სამოსით და მონაზვნად აკურთხეს. ამის შემდეგ იგი ბრუნდება სოფელში რათა დაეთხოვოს ბატონს, თანასოფლელებს და შეუდგეს ზარზმაში მონაზნურ ცხოვრებას. მაგრამ „ვითარცა ვერ შეუძლეს მორჩილებაი მისი, უთხრეს ესე უფალსა მისსა, რამეთუ იყო კაცი იგი საკმარ და მსრბოლ გზათა შორთა ხოლო კაცმან მან ვითარცა იგრძნა, ვითარმედ არა უტევებენ ნებისაებრ მისისა მაგინ აღიღო ევლოგიაი იგი და, რაოდენი რაი ეძლო, სახლით თვისით სივლტოლაი იკუმია, ვინაიცა დევნა უყვეს უკუანა მისსა და შეწევნითა მის წმიდისაითა ვერ ეწინეს"*.

---

* ქართული ენის ისტორიის ქრესტომათია, მე-5-10 ს. ძეგლები, შედგენილი იმნაიშვილის მიერ. აკ. შანიძის რედ. 1953 წ., გვ. 235.

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, სამონაზვნო სამსახურისათვის გამზადებული პირი მდაბიოთაგანია, რომ მას ჰყავს „უფალი“ — ბატონი, ამასთან ერთად ის „უფლის“ უშუალო განმგებლობაშია, რადგან იგი ყოფილა „საკმარ და მსრბოლ გზათა შორითა“.

„სრბოლა რბენაა“ — განმარტავს ს. ს. ორბელიანი. ი. ქმნაიშვილის განმარტებითაც, მსრბოლი ესაა შიკრიკი, საკუთრივ, მორბენალი. თანასოფლელები და ბატონი განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევენ მის მონაზვნად წასვლას, რადგან „კაცი იგი საკმარ იყო“, საჭირო იყო იმის გამო, რომ ის დახელოვნებული მორბენალი ყოფილა, ამიტომ ბუნებრივი ჩანს ბატონისა და თანასოფლელების პროტესტი, მისი მონაზვნად წასვლის გამო. რბენაში მის დახელოვნებასა და გამძლეობაზე ისიც მეტყველებს, რომ მას თანასოფლელები დაედევნენ, მაგრამ ვერ დაეწივნენ.

აქვე ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო ფაქტი, სახელდობრ ის, რომ სერაპიონ ზარზმელმა თავი შეიკავა ამ კაცის წმინდა კრებულში მიღებაზე, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ სერაპიონმა იცოდა, თუ რა დიდად საჭირო იყო ეს მორბენალი ბატონისათვის.

ვფიქრობთ, „მსრბოლი გზათა შორთა“ არ უნდა ყოფილიყო შიკრიკის მოვალეობის შემსრულებელი, რადგან იმავე ძეგლში მოხსენებულია „კვირცხმავლები“. რომელნიც შიკრიკის მოვალეობის შემსრულებლად ჩანან. კერძოდ, აზნაურმა გიორგი ჩორჩანელმა, რომელიც სერაპიონ ზარზმელთან მიემგზავრება ზარზმაში, „წარავლინა წინათ მკვირცხლმავალნი“, ე. ი. წინასწარ გაუშვა მათთან ფეხით მოსიარულე შიკრიკი. სოფ. ძარღუას მცხოვრები რომ ამავე მოვალეობის შემსრულებელი ყოფილიყო, ბასილ ზარზმელი მას „მკვირცხლმავალს“ უწოდებდა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო პერიოდში შიკრიკი და მალემსრბოლი განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვები თუ ცნებები უნდა ყოფილიყო. თამარის ისტორიკოსის ცნობით, ომის სამზადისისათვის მეფემ „გასცა ბრძანება და წარავლინა შიკრიკნი და მალემსრბოლნი წვევად ლაშქარსა იმერეთით და ამერეთით“. ს. ს. ორბელიანის გან-

მარტებით, „მალემსრბოლი ჭენებით მავალია“, ხოლო „ჭენება გაქცევაა“. მაშასადამე, მალემსრბოლი, მორბენლის აღმნიშვნელ სიტყვად იხმარებოდა.

მორბენლებს სამხედრო დანიშნულებითაც იყენებდნენ, სხვადასხვა ცნობის სწრაფად გადაცემის ან ლაშქრის შეკრების მიზნით; ასეთ მსწრაფლმავალთა და მორბენალთათვის სპეციალური გამგებლობაც კი იყო, რომლის ხელმძღვანელად სახელმწიფოებრივი მოხელე „ამირ ჩქარი“ ითვლებოდა*.

მუშაითობა (აკრობატიკა)

ს. ს. ორბელიანის განმარტებით „მუშაითი საბელზე მოთამაშეს“ ეწოდება, რომელსაც თურქულად შეესატყვისება „ჯამბაზ“, იტალიურად — „სალტანბანეს“, სომხურად — „ლარახახაც“. ბერძნულად „აკრომია“ ნიშნავს „მხრებს ზემოთ“. ათენში სპირდონ დესტუნისის აზრით აკრომიტაი სასწავლებელთა ხელმძღვანელის — უფროსის სახელწოდებითაც ყოფილა ძველად ხმარებული.

მუშაითობა ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძველი აღმოსავლეთისა და მათ შორის ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისათვის. გ. ვებერის აღიარებით ძველ ეგვიპტურ გართობა-სანახაობათა პროგრამაში შეტანილი ყოფილა „აკრობატების“ მონაწილეობა. ასევე ეგვიპტელები ვარჯიშობდნენ სამხედრო თამაშობებით, ცეკვებით და აკრობატული ვარჯიშობებით. ეგვიპტეში მუშაითობის ძველთაგანვე არსებობის დამადასტურებელია ხელოვნების ძეგლები, ბარელიეფები, რომლებზედაც გამოხატულია სხვადასხვა ხასიათის მუშაითური ვარჯიშობანი.

საქართველოში მუშაითური ხასიათის ვარჯიშების ადრეულ პერიოდიდანვე არსებობაზე მიუთითებს ქართულ ენაში ძველთაგანვე არსებული სიტყვები „ყირამალა“ და „თავდა-

---

* ხელშწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი, 1920 წ., გვ. 9.

ყირა". როგორც პროფ. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, სიტყვა „ყირამალა" თავისი აგებულებით სავსებით გაუგებარია თანამედროვე ქართველისათვის და არ აიხსნება ქართული ენის ლექსიკონის საფუძველზე, მაგრამ მისი ახსნა ხერხდება ურარტული ენის მონაცემებით. ურარტულ ენაზე „ყირა" მიწას ნიშნავს. „ყირა მალა" ნიშნავს „მიწა მაღლა", ხოლო სიტყვა „თავდაყირა" — „თავით მიწისკენ".

სიტყვა „კირა" მიწის მნიშვნელობით მითური ამორძალების საცხოვრებელ ადგილ-სამყოფელში — თემისკირაშიაც ჩანს. „თემისკირა" — სათემო, სახალხო მიწას ნიშნავს, ისევე როგორც სიტყვა „თემშარა", სახალხო გზას, ხოლო „თემისვანა" საზოგადოებრივ სახალხო სამლოცველოს მნიშვნელობით ისმარება თანამედროვე მეგრულ ენაში. ასევე „კირა" გვხვდება წულეისკირის გვარშიაც.

თვით სიტყვა „აკრობატიკა", („აკრობატეს") კავკასიური ენების საფუძველზედაც შეიძლება აიხსნას. სიტყვა „აკრობატეს" მეორე ნაწილი „ბატენ" ავარულ ენაზე თოკს ნიშნავდა. ქართულადაც თოკს „ბაწარი" ეწოდება. მაშასადამე „აკრობატი" კავკასიური ენების საფუძველზე ბაწარზე, თოკზე მოსიარულესა და ვარჯიშობების შემსრულებელს ეწოდება.

საქართველოში ძველთაგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მუშაითობა. წარმოადგენდა რა ფიზიკური აღზრდისა და ფიზიკური მომზადების ერთ-ერთ საშუალებას, იგი ფართოდ იყო გამოყენებული გართობა-სანახაობებსა და ნადიმებში. თამარ მეფის ისტორიკოსი გადმოგვცემს რა თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქორწინების მოკლე აღწერილობას, მიუთითებს, რომ ქორწილის დროს „იყო ხმა მგოსანთა და მოშაითთა სახეობათა მჭვრეტელობანი". ამავე ისტორიკოსის ცნობით განძის მმართველის საპატივცემულოდ გამართულ ნადიმობის დროს „სიხარული იყო და ზმა მგოსანთა და მოშაითთა". ნადიმის დროს მოშაითთა გამოყენების შესახებ ცნობას ვხვდებით „ვეფხისტყაოსანში", სადაც როსტევან მეფის მიერ გამართულ ზეიმზე თუ ნადიმობაზე „მგოსანი და მოშაითი უხმეს, ჰპოვეს რაცა სადა" და შეიქნა ლხინის მოშაითი აკრობატების მონაწილეობით.

„ამირანდარეჯანიანში“ მუშაითობა ნადიმობის განუყრელი ნაწილია და წარმოდგენილია თამაშობათა ისეთ რიგში, რომლებიც საოცრება-საკვირველებასთან არიან დაკავშირებულნი: „მოშაითნი აჯაბთა იქმოდეს, რომელ ეგეთნი არაევინ უნახავენ“; „მუნ დაიდვის ნადიმი და იმღერდიან მოშაითნი და იქმოდიან აჯაბთა“. „აჯაბი საკვირველს ჰქვიან“ — განმარტავს ს. ს. ორბელიანი.

გარდა ქართველი მუშაითებისა, საქართველოში სხვა ქვეყნების მუშაითნიც ჩამოდიოდნენ და აწყობდნენ საჯარო გამოსვლებს. კერძოდ, მე-12 საუკუნეში ეგვიპტელი ჟონგლიორ-მუშაითები 40 კაცის რაოდენობით სწვევია კონსტანტინეპოლს, შემდეგ ისინი საქართველოშიც ჩამოსულან.

საქართველოში ძველთაგანვე მუშაითობის გავრცელებაზე ხალხში მიუთითებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე შემორჩენილი მუშაითური ხასიათის ხალხური ვარჯიშობანი ე. წ. „მალაყობია“. მალაყს უმთავრესად თამაშობდნენ ქართველები, იშვიათად ებრაელები. თამაშისათვის თავს იყრიდნენ 20-22 წლის ყმაწვილები, რომლებიც იყოფოდნენ ორ თანასწორ ჯგუფად, წილის ყრით ერთ-ერთი ჯგუფის წევრები ერთმანეთის მიყოლებით წვებოდნენ მიწაზე პირქვევით, თავებით რიგზე, ერთმანეთს ეხებოდნენ გვერდებით, ხელები და ფეხები შეკრეფილი ჰქონდათ ბოლო წრესთან, წინ წახრილი დგას დედო (ირჩევენ ყველაზე ფიზიკურად ძლიერს და ჯანმრთელს თითოეული ჯგუფიდან), რომლის მარცხენა ხელი ყველაზე ბოლოს მწოლარის კისერზე აქვს მოხვეული, ხოლო მარჯვენა ხელი დაბჯენილი აქვს მარცხენა წინწადგმულ მოხრილ მუხლზე წახრილი წინ გვერდით. მოწინააღმდეგე გუნდიდან მოთამაშე გარბის დედოს მოწინააღმდეგე მხრიდან, აკეთებს არეკნს პირველი მწოლარის წინ და ჰაერში გადაბრუნებით გადადის მწოლარეებზე ზევიდან ისე, რომ მათს ზურგს არ აკარებს არც ხელს, არც თავს და არც ზურგს, მხოლოდ თავისი ზურგით ეხება დედოს და დგება ფეხზე. პირველი პარტია ხალხი თითოეული სამ-სამჯერ ან ხუთჯერ ასრულებდა ამ ვარჯიშს, შემდეგ იცვლებოდნენ როლებით. თამაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

მუშაითობის არსებობასთან ერთად ისმება საკითხი იმის შესახებ, თუ ვარჯიშობათა რა სახეები იყო გამოყენებული მასში, „ვეფხისტყაოსნით“ ჩანს, რომ მუშაითობაში შედიოდა ხტომები, საგდებლის შეტყორცნა, თოკზე საჭურველითა და უსაჭურვლოდ გავლა. და გარბენები. დროთა განმავლობაში მასში შემავალ ვარჯიშობათა სახეები თანდათან უფრო მრავალფერი და მრავალმხრივი ხდებოდა. ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობას იძლევა თ. ჭყონიას მიერ გორკის ოლქში აღმოჩენილი მე-15 საუკუნის ქართული კარაბადინი. მასში აღწერილი მუშაითობა შესრულების განსაკუთრებულ დახელოვნებას და ამდენად სისტემატურ და თანმიმდევრულ წვრთნას მოითხოვდა. კარაბადინში დაცული ცნობით მუშაითობა შეიცავს თოკზე სხვადასხვა ხასიათისა და საგნებით მთელ რიგ ვარჯიშთა სისტემას. ცეკვითი ხასიათის ვარჯიშობებით („შუშპრობით“) ცეცხლის ალზე კვერცხის შეწვის ცერემონიალით, თოკზე გავლას, ფეხებზე ერთი წყრთის სიგრძის ფიცარამოკრული ოცდაათი წყრთის სიგრძის თოკზე გავლა, მასზევე ყირის შესრულება და სხვ. მოგვყავს აღნიშნული ცნობა მთლიანად:

„ზოგნი, რომე მოშაითობენ და საბელსა ზედა გავლენ და ქუე დაწვებიან და იმღერიან და სხუანი, რომე ოცდაათსა წყრთასა საბელზედან გავლენ და ერთსა წყრთასა ფიცარსა ზედა ჩაიცმენ და შუშპრობენ და ცეცხლსა გაიტანენ და კუერცხსა შესწუენ და ამათი მსგავსი ყუელა ჩვეულებით იქნების, მთუარესა ზედა თავითა ამერთა და ფეხი აღმა ქნა და ფეხითა შუშპარსა იქმოდა“*. მუშაითური ვარჯიშობანი აღწერილი აქვს რუს მოგზაურს არსენ სუხანოვს, რომელიც 1639 წელს თეიმურაზ I სწვევია საქართველოში. მუშაითური ვარჯიშობანი შეიცავდა არა მარტო სხვადასხვა ხასიათის ვარჯიშებს თოკზე, არამედ მიწაზედაც. ვარჯიშთა ეს უკანასკნელი სახეობანი შესრულების სირთულით არ ჩამორჩებოდა თოკზე შესრულებულ ვარჯიშებს. პოემა „სიბილიანში“ (მე-17 საუკ.) აღწერილია რუშაითური ვარ-

* ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი. კარაბადინი, 1959 წ., გვ. 95.

ჯიშობანი მიწაზე, იატაკზე შესრულებით. პოემაში მოთხრობილია, რომ მეფემ მასთან სტუმრად მოსულ სიბილა დედოფალს გაუმართა დიდი წვეულება. მდიდრად მოწყობილ წვეულებას თან მოყვა სხვადასხვა სახის თავშესაქცევი გართობა-სანახაობა, მათ შორის მუშაითური ვარჯიშობანი, რომლის დროსაც:

ზოგნი ბრუნვიან, ყივიან, ზოგი ხმობს ტკბილსა ხმობასა,
ქუსლთანა ბეჭედს დასდებენ, წამწმითა ხმობს აღებასა.
თავზე დგან, ხელით დარბიან, ფეხით ქმენ თამაშობასა.

ე. ი. ზოგი ყვირის, ზოგი საამოდ მღერის, ზოგი თავყირას აკეთებს, ზოგი კი ხელყირით დარბის, არიან ისეთებიც, ქუსლთან დადებული ბეჭდის წამწამებით აღებას ცდილობს. განსაკუთრებული რთულ ვარჯიშობათა აღწერა მოცემული აქვს მეფესა და პოეტს არჩილს თავის ცნობილ თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი". აქ აღწერილია ისეთი რთული ხასიათის ვარჯიშთა სახეები, როგორიცაა ოთხ აქლემზე ხელდაუკარებლივ გადახტომა, სიმძიმის კბილებით დაჭერა და სხვა მრავალი „საკვირველება".

მუშაითობა წარმოდგენილია თამაშობათა ისეთ რიგში, რომლებიც საოცრება-საკვირველებასთანაა დაკავშირებული. ცხადია, ვარჯიშთა ასეთი რთული სახეობის შესრულებისათვის საჭირო იყო მასში სპეციალური წვრთნა, დახელოვნება. ისტორიულ და ლიტერატურულ პირველწყაროებითაც დასტურდება, რომ მუშაითობაში ბავშვობის ასაკიდანვე იწვრთნებოდნენ.

მუშაითობას, როგორც „ვეფხისტყაოსნიდან" ჩანს, ბავშვობიდანვე სპეციალური მწვრთნელ-მასწავლებლები ასწავლიდნენ; ეს ვარჯიშებია: ხტომები, საგდებლის შეტყორცნა, თოკზე საჭურვლითა და უსაჭურვლოდ გავლა, გარბენები. „ვეფხისტყაოსანში" სამთა თათბირზე ფრიდონის წარმოთქმულ სიტყვაში ნათლად ჩანს, რომ მუშაითობას ბავშვობიდანვე — „სიმცროს" პერიოდიდანვე ასწავლიდნენ, არსებობდა მუშაითობის სპეციალობა, მუშაითად მომზადება. მუშაითური ვარჯიშობანი ვარჯიშთა სხვა სახეებისაგან განსხვავდებოდა. ამ მნიშვნელობით ათქმევინებს რუსთაველი ფრი-

დონს: „მასწავლნეს მათი საქმენი“, ე. ი. მუშაითობისათვის დამახასიათებელი საქმიანობა, ქცევა, ვარჯიშობანი.

მუშაითური ვარჯიშობების ათვისება რთულ საქმეს წარმოადგენდა და ამდენად მიმზიდველიც იყო. მუშაითის საჯარო გამოსვლის მნახველი ახალგაზრდობა ნატრობდა ამ რთული ხელოვნების სწავლას და დაუფლებას. მეფე არჩილი აღნიშნავს: „ინატრის ბევრმან ვაჟებმან, ნეტავი ეს მასწავლაო, მისი სიფიცხე, ლიმალე, ისე თამამად წავლაო“.

მუშაითობის სწავლება და მასში წვრთნა მოითხოვდა მწვრთნელსა და წვრთნისათვის თავისუფალ დროს, რასაც ბოკლებული იყო მოსახლეობის დაბალი ფენები, ის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მაღალი კლასის, თავადაზნაურებისათვის, რომელთაც გააჩნდათ სპეციალური მასწავლებლების მწვრთნელის დაქირავების საშუალება და წვრთნისა და სწავლისათვის საჭირო საკმაო თავისუფალი დრო. ისინი მიწას ყმების საშუალებით ამუშავებდნენ, თვითონ კი მეტწილად ომობდნენ, თარეშობდნენ, ნადირობდნენ. ამიტომაცაა, რომ „ეეფხისტყაოსანით“ წარჩინებულს, მეფის შთამომაეალს ფრიდონს ასწავლიდნენ მუშაითობას. ასევე შაჰნავაზის (არჩილის მამა, ვახტანგ მე-5) შვილების აღზრდაში მთავარი ადგილი ფიზიკურ აღზრდას, მუშაითობაში და სხვა სახეობებში დახელოვნებას ეჭირა.

> მეფემ უჩვენა შვილებსა თვითო და თვითო თეძია,
> მუშაითობენ, ისწავლის სიმამაცისა ზნენია.

მუშაითობა არა მარტო გართობა-სანახაობის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა, არამედ მას გარკვეული სამხედრო გამოყენებითი ხასიათი ჰქონდა; მისგან შეძენილ ჩვევებს წარჩატებით იყენებდნენ მტრებთან ბრძოლის საქმეში.

ცხენოსნობა

საქართველოში, სადაც დღემდე შემონახულია საცხენოსნო სპორტის ისეთი ეროვნული სახეები, როგორიცაა: ცხენბურთი, ყაბახი, ისინდი, თარჩია, ჯირითი, მარულა, დოღი, ცხენბურთის სახეები — გადრი და რადრაბაგანი, ადრეულ პე-

რიოდიდანვე მაღალი საცხენოსნო სპორტული კულტურა უნდა არსებულიყო და მართლაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და არქეოლოგიური მასალები საკმაო სიცხადით ადასტურებენ ქართველი ხალხის დახელოვნებას ცხენოსნობაში.

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ქართველთა წინაპრები დახელოვნებული ცხენოსნები ყოფილან. კასკებმა (იგივე კასხები) რომელთა სახელი პირველად გვხვდება 2500 წლის წინათ ჩვენს ერამდე „ბაბილონელებს ასწავლეს პირველად ცხენის მოშენება (მანამდე იქ მხოლოდ სახედარი იყო გავრცელებული) და აგრეთვე სამხედრო ეტლის გაკეთება"*: სუბარები სამხედრო ხელოვნების ნოვატორებად ითვლებიან, რადგან მათ გამოიგონეს მსუბუქი ორთვალიანი საბრძოლო ეტლი, რომელშიც ცხენს აბამდნენ. ასურელებს აოცებდათ ხეთურ-სუბარელი ცხენოსნების ოსტატობა. ასურეთის მეფის სარგონის ცნობით მანაელები საგანგებოდ სთესდნენ ცხენის საკვებ ბალახსაც კი**. ისინი „განსაკუთრებით განთქმული ყოფილან თავისი მეცხენეობით. აქაურ მცხოვრებთ ცხენოსნობაში მეტოქე არა ჰყავდათ მთელ ურარტუშიო, ამბობს სარგონი. ცხენებს ხედნიდნენ უმთავრესად ეტლში შესაბმელად (აქ უფრო საომარი ეტლი იგულისხმება). ამ მხრივ მანაელები აოცებენ ასურელებს, „ისე ჰყავთ ცხენები გაწვრთნილი, რომ არასოდეს არ გასტეხენ ეტლის ხელნასო",*** ე. ი. ასურელები ხეთურ-იბერიული ცხენოსნობით გაოცებულნი ყოფილან. ცხენის მოშინაურებამ და მისი სამხედრო საქმეში გამოყენებამ ხელი შეუწყო საცხენოსნო სპორტის. ცხენოსნობაში სპეციალური თანმიმდევრული და სისტემატური წვრთნის წარმოშობას. საცხენოსნო სპორტის წარმოშობამ დღის წესრიგში დააყენა მასში წვრთნის სპეციალური სახელმძღვანელოს შექმნის

---

* ს. ფირცხალავა. ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში 40 საუკ. ძვ. წ., გვ. 20.

** ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946 წ., გვ. 38.

*** ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946 წ., გვ. 21.

აუცილებლობა. საცხენოსნო სპორტის პირველი სახელმძღვანელო (მათ შორის, რომლებიც დღემდეა ცნობილი) შედგენილია ხეთებისაგან, რომელთა შესახებ აკად. სტრუვე აღნიშნავს: „ჩვენ ხეთების ჯირითის სახელმძღვანელოს ავტორებსაც ვიცნობთ*. აღსანიშნავია კიკია ხურიტელის (ჩვ. ერამდე მე-12-საუკ.) ცნობილი ტრაქტატი ცხენის შესახებ, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ცხენის მოშენებისა და გაწვრთნის წესები. როგორც სათანადო წყაროებიდან დასტურდება, ხეთები აწყობდნენ სპორტულ შეჯიბრებებს ცხენოსნობაში „გამარჯვებულთა და მათი ცხენების სახელები სპეციალურ წიგნებში შეჰქონდათ. ბოღაზკეოსის ლურსმულ საბუთებში ამოკითხულია შეჯიბრებაში მონაწილე გამარჯვებული ცხენებისა და საბრძოლო ეტლების მძღოლთა სახელები“**.

გამარჯვებული ცხენის სახელი ასევე შეტანილია მეფე მენუას ურარტულ წარწერაში, რომლის პირველი თარგმანი მოცემული აქვს ი. მ. დიაკონოვს. წარწერაში ვკითხულობთ: „ამ ადგილიდან (ე. ი. ადგილიდან, სადაც პირველად დადგმული იყო წარწერიანი სტელა) ცხენი არციბინი, რომელზედაც იჯდა მენუა, გადახტა 22 წყრთის სიგრძეზე“. გ. მელიქიშვილის გამოანგარიშებით მაშინდელი 22 წყრთა თანამედროვე 11 მეტრისა და 20 სანტიმეტრის სიგრძის ზომის თანაფარდია. საფიქრებელია, ეს საუკეთესო შედეგად ითვლებოდა და ამიტომაც იყო დადგმული წარწერიანი სტელა. ეს შედეგი ამავე სახეში არსებულ თანამედროვე მსოფლიო რეკორდის თითქმის თანაბარია. დიაკონოვმა ყურადღება მიაქცია ცხენის სახელს, რომელიც მისი აღიარებით უნდა შეეფარდებოდეს ქართულ და სომხურ არწივის სახელწოდებას და ასეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მაშინაც“***.

ბოლახ-გოის ახლოს, ძველ ხათესაში გათხრების დროს ნაპოვნი იქნა დაახლოებით ორასსტრიქონიანი ტექსტი, რო-

---

* აკად. სტრუვე. ძვ. აღმოსავლეთის ისტორია, თბილისი, 1946 წ., გვ. 292.

** ვ. ფერცფელდი. კულტურული ურთიერთობანი ძვ. აღმოსავლეთში, 1931 წ., გვ. 29.

*** Г. А. Меликишвили. Наири—Урарту. Тб. 1954 г., стр. 325.

მელიც შეიცავდა მითითებებს მეცხენეობის საკითხებზე. აქედან ჩანს, რომ, სადღაც ხეთებში, ხურიტებში, კასიტებში თუ ბარბაროს ჰიკსოსებთან სრულყოფდნენ ცხენის გაწვრთნის მეთოდებს, აუმჯობესებდნენ ცხენოსნობას, იგონებდნენ ორთვლიან, ახალი ტიპის საომარ ეტლებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ტექსტი შედგენილია ხეთურად სამი ათას ოთხასი წლის წინათ, მაგრამ მისი ავტორი ყოფილა ეიმე „კიკული მითანიოს ქვეყნიდან", ბაშასადამე ხურიტი. ამის მიხედვით დაასკვნიან, რომ ხეთების მეფეს ცხენების მწვრთნელად მითანელი ჰყოლია (ეტყობა, იმ დროს მითანში ცხენების საუკეთესო მწვრთნელები ყოფილან). ცხენის წვრთნა შვიდ თვეს გრძელდებოდა. აქ დაწერილებითაა აღწერილი ყველა მეთოდი.

საცხენოსნო სპორტით გატაცება ეტყობათ ძველთაგანვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ კოლხებს მე-4-3 საუკუნეებში ჩვ. ერამდე საცხენოსნო სპორტისათვის განკუთვნილი სპეციალური ნაგებობა — ასპარეზი გააჩნდათ, რასაც ა. როდოსელიც ადასტურებს.

ანტიკური პერიოდის ქართველი ხალხის ცხენოსნობაში დახელოვნებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პონტოს მეფემ მითრიდატემ სომხეთში შეკრებილი ცხენოსანი ჯარი პონტოელ მასწავლებლებს გადასცა გასაწვრთნელად. პონტოში კი ამ დროისათვის ქართველი მოდგმის ხალხი ცხოვრობდა. ქართველები ცხენოსნობაში დახელოვნებას სხვა ქვეყნებშიაც უჩვენებდნენ, რაზედაც მეტყველებს ფარსმან მეფისა და ქართველი დიდებულების მიერ ანტონინე პიუსის დროს რომში გამართული ასპარეზობა.

ქართველი მოდგმის ტომის „ჰენიოხების" სახელწოდება იმაზე გაგვამახვილებინებს ყურადღებას, რომ ისინი განსაკუთრებულად დახელოვნებულნი-უნდა ყოფილიყვნენ ცხენოსნობასა და საბრძოლო ორთვალა ეტლის მართვის საქმეში. თვით სატომო სახელწოდება „ჰენიოხი" ნიშნავს ეტლის მძღოლს (იგულისხმება საბრძოლო ორთვალა ეტლი), ცხენოსანს. სიტყვის ძირი ჰენი — ცხენს ნიშნავს. ჰენიოხთა ტომის სახელწოდება დაკავშირებულია ცხენთან და ცხენოსნობასთან.

ჰენიოხები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ქართველი მოდგმის უძველესი ტომია. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომთაგან დაბადების პირველ წიგნში მხოლოდ ჰენიოხები არიან მოხსენებული და როგორც მ. ინაძე სათანადო მასალების ანალიზის საფუძველზე დაასკვნის, „ძვ. წ. მე-9-8 საუკუნეებში ჰენიოხები ფართოდ ყოფილან გავრცელებულნი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ცენტრალურ და სამხრეთ რაიონში (ჩილდირის ტბისა და მდ. ჭოროხის მახლობლად)“ და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ხეთები მათ მეზობლად ცხოვრობდნენ, რომელთაც გააჩნდათ ჯირითის სახელმძღვანელო და მდიდარი პრაქტიკა საცხენოსნო სპორტში, ჰენიოხები ბევრს ისესხებდნენ ამ უკანასკნელთაგან.

ამასთან ერთად, შესაძლებელია ქართული სიტყვა „ჭენება“ ქართველი ხალხის ერთ-ერთი ტომის სახელწოდებიდან ჭანებიდან მომდინარეობდეს ჭანი-ჭენი-ჭენება.

ანტიკური პერიოდის საქართველოში ცხენოსნობის დამადასტურებელია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთიერი ძეგლები, კერძოდ ცხენის ეტლის გამოსახული ბრინჯაოს სარტყელზე ახტალიდან და ცხენოსანთა ნადირობა გამოსახული ბრინჯაოს სარტყელზე სამთავროდან, ასევე სამარულო ეტლი, რომელიც საქართველოდან ყოფილა გატანილი ეგვიპტეში.

ნადირობა

ნადირობა კაცობრიობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე საარსებო საშუალებათა მოპოვების ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. განვითარების ეს საფეხური საქართველოს ბარის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხებმა ბევრად ადრე გაიარეს, ვიდრე რომელიმე ევროპის დიდმა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა. მიუხედავად ამისა, ანტიკური პერიოდის საქართველო მდაბიოთათვის ჯერ კიდევ ინარჩუნებდა საარსებო საშუალებათა მოპოვების ერთ-ერთ სახეს, ხოლო წარჩინებულთათვის საარსებო საშუალებათა მოპოვებისა და სამხედრო-ფიზიკური მომზადების ერთ-ერთ საშუალებად გადაიქცა და ამდენად მათი ზრუნვის მთავარ საგანს წარმოადგენდა.

ნადირობა სამხედრო-ფიზიკური მომზადების კომპლექსურ ფორმას წარმოადგენდა. ის ხელს უწყობდა მეომრისათვის საჭირო ისეთ აუცილებელი თვისებების გამომუშავებას, როგორიცაა: გამბედაობა, სისწრაფე, მოხერხებულობა, გამძლეობა, შუბის და ისრის მიზანში ტყორცნის უნარი, ცხენოსნობაში დახელოვნება.

ძველ აღმოსავლეთში ნადირობას სამხედრო საქმის ნამდვილ სკოლად მიიჩნევდნენ. ქსენოფონტე აღწერს რა ირანში არსებულ სპეციალურ საალმზრდელო დაწესებულებას ე. წ. „თავისუფალ ეზოს," მიუთითებს, რომ მეფე თვეში ერთხელ სპეციალურ ნადირობას აწყობდა, რისთვისაც ე. წ. „თავისუფალ ეზოში" მყოფ ჭაბუკთა ნახევარი სანადიროდ მიჰყავდა, მათ შეიარაღებას შეადგენდა მშვილდ-ისარი, ორი შუბი, ხანჯალი და ფარი. ნადირობის დროს მთავარი განმკარგულებელი, როგორც ომის ჟამს — მეფეა. ის თითონ ნადირობს და თვალ-ყურს ადევნებს ჭაბუკთა ნადირობასაც. ქსენოფონტე წერს: „ნადირობა ადამიანს ასწავლის ადრე ადგომას, სიცხისა და სიცივის გადატანას, ვარჯიშს სიარულში და რბენაში. აქვე მხეცებთან შებრძოლებაში იჭედება მათი გამბედაობა და მამაცობა. ხშირად ნადირთან პირისპირ შეყურა ორთა ბრძოლით წყდება". თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელი ტექნიკის დონეს, ნადირობა ძნელსა და საშიშ

საქმეს წარმოადგენდა და ამიტომაც ის დიდ ფიზიკურ ძალას, სისწრაფეს, სროლის სიზუსტეს მოითხოვდა, რისთვისაც საჭირო იყო წინასწარ სათანადო წვრთნა. „ნადირობას ძველ დროს, — წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მარტო გასართობად არ ითვლებოდა. იგი ერთგვარი სამხედრო და სალაშქრო ვარჯიშობა იყო, როდესაც ადამიანის თვალი და ხელი მარჯვე სროლას, განსაცდელის გულად ატანას და მოქმედების სწრაფ სიმკვირცხლეს ეჩვეოდა. ამიტომაც იყო, რომ მაშინ ხელმწიფე ყველაფერს დასთმობდა და ყოველგვარ გადასახადების შეუალობას მიანიჭებდა ხოლმე, მაგრამ ლაშქარი ნადირობისაგან რომ გაენთავისუფლებინა, თუ არ მოხუცი და უძლური, არას გზით არ შეიძლებოდა“*. ის ვინც ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ლაშქრობაში, ასევე ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ნადირობაშიც, რადგან როგორც ეს მეფის მიერ გაცემულ ერთ-ერთ სიგელშია ჩაწერილი, „ლაშქრობა ქვეყნის სიმაგრე არის და ნადირობა ლაშქრობის მასწავლებელი“.

ანტიკური პერიოდის საქართველოში ნადირობა სამხედრო-ფიზიკური მომზადების ერთ-ერთ საშუალებას რომ წარმოადგენდა, ადასტურებს ის ფაქტი, რომ ქართველი მეფეები სპეციალურ სანადირო ხელოვნურ ბაღებსაც კი აშენებდნენ. ლეონტი მროველი ეხება რა ქართლოსის შვილების გაყოფას, ერთ მათგანს წილად ერგო „ორბის ციხე და ორეთის მდინარითგან ვიდრე თავამდე აბოცისა“ და მან „ეაჩიოს აღაშენა ქალაქი გაჩიანი, რომელს მაშინ ერქუა სანადირო ქალაქი“. ასევე სპეციალურ ხელოვნურ გაშენებულ სანადირო ადგილის მოწყობაზე უნდა მიუთითებდეს ჯუანშერი, როდესაც გვატყობინებს ვახტანგ გორგასალის ხუთი წლის შვილის დაჩის შესახებ: „ამათ (ქართველ ერისთაველებს) შეჰვედრა ძე თვისი დაჩი, და უბრძანა აღშენება უჯარმისა და მუნ შინა ზრდა დაჩი შეფისა, რამეთუ სიმარჯუედ გამო-

* ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, 1919 წ., გვ. 196.

ნახა იგი ნადირთა და ცხოვართათვის". აქედანვე ჩანს, რომ ნადირობაში მცირე ასაკიდანვე ავარჯიშებდნენ მომავალ დიდებულს, მეფეს. ქართველი ისტორიკოსები მეფეების სხვა საქმიანობასთან ერთად იხსენიებენ მათ ნადირობაში დახელოვნებას. ქართველთა პირველი მეფე ფარნავაზი ყოფილა არა მარტო „კაცი გონიერი, მხედარი შემმართებელი," არამედ ამასთან ერთად „მონადირე ხელოვანი". ქართველი ხალხის ძველთაგანვე ნადირობით გატაცებას არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოებული მასალებიც ადასტურებენ.

მთამსვლელობა

სპორტული მთამსვლელობა მე-19 საუკუნის პირველია, მაგრამ იგი სამეურნეო საქმიანობაში უძველესი პერიოდიდან იყო გამოყენებული იმ ხალხების მიერ, რომელთაც მთიან რაიონებში უხდებოდათ ცხოვრება. სამეურნეო მიზნით მთასვლელობის გამოყენებამ ხელი შეუწყო მისი ტექნიკისა და ტაქტიკის გამომუშავებას, მთასვლელობისათვის საჭირო საჭურველის გამოგონებასა და შემდგომ სრულყოფას.

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა მთამსვლელობის შესახებ უძველესი ცნობები დაცულია ხალხურ თქმულებებსა და ზღაპრებში.

კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებში მრავალი თქმულება და ლეგენდაა დაცული მთამსვლელობასთან დაკავშირებით. ერთი ასეთი თქმულებათაგანი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გ. ლოპატინსკის ჩაუწერია. ამ თქმულებით, ვიღაც გმირს იალბუზზე ასვლა გადაუწყვეტია, რათა მისი საუკუნეობრივი წყვდიადით მოცული საიდუმლოება გაეგო, რის გამოც ის მძიმე ჯაჭვებით მიუჯაჭვავთ იმავე მთის კალთაზე მთების მეუფეს, უკვდავ თხას*. ასეთივე ხასიათის თქმულება ჩაუწერია ს. ვ. ფარფოროვსკის, რომლის მიხედვითაც იალბუზზე მთელი ათასი წელია დევს მძიმე ლოდი, რომელზედაც მიჯაჭვულია თეთრწვერა მოხუცი; მას გადაუწყვეტია დიდი ღმერთის — თხის ჩამოგდება, რისთვისაც იგი დაუსჯია ამ ღვთაებას. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია დაინახოს ეს ტანჯული მოხუცი. იალბუზზე ასვლის ყველა მცდელი, რათა დაენახა ტანჯული, დაიღუპა, მსგავსნი თქმულებები არსებობს თეთნულდის, უშბისა და ყაზბეგის შესახებ.

განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ძველთაგანვე თქმულებამ კავკასიონის ქედზე პრომეთეს (ამირანის) მიჯაჭვის შესახებ.

აღნიშნული თქმულებებიდან ცხადი ხდება, რომ ადამია-

---

* თხა — ღმერთის ყაბარდოული სახელია. იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი I, 1950 წ., გვ. 165-167.

ნები ძველთაგანვე დაინტერესებულნი ყოფილან ცაში აზიღული, მუდმივი თოვლითა და ყინულით თეთრად შეეერცხლილი მთების საიდუმლოებათა ამოხსნით.

აღრიდანვე მაღალმთიანი ასკვლები ხალხის მიერ ვაჟკაცობისა და გამბედაობის საქმედ იქნა აღიარებული. ხალხს, როდესაც ამა თუ იმ, მისთვის საყვარელი გმირის ვაჟკაცობის, ფიზიკური ძალის, გამბედაობისა და სხვა თვისებათა დახასიათება უნდა, გმირის საქმიანობის, მისი სიდიადის გამოსაკვეთად მთის ცნებას უკავშირებს და მთასავით ბუმბერაზად გვისახავს. ამ მხრივ დამახასიათებელია თქმულება ვახტანგ გორგასალზე.

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან შემოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექმნეს დრეკა.

სამეურნეო მიზნით კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა მიერ ადრეული პერიოდიდანვე გამოყენებული ყოფილა მთამსვლელობა. კერძოდ, როგორც ეპიფანე (მე-4 საუკ. ჩვ. ერამდე) გადმოგვცემს, სკვითთა მიერ მთამსვლელობა გამოყენებული ყოფილა სხვადასხვა ძვირფასი ქვების მოსაპოვებლად. „დიდ სკვითეთში არის ხეობა, — წერს ეპიფანე, — ფრიად ღრმა, ადამიანისათვის მიუვალი, რომელსაც ორივ მხრივ გარს არტყია კლდოვანი მთები ისე, რომ თუ ვინმე ზევიდან გადაიხრება მთის სიმაღლიდან, როგორც კედლიდან, ვერ შეძლებს ხეობის ძირში რაიმეს გარჩევას, რადგან იგი, სიღრმის გამო, დაფარულია ბნელით, როგორც რაიმე უძირო. იქით ძალით აგზავნიან მეზობლად მცხოვრები მეფეების მიერ მსჯავრდადებულ დამნაშავეებს“. იქვე მოთხრობილია ქვების მოპოვების წესი.

აღნიშნული ცნობა ჩვენს ყურადღებას იქცევს ორი გარემოებით: ერთი, მთასვლელობაში გამოყენებულია სკვითთა მეზობელი მეფეების მიერ მსჯავრდადებული დამნაშავენი, და მეორე, ძვირფასი ქვების მოპოვების საქმეში გამოყენებულია მთამსვლელობა. მეზობელი მეფეების მიერ მსჯავრდადებულ დამნაშავეთა მთამსვლელობაში გამოყენება მიუთი-

თებს იმაზე, რომ სკვითები მთამსვლელობაში არ უნდა ყოფილიყვნენ დახელოვნებულნი, ხოლო მეზობელ მეფეთა მიერ დასჯილ დამნაშავეებად უნდა ვივარაუდოთ სკვითების მეზობლად, კავკასიონის მთებში მცხოვრები ხალხები: ალანები, სავრომატები, იბერიელები, ალბანელები და სხვა ბოიელი ტომები, რომლებიც დახელოვნებული მთამსვლელები უნდა ყოფილიყვნენ ადრეული პერიოდიდანვე. ამასთან ერთად, ძვირფასი ქვების მოპოვება სიცოცხლისათვის სარისკო საქმესთან ყოფილა დაკავშირებული, ამიტომაც ამ საქმეში გამოყენებულია მსჯავრდადებულნი.

ცნობილია, რომ ლაზების საიმედო თავშესაფარს შეგობსეულ მტერთან დამარცხების შემთხვევაში მტრისათვის ძიუვალი მთები წარმოადგენდა. ბიზანტიელი მწერალი პროკოფი კესარიელი, აღწერს რა სპარსელების მიერ ლაზიკის სამეფოს ციხე-სიმაგრეების, ქუთაისისა და უქიმერიონის აღებას, გვაცნობებს, რომ ლაზიკის მეფე გუბაზი (540-554 ძვ. წ.) იძულებული ყოფილა მიუვალი მთებისათვის შეეფარებინა თავი. „გუბაზი მთის წვერზე ავიდა", — წერს პროკოფი კესარიელი.

ბიზანტიიდან ლაზეთში გადასახლებული მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად, მაქსიმე აღმსარებელი კავკასიის რომელიღაც მთაზე ასულა.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სსრ კავშირის, კერძოდ, კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელნიც ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე იცნობდა მთამსვლელური ტექნიკის საფუძვლებს და იყენებდა მთამსვლელობისათვის საჭირო ძირითად საჭურველს წრიაპსა და რკინის პალოებს, წერაყინსა და ქანცს (ალპენშტოკს), თოკსა და ჯაჭვს, საცოც ტყავებსა და თხილამურებს და ა. შ. ამას ადასტურებს ისტორიული, ლიტერატურული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები.

რკინის სატეხების (პალოების) გამოყენება დამოწმებულია ძველი, წარმართული დროის თქმულების — „მიჯაჭვული ამირანის" სვანურ ვარიანტში, რომლის მიხედვითაც უცნობი მონადირე მიუვალი კლდიდან ქალის კივილს გაიგონებს

და ‘ძინ ბრუნდება. მეჭედელს სატეხებს გააკეთებინებს და გამოქვაბულში შევა ამბის გასაგებად. რკინის სატეხების, ჩანგლებისა და ჯაჭვის გამოყენება დამოწმებულია თ. რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ზღაპარში „ივანე ცისკარი“. ივანე ცისკარმა კედელზე ასასვლელად გამოჭედა უზარმაზარი ჯაჭვი, ჩასვეს ერთი დიდი მარგილი, დაამაგრეს იმაზე ერთი პირი ჯაჭვისა, მეორეზე ჩანგლები მიაბეს, ცისკარმა მოავლო ხელი ჯაჭვს, ატყორცნა და აიყვანა წვერამდე. მოეპიდნენ ყველანი, მოედო ჩანგალი კლდეს, გამაგრდა ი‘ე, რომ ასვლა შეიძლებოდა და ავიდნენ კიდეც.

წრიაპს, როგორც მაღალმთიან მწვერვალებზე ასვლისათვის აუცილებელ საშუალებას, ადრეული პერიოდიდანვე (ჯერ კიდევ ჩვ. ერამდე) იყენებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები. კერძოდ სტრაბონი (I საუკ. ჩვ. ერამდე) აღნიშნავს რა ალბანელების, იბერიელების, კოლხებისა და ჰენიოხების საზღვრის გასწვრივ კავკასიონის ყველაზე მაღალი მთების არსებობას, მიუთითებს, რომ მწვერვალები ზამთრობით გაუვალია, მხოლოდ ზაფხულობით ადიან (ფეხებზე) ლურსმნებით დაჭედილი, დამუშავებული ტყავით ამოკრულები, ხოლო (ეს ტყავები) სიფართოვით დაფარ‘ოდენაა (და იკეთებენ ამას) თოვლისა და ყინულის გამო“*.

აღნიშნული ცნობით ჩანს, რომ ასვლები წარმოებდა მუდმივი თოვლითა და ყინულით დაფარულ მაღალმთიან მწვერვალებზე, რომლებზეც ასვლებისათვის გამოყენებული ჰქონიათ ხარის ტყავზე დამაგრებული რკინის წრიაპები, რომლებიც მთასვლელს ამოკრული აქვს ფეხის გულებზე. იმავე სტრაბონის ცნობით რკინის წრიაპების გარდა მთასვლელობაში სომხეთში გამოყენებული ყოფილა მრგვალი, ხის წრიაპიანი თხილამურები. „აქ ფეხსაცმლის ძირზე აგრეთვე ხის (პატარა) გოგორებს იკეთებდნენ, რომლებიც ლურსმნებითაა დაჭედილი“. სტრაბონის ცნობით ირკვევა, რომ მთასვლელობაში გამოყენებული ყოფილა ორი სახის წრიაპი: რკინისა და ხისა. რკინისას ამაგრებდნენ ტყავზე, ხოლო ხისას — მრგვალ თხილამურებზე. რკინის წრიაპებს ხმარობდნენ ყი-

* თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957 წ., გვ. 141.

ნულოვან, ხოლო ხისას — თოვლიანი მთის მწვერვალებზე ასვლებისათვის. გარდა ამისა, სტრაბონი მიუთითებს მთებიდან ჩამოსვლისათვის საცოცი ტყავების გამოყენების შესახებ: „ძირს ტყავებზე მწოლარენი ჩამოდიან თავის ტვირთიანად და მოცურავენ, ისე, როგორც აკეთებენ ამას ატროპატიის, მიდიისა და მისისის მთიდან, რომელიც არის არმენიაში“.

რკინის წრიაპების გამოყენება ქართულ ორიგინალურ ლიტერატურაში დადასტურებულია მე-17 საუკუნის ქართველი ლექსიკოგრაფის, დიპლომატისა და მწერლის საბას მიერ, რომელიც სიტყვა წრიაპის განმარტებისას წერს: „წრიაპი ეს არის რკინა შემზადებული კბილებიანი ტერფთა ამოსაკრავად, რათა ფრიალოთა მავალსა ფეხი არა მოუცურდეს“.

მთამსვლელობაში ადრეული პერიოდიდანვე გამოყენებული ყოფილა წერაყინი, რომლის შესახებ პირველ ცნობას ბასილ ზარზმელი გვაწვდის თხზულებაში „ცხოვრება და მოქალაქობაი ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი“.

ბასილ ზარზმელის აღნიშნულ თხზულებაში აღწერილია სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულ სამონასტრო მშენებლობასთან დაკავშირებით მოგზაურობა „უვალთა ადგილთა“. სერაპიონ ზარზმელს მხლებლებითა და გამყოლის თანხლებით მოუხდენია გოდერძის უღელტეხილზე გადასვლა (2025 მ.), რის შემდეგ მათ გაუვლიათ გოდერძის აღმოსავლეთით მდებარე მეტად ძნელი სავალი, მაღალი ტყითა და ლოდებით დაფარული ქედები და ასულან ამ ქედის „უმაღლესთა ადგილთა“. ამსვლელთა ჯგუფი „უმაღლესთა ადგილთა“ ასვლისას ტოვებდა ასვლის დამადასტურებელ ნიშანს, კერძოდ, ავიდნენ რა მაღალი ქედის „უმაღლესთა ადგილთა“, რომელსაც ბაკი ეწოდებოდა, სერაპიონ ზარზმელმა „აღიღო ხელითა თვისითა ორთოხი რკინისა და გამოაქანდაკა ჯურნი ლოდთა მათზე ზედა დიდ-დიდთა, რომელნი იგი იხილ-

ვებიან ვიდრე დღევანდელად დღემდე". აღნიშნული ცნობიდან ყურადღებას იპყრობს რაღაც სპეციალური იარაღი „ორთოხი რკინისა". იმნაიშვილის განმარტებით, ორთოხი არის: „ორპირი თოხი (წერაქვი), ხოლო საბა, ეფრემ მცირის დამოწმებით, განმარტავს: „ორთოხი ორგნითვე სათხრელიაო". მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სერაპიონ ზარზმელი ორთოხს, სათხრელად კი არ ხმარობს, არამედ ქვაზე (ამ შემთხვევაში ლოდზე) საკვეთლად, მას, როგორც ამავე საკითხზე ნ. რეხვიაშვილი აღნიშნავს, საკოდელი ჰქონდა ხელთ". თუმცა მას საბოლოოდ მაინც სათხრელ იარაღად მიიჩნევს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სერაპიონ ზარზმელის მიერ გამოყენებული „ორთოხი" მაღალმთიანი ასვლებისათვის საჭირო სპეციალური იარაღი უნდა ყოფილიყო ძნელად სავალ კლდეებსა და ფერდობებზე სვლისათვის გამოყენებული, იგი თანამედროვე წერაყინის წინაპრად უნდა მივიჩნიოთ.

კავკასიელი ხალხისათვის ალპინშტოკიც ადრეული პერიოდიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი და გამოყენებული მთამსვლელობის დროს, რაზეც მიუთითებს სვანურ ენაზე დღემდე დაცული ალპინშტოკის ძველი სახელწოდება „მუჯურო" და „ქანცი".

ადრეულ პერიოდიდანვე მთამსვლელობაში გამოყენებული ყოფილა თხილამურებიც. რომლის შესახებ ცნობა დაცული აქვს თეოფანე ჟამთააღმწერს, რომლის მიხედვითაც სპათარ ლეონ ისავრიელს ორმოცდაათი კაცის თანხლებით გადაულახავს კავკასიონი. „სპათარმა თან გაიყოლა ორმოცდაათი ალანი, თხილამურების საშუალებით გადალახა თოვლიანი კავკასიონი. სხვათაშორის მაისი იყო", — წერს თეოფანე.

მთამსვლელის ერთ-ერთ აუცილებელ საჭურველს წარმოადგენდა ქალამნის სპეციალური სახეობა „ბანდულები", იგივე „ჯღანი" და „ლანჩა". გ. გასიტაშვილის აღიარებით „ჯღანი" ანდა „ბანდულები" არის ერთგვარი ქალამანი, რომელსაც ძირი გამობანდული აქვს. ამ ფეხსაცმელს იცვამენ ხევსურნი სანადიროდ, ძნელად მისავალ ადგილებში სასიარულოდ. „ჯღანი არ გაქანდების არც ყინულზე, არც სველ მიწაზე, წრიაპზედ მეტ არს ფეხის გამამაგრებლად", — შენიშნავენ მთხრობელები. იმავე გასიტაშვილის ცნობით, ასეთი

ფეხსაცმლის ნაირსახეობა გავრცელებული ყოფილა თუშეთში, ხევში და ოსებში. ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებს, რომ ოსებს ფეხთა ზედა ტყავთაგან აცვიათ, რომლისა არს ლანჩა გამობანდული დახეულის ტყავისაგანვე და მას შინ შთასდებენ თომსა, ჩაიცმენ გარეთ, რათა არ მიუსხლტეთ ფეხი ყინულს, კლდესა და ქალახთა ზედა".

ისტორიული, ლიტერატურული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები, რომლებიც ზემოთაა მოყვანილი, მოწმობს მთამსვლელობის მდიდარ ტრადიციებს ჩვენს ქვეყანაში.

აბანოები და მასაჟი, როგორც ფიზიკური აღზრდის საშუალება

აბანოსა და სხეულის ზელვას (მასაჟს) ადრეულ პერიოდიდანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჯერ კიდევ ბერძნულ და რომაულ მონათმფლობელურ ფიზიკური აღზრდის სისტემაში, საბერძნეთში საკუთარი კმაყოფილებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების უზრუნველსაყოფად ვარჯიშობების ჩატარების შემდეგ თბილ აბანოსა და მასაჟს ღებულობდნენ.

რომის იმპერიის პერიოდში თავისებურ დაწესებულებას წარმოადგენდა ე. წ. თერმია-საბანაო. საბანაოს აწყობდნენ მდიდარი რომაელები პირადი მიზნებისათვის, ხოლო უფრო გვიან ამ დაწესებულებამ მიიღო საზოგადოებრივი ხასიათი. თერმებს მდიდრულად აწყობდნენ, მათში გამართული იყო სხვადასხვა ტემპერატურის მქონე აუზები, გააჩნდა ორთქლის და მასაჟის, დასასვენებელი და ძველი ბერძნული პატარა ბურთებით სათამაშო ოთახები. თერმის შემადგენლობაში, განსაკუთრებით ნერონის დროიდან, შედიოდა გიმნასიები, სადაც მობანავეებს ბანაობის დაწყებამდე და მის შემდეგ შეეძლოთ სხვადასხვა ხასიათის ფიზიკურ ვარჯიშობათა ჩატარება.

მე-5 საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიკოსი ოლიმპია დორე ფივიელის ცნობით, რომაული საბანაო განსაკუთრებით ვრცელი ყოფილა. ე. წ. ანტონიუსის საბანაოში მო-

ბანავეთათვის გაწმენდილი მარმარილოს 1600 დასაჯდომი იყო, დიოკლიტიანესი თითქმის ორჯერ დიდი ყოფილა. მართალია, ძველ საქართველოში არ არსებობდა დიდი საბანაოები, მაგრამ ქართველ ხალხს ადრეულ პერიოდიდანვე შეუქმნია ისეთი აბანოები, რომლებიც არა მარტო მათ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, არამედ გამოყენებული ყოფილა სხვადასხვა ავადმყოფის განსაკურნავად და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის. საქართველოს უძველეს ქალაქში მცხეთა-არმაზში, როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, საკმაოდ კეთილმოწყობილი აბანოები ყოფილა. პირველი ასეთი აბანო არმაზის ხევის შესართავთან 1937-38 წლებში გაითხარა. მას გ. ლომთათიძე ქართველი დიდებულების (პიტიახშ-ერისთავების) ქალაქგარეთა სამყოფელის არქიტექტურული ანსამბლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. გამოირკვა, რომ აბანო განაპირას განცალკავებით მდგარ სასახლეს ჰკუთვნებია. შემდეგი გათხრების შედეგად აღმოჩენილი იქნა მეორე მომცრო აბანო ბაგინეთში ანუ არმაზ-ციხეში, სადაც იგულისხმება სამეფო რეზიდენცია. აბანოები I-II საუკუნეებით თარიღდება. ეს ორი აბანო, რომელთაგან განსაკუთრებით კარგად იყო დაცული არმაზისხევისა, უნდა ჩაითვალოს საამშენებლო და თან კომუნალური თუ სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის შესანიშნავ ძეგლებად. არმაზისხევის აბანო კარგად დაგეგმილი და ყოველმხრივ მარჯვედ მოწყობილი ნაგებობაა. მასში გათბობა-განიავების, სუფთა წყლის მოსაყვანი და ნაბანის გასაყვანი მილების, წყლის გასახურებელი და სხვა სისტემები ტექნიკურად მარჯვედ და გარეგნულად ლაზათიანად არის გამართული. აბანოს სამი (ცხელი, თბილი და გრილი) განყოფილებები და აბაზანები ჰქონია. აქედან ნათელია, თუ რაოდენ მაღალია იმ ადამიანთა საერთო კულტურული დონე, რომლებიც ასეთ აბანოებში დაიარებიან და სისტემატურად სარგებლობენ მისით. რამდენად გაფაქიზებულია მათი ჰიგიენური მოთხოვნილება და როგორ კომფორტაბელურად იწყობენ ისინი სათანადო დამხმარე შენობას*.

---

* გ. ლომთათიძე. წინაპართა ნაკვალევი, 1952 წ., გვ. 157.

არმაზისხევის შესართავთან მდებარე აბანო ქალაქგარეთ, განცალკევებით მდგარ სასახლეს ჰკუთვნებია. თუ ძხედველობაში მივიღებთ, რომ სამეფო რეზინდეციის ადგილზე აღმოჩნდა არმაზისხევთან არსებულ აბანოზე უფრო მცირე აბანო, ბუნებრივია, რომ ქალაქგარეთ მეორე, ისიც ქალაქის აბანოზე ბევრად უფრო დიდი აბანოს არსებობა არაფრით გამართლებული არ არის, გარდა იმისა, რომ ქალაქგარეთ არმაზისხევის შესართავთან არსებული „ტაძარი თუ სასახლე, რომლის ნაშთები ცუდად შემონახულია, ყურადღებას გაგვამახვილებინებს იმ ფაქტზე, რომ შეიძლება ეს შენობა, თუ ნაგებობა ძვ. ბერძნული გიმნაზიისდაგვარ დაწესებულებას წარმოადგენდა და რომელთანაც ჩვეულებრივად სამ განყოფილებიდან (ცხელი, თბილი და გრილი) აბანოებს აგებდნენ ვარჯიშ-შეჯიბრებების შემდეგ დაბანვისა და მასაჟისათვის. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ამავე შენობაში აღმოჩნდა „ორსენაკოვანი ნაგებობის, თითქმის საძირკვლამდე დასული ნანგრევი. თავის დროზე სენაკები ალბათ მეტიც იქნებოდა“*. ამასთან ერთად სავარჯიშო-საშეჯიბრო ნაგებობანი აპ. როდოსელისა და პროკოფი კესარიელის ცნობით დასავლეთ საქართველოში — აფსარეში, ეასა და არესის ველზეც არსებულა. სავარჯიშო-საშეჯიბრო ნაგებობაზე ისიც გაგვამახვილებინებს ყურადღებას, რომ იბერიელი დიდებულები საუკეთესო მოასპარეზენია ამ პერიოდში.

საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი სამკურნალო წყლებია, და როგორც სათანადო მასალებით დასტურდება, ისინი ადრეული პერიოდიდანვე გამოყენებული ყოფილა სხვადასხვა დაავადებით შეპყრობილთა სამკურნალოდ.

როდესაც ამირანი გველეშაპის მუცლიდან თავს დააღწევს, მას წვერ-ულვაში გაცვენილი აღმოაჩნდება, რის გამოც სასოწარკვეთილებას ეძლევა, მაგრამ ბადრი ანუგეშებს, იგრი ბატონთან მივიდეთ და ის გაგიკეთებსო. იგრი ბატონი ჯადოსნურ წყალს ფლობს, რომელსაც სამკურნალო თვისება აქვს — წვერ-ულვაშს დაასხამს ადამიანს ნებისამებრ. როცა ამირანი ამ ჯადოსნურ წყალს გადაივლებს თავზე, ახალი,

* ივ. ჯავახიშვილი. საბ. ისტ. ინსტ. შრომები, I, 1955 წ., გვ. 334.

უკეთესი წვერ-ულვაში ამოუვა და ძველებური ვაჟკაცური იერი დაუბრუნდება. „იგრი ცოტა ავი კაცია“, ხელგაშლილობას არ იჩენს მკურნალობაში. იგრიმ თავისი წყლის ფასი კარგად იცის. სხვა გარემოებაც აიძულებს მას ხელმოჭერილი იყოს: ხელმწიფის ყმაა და მეფისდაუნებურად დახმარებას ვერაფის აღმოუჩენს.

აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სამკურნალო წყლები ხელმწიფის მფლობელობაში იყო და მასზე სახელმწიფოებრივი მეთვალყურეობა იყო დაწესებული. თვით სახელის „იგრის“ ეტიმოლოგიის შესახებ გამოითქვა, რომ ის არის „იგრისის“ (სამეგრელოს) „ინგორის“ შესატყვისი. მართლაც, საქართველოს ამ კუთხეში, ისე როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, უხვად მოიპოვება სამკურნალო წყლები.

მინერალური წყლების სამკურნალო მიზნით გამოყენება დადასტურებულია პეტრე ივერიელის ცხოვრებაში. მას ხანგრძლივი მარხულობით დაუზიანდა რა კუჭი, „მაშინ ჰრქუეს ვითმე რათა წარვიდეს ცხელთა წყალთა და განიკურნეს“. ძველთაგანვე სამკურნალო მიზნით გამოყენებული ყოფილა ბორჯომის მინერალური წყლებიც.

ასევე ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში „აბანოისთა სახლი“ არსებულა, რომელსაც მემატიანეს ცნობით მეფე ფლობდა და სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად ყოფილა აღიარებული.

კარგად მოწყობილი აბანო ყოფილა ბიჭვინთაში (მე-6 საუკ.). სიგრძით 26 და სიგანით 13 მეტრის შენობას ჰქონია დიდი მოსაცდელი. მე-15 საუკუნისათვის ქ. გრემში დიდი აბანო ყოფილა აგებული, რომლის განყოფილებაში ერთდროულად 20-30 კაცს შეეძლო ებანავა. აბანო ყოფილა არქეოპოლისშიც.

აბანოში არა მარტო დაბანვას, არამედ გამაჯანსაღებელ ღონისძიებას, მასაჟებსაც (ზელვას) აწარმოებდნენ, რაც ცნობილი უნდა ყოფილიყო ქართველი ხალხისათვის ადრეულ პერიოდში. აღნიშნულის გამოყენების შესახებ ადრინდელი ცნობა არ მოგვეპოვება. მე-12 თუ მე-13 საუკუნეში ქართულ ენაზე გამოცემული იქნა „წიგნი სააქიმო“,

რომელშიც მასაქის გამაჯანსაღებელი მნიშვნელობის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „ტანსა ზელისაი აბანოსა ყოფისა შინა — ისაკ იტყვის ვითა ხელისაგან ტანი გაძლიერდების და ასონი გამაგრდებიან და ლბილად ზელისაგან ასონი გაიხსნებიან. მაგრად ზელისაგან გასურსურდებიან და ზომისამებრ და ჯამისაებრ ზელისაგან ხორცნი გაიზრდებიან, და ფერად დამშვენდების კაცი, მით რომელ სიმხურვალე მას ჟამსა მოემატების ბუნებრივი, რომელსა ჰქვიან ღარიზი და სრულთა ასოთა არგებს და შეკრებასა გაჰხსნის და ქარსა რუტობათსა გამოიყვანს ტანისაგან და ძარღვთა და ფაიათა გააძლიერებს და ერგების, რაია კვირასა შიგან ერთხელ ზელონ“.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს ზელვის (მასაქის) ორი ხერხი არსებულა — რბილად და მაგრად ზელვა. ავტორის აზრით, ზელვა ხელს უწყობს ორგანიზმის გაძლიერებას, სხეულის ცალკეული ნაწილების გამაგრება-განმტკიცებას, მაგრამ იმისათვის, რომ ცალკეული ჯგუფები გაიზარდოს და კაცი ფერად დამშვენდეს, საჭიროა „ზომისაებრ და ჯამისაებრ“ ზელვა, ე. ი. ზელვის გარკვეული დოზირებით და დროის მიხედვით ჩატარება. კაცის „ფერად დამშვენება“ გამოწვეულია ზელვით ორგანიზმის შეხურებით, ე. ი. სისხლის მიმოქცევის გაძლიერებით, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმის ცალკეულ ორგანოთა ქსოვილოვანი უჯრედების კვების გაძლიერებას. სხეულის დაზელვის თავისებური წესი დღემდე დაცულია თბილისის აბანოებში. ტანის ზელვა ქართულ აბანოში და მისგან მიღებული სიამოვნება საკუთარ თავზე გამოუცდია დიდ რუს პოეტს ალექსანდრე პუშკინს.

თბილისის აბანოების სიმშვენიერემ თავისი გამოხატულება ჰპოვა ქართულ ხალხურ შემოქმედებაშიაც. აი, ერთი ნიმუში:

ქალაქის აბანოები ბადალი ხმელეთისაო,
ძირიდან აშენებული, აუზები აქვს ქვისაო,
ვინც შევა, აგრე გაგიხდის, როგორაც თოვლი მთისაო,
ქალი და რძალი გამოდის, ვითა ყვავილი ხისაო;

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 3
ეპოქის მოკლე დახასიათება 7
შეიარაღებული ძალები, შეიარაღება და სამხედრო ფიზიკური მომზადების სისტემა 11
სამხედრო-ფიზიკური მომზადების საქმის ხელმძღვანელობა და მწვრთნელ-მასწავლებლები 30
ქალთა სამხედრო ფიზიკური მომზადება 36
საშეჯიბრო-სავარჯიშო ნაგებობანი 43
„იპოდრომი“ და „ცხენთსარბიელი“ 43
შეჯიბრებათა ჩატარების ორგანიზაცია 52
რომაელი ავტორები იბერიელთა წარმომადგენლების რომში გამართულ ასპარეზობაში მონაწილეობის შესახებ 53
ანტიკური ხანის ქართული სახალხო დღესასწაულები და მათში ფიზიკურ ვარჯიშობათა ადგილი 64
შუბის ტყორცნა 75
მ შ ვ ი ლ დ ო ს ნ ო ბ ა 77
შურდულით ტყორცნა 83
მკლეოსნობის ისტორიის საკითხისათვის საქართველოში 87
რ ბ ე ნ ა 87
მუშაითობა (აკრობატიკა) 95
ცხ ე ნ ო ს ნ ო ბ ა 100
ნ ა დ ი რ ო ბ ა 105
მ თ ა მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა 108
აბანოები და მასაჟი, როგორც ფიზიკური აღზრდის საშუალება 114

Апридонидзе Валериан Михайлович

БЕССТРАШНЫЕ...

Очерки о физической культуре и спорте античной Грузии
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Кутаисский филиал
Кутаиси, Гришашвили, 6
1986

რედაქტორი ზ. კუხიანიძე
მხატვარი კ. ბოხუა
მხატვრული რედაქტორი ო. ქანდარია
ტექნიკური რედაქტორი გ. ჭეიშვილი
კორექტორი ნუ. ყურაშვილი
გამომშვები ა. გეგია

ს. ბ. № 5206

გადაეცა წარმოებას 14.03.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.10.86. საბეჭდი ქაღალდი № 2 84×108 1/32. გარნიტური ჩვეულებრივი. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 6,5. პირ. საღ.-გატ. 6,71. საღრ.-საგამომც. თაბახი 5,32. უე 11307, ტირაჟი 2000. შეკვ. № 5517.

ფასი 55 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
ქუთაისის ფილიალი, ქუთაისი, გრიშაშვილის 6.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი. 33.
Кутаисское полиграфическое производственое объединение
Государственного комитета по делам издательств, полиграфии
и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.